


825  
1987

ISSN 7247



# გუმაგი

კართული პოლიტიკის პერიოდული ორგანიზაციონური ჟურნალი

პარიზი

Nº 14

PARIS

ოქტომბერი 1987 OCTOBRE



# დიდი ილია

1837 – 1907

\* \* \*

ტყემ მოისხა ფოთოლი,  
აგერ მერცხალიც კყივის,  
ბაღში ვაზი თბოლი  
მეტის ლხენითა სტირის

აყვავებულა მდელო,  
აყვავებულან მთები;  
მამულო საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები?



21. 568.

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,  
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,  
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,  
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!

1837-1907  
1860-ია  
1907-ია



დიდი ილია საიუბილეო დ

წლევანდელი წელი ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებულად  
მოსახსენებელი წელია. წელს შესრულდა მისი დაბადებიდან  
150 და მისი ულვოო მკვლელობიდან 80 წლისთავები. პირვე-  
ლს ვზეიმობთ, მეორეს კი ვვიდებთ.

ილიას ნიჭისა და საქმეს არც სიცოცხლეში მოკლებია დამ-  
ფასებულ-პატივისმცემები, მაგრამ განსაკუთრებით მისი ბა-  
რბაროსული მკვლელობის შემდეგ, გაცუდდა მისი და ქართვე-  
ლი ხალხის თავისუფლების მტრების ვარაუდი, დიდებული ილ-  
იას შარავანდი სულ უფრო და უფრო ბრწყნდება და კაშ-  
კაშდება და მის წინაშე სათაფანებლად თავს ხრის სრული-  
ად საქართველო, ყველი შეგნებული ქართველი გამოუკლებ-  
ლივ. გუშინდელი მისი იდეოლოგიური მეტოქენიც კი დღეს  
მის წინაშე მორჩილებით თავს ხრიან და აღიარებენ, რომ  
ის მართალი იყო. სწორედ ეს გახლავთ თავიდ ილია ჭავჭა-  
ვაძის ჭეშმარიტი და მარადიული გამარჯვება.

წელს განსაკუთრებული მაინც ის გახლავთ, რომ ქართულმა  
ეროვნულმა ეკლესიამ ეს დიდი ქართველი წმინდანად შერაც-  
ხა, ილია მართალის სახელწოდებით. ამრიგად, თუ ილიას წი-  
ნად უგვირგვინო მეფედ ვიცნობდით, ამიერიდან მის ფართე  
მეფურ შუბლს წმინდა მოწამის გვირგვინი ამკობს.

ჩვენ არ ვიცით დიდი ილია თუ ზოგელთვის მართალი იყო,  
მაგრამ ჩვენთვის ის კი უდავოა, რომ მან მისი დიდი ნიჭი,  
ენციკლოპედიური ცოდნა და უშრეტი ენერგია უშურველადა  
და უანგარიფ მშობელ ხალხს მიუძღვნა და ამსახურა.

„მას აქვთ, რაკი შენდამი ვცან მე სიჭვარული,

ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!

შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,

დამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე დამდება“.

ეს სიტყვები არ გახლავთ ლიტონი სიტყვები; ეს სიჭვარუ-  
ლის საჯარო გამოცხადება გულის სიღრმიდან ამოხეთქილი  
ცეცხლია, ცეცხლი, რომელიც ათბობს და ამოქმედებს მათი  
ავტორის შეგნებულ სიცოცხლეს მთელი ნახევარი საუკუნის



განმავლობაში და, რომელიც მას შეაძლებინებს ტიტულურული საქმეების შესრულებას. არ დარჩენილა არც ერთი მცირებულების ლოგობანი დარგი მისი დროის ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა, რომელზედაც ილიას თავისი სიტყვით თუ საქმით წაუშლელი კვალი არ დაემჩნიოს, მაგრამ აქ განსაკუთრებით აღსანიშნავი და ხაზგასასმელია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი შეეახული ეროვნული ვინაობის გამორკვევა, დაცვა და გამარტინება, და ეს სწორედ იმ შავბნელ დროს, როცა ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ეროვნული მაჯისცემა საშიშად მიღეული იყო.

ზოგიერთი ფიქრობს და ამბობს კიდევაც, რომ ქართველები უგუნური და უმაღური ხალხია, რომ ისინი მათ შორის საუკეთესოსაც არ ინდობენ. ამ ბრალდებას ცხადად აბათილებს ქართველობის ამჟამინდელი ერთსულოვანი შემოქრება დიდი ილიას სახელის ირგვლივ, მის საღირებლად და თაყვანებად.

ქართველი კაცის მეხსიერებას აღარ შემოუნახავს ათასი გარეშეარი გამცემი და მოღალატე მისი გრძელი და მღელვარე ისტორიიდან; სამაგიეროდ, მას მუდამ თვალწინ უდგანან: დავითი და კონსტანტინე არგვეთლები, კახთა დედოფალი ქათევანი, ქართლელი მღვდელი თევღორე, სამეგრელოს თავადი ცოტნე დადიანი თუ კახეთის ერისთავები ძმები შალვა და ბიძინა და სხვა მამულისთვის ნაწამებ-თავდადებული გმირები. მათზე ოცნებით და მათი ბაძვით იზრდებოდენ და ეროვნულად იწროობოდენ წარსული ჩვენი თაობები, რამაც მათ შეაძლებინა ქართული ჯიშის გადარჩენა ამდენი ხალხთა წარღვნისაგან წარსულში. დღეს, ჩვენს აწმყო თაობასაც იგინივეთა და დიდი ილიას ხატება შეაძლებინებს გამარჯვებული გამოვიდეს დღევანდელი ეროვნული კირთებიდანაც.


ვინ ჩაი დინა ეს საშინელი და უპარიებელი ბოროტოვებინა, ვინ მოაწყო მკვლელობა, მე-19-ე საუკუკუნის ჟელაზე დიდი და სახელოვანი ქართველი მამულიშვილის, ილია ჭავჭავაძისა? ეს კითხვა არ ასვენებს, აბორგებს ჟელა ქართველს ამ უკანასკნელი ოთხმოცი წლის განმავლობაში. ამ საბედისწერო კითხვაზე ჩვენს აზრს ჩვენ სხვაგან ვიტარით უფრო დაწვრილებითა და დასაბუთებულად, აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ: დიდ ილიას, როგორც სახელოვან სა-

ზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეებს, ბეგრი მტერი ჰქონდა ჰქონდა და, როგორც შინ ისე გარეთ. შინაური მტრები მოწინადაღმზე დეგე იდეოლოგიის მიმდევრები იყვნ, რომლებიც ილ. ჭიათურავაძეს სწორედ იდეოლოგიურ პოზიციებიდან ებრძოდენ და ზოგჯერ ცილისწამებასაც არ თაკილობდენ საშიში მოწინააღმდეგის ავტორიტეტის შესალახავად, მაგრამ მათთვის მთავარი იყო ილიას მორალური მკვლელობა და არამც და არამც ფიზიკური. ეს კი დიდმნიშვნელოვანია. ცნობილია: კრიმინალურ ძიების დროს დიდი ურალება ექცევა იმას, თუ ვის-თვის იყო იგი სასაჩვებლო. არც გარეთა მტრებია უცნობნი. ესენია: რუსეთის სახელმწიფო და მისი მდაბალი საქმეების ამსრულებელი უანდარმერია. ამ უკანასკნელს სწორედ ხელს აძლევდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის წინამდლოლის მუხანათური მკვლელობა და შემდეგ მისი გადაბრალება ისევ ქართველებისადმი. თუ ეს კრიმინალური ჩანაფიქრი ზუსტად შესრულდებოდა, ცარისტული ხელისუფლება და მისი პოლიცია საქართველოში ორ ყველაზე მათთვის საშიშ პოლიტიკურ მოძრაობას გაანეიტრალებდენ: ეროვნულსა და სოციალისტურს.

ასეც მოხდა. ილიას სიკედილით ეროვნულმა ბანაკმა თავი დაკარგა, ხოლო სოციალისტური ბანაკის მეთაურებმა ქართველი პატრიოტების პატიციისცემა. საბედნიეროდ, იმ ტრალიკულ წუთებში ჩვენი ხალხი არ წამოეგო მტრის მიერ გადმოგდებულ ანკესზე. მთელი ქართველობა, ყველა მისი პოლიტიკური და კულტურული მიმინარეობებით, ერთად შემოქრება უღვთოდ მოკლული დიდი მამულიშვილის ცხელრის ირგვლივ, გულმოკლულმა დაიტირა და ანათემას გადასცა მისი ვერაგი მკვლელები. დიდი ილიას დასაფლავება იქცა სრული-ად საქართველოს ეროვნულ მანიფესტაციად. მან ლირსეული და საკადრისი პასუხი გასცა მტრის მიერ მონაჭორ ცილისწამებასაც.

სამწუხაროდ, ეჭვის ჭია მაინც განაგრძობს თავის დამანგრეველ ღრლნას. ამ უკანასნელ დროს კგლავ თავი იჩინეს ინსინუაციებმა და თვით ბრალდებებმა, რომლებიც ცარისტული უანდარმერიის მონაჭორებს სანდოობას ანიჭებენ.

დიდი ილიას ამ საიუბილეო სიტყვაში, ჩვენს მოვალეობად



მიგვაჩნია, რომ ამ საკითხზე ჩვენი შემდეგი აზრი განვიტოვა: ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ცოდვა არც ერთ ქა-  
რთულ პოლიტიკურ მიმდინარეობას კისრად არ აღევს, არა-  
მედ - მეფის რუსეთის უინდარმერიას. ამას მეტყველებენ მა-  
შინდელი მოვლენებისა და ფაქტიური ცნობების მიუღომელი  
ანალიზი და კრიმინალობის სარგებლიანობის პრინციპი. ამას  
გვკარნახობს ჩვენი ეროვნული ბრძოლის ინტერესი და, ბო-  
ლოს, ქის სასარგებლოდ ლაპარაკობს თვით ბუმბერაზ ილიას  
პოლიტიკური მემკვიდრეობაც, რომლის დედააზრია: ჰელა  
ქართული პოლიტიკური ძალების შეერთებული მოქმედება გა-  
რეშე მტრის წინააღმდეგ, რათა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვე-  
ჭუდნეს“. ჰელა ქართველი პოლიტიკური ძალების ერთად და  
ძმურად მოქმედებისათვის კი აუცილებლად საჭიროა, რომ  
მის შემადგენელ ერთ-ერთ პოლიტიკურ ძალას არ ბრალდებო-  
დეს ჩვენი ეროვნული განთავისუფლების მოციქულის მკვლე-  
ლობის მძიმე და საშინელი ბრალდება.

\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

### ჩვენი პოეტები ილიაზე

გვივი შაორელი  
ილიას ლანდი

თ აბორის მხრიდან დაპბერა ნიავმა საამურადა,  
ბ უნებამ გამოიღვიძა, ამღერდა სალამურადა,  
ი ლიას ლანდი გადმოდგა მამა დავითის მთიდანა,  
ლ ოცულობს ივერიისთვის, გალობით მაღლა ციდანა.  
ი კურთხოს მისი სახელი, წმიდა, ბრწყნვალე, დიადი,  
ს აქართველოს ხომ მან ერთმა ჩიჟოშორა წყვდიადი,  
ი გია ერის ჯებირი, ურღვევი, მძლე და ზვიადი.



ბიბლიური წყვეტა  
იმათ მიმართ, ვინც ბატონი ილია მოგვიყდა

შენ სიკვდილი ხომ ისედაც მოგელავდა –  
დამრღვევი ამ კანონის ვინ იქნება –  
მაგრამ თუ გულს ასე მძაფრად მოგვეწყავდა,  
არ ვიცოდით! და არც გვეცოდინება ...

არ შემწყდარა ცრემლთა უხვი დინება,  
არც შეწყდება არასოდეს, ილია,  
ჩვენი გული სანთლად ჩამოიქნება,  
რადგან სულში უშენობის ჩრდილია...

მაგრამ შენი „განდეგილი“, „აჩრდილი“,  
ჩვენი კაფის უწყეტელი წყაროა,  
ის თანა გვდევს, ჩვენ იმით ვართ აღზრდილი,  
ის ხომ ჩვენთვის უსაზღვრო სამყაროა ...

ჰო, სიკვდილი შენ ისედაც მოგელავდა,  
ასე იყა, ასეა და იქნება,  
მაგრამ თუ სულს ასე მწარედ მოგვეწვავდა,  
არ ვიცოდით! და არც გვეცოდინება ...

და მიზეზად რატომ გახდა ქართველი,  
თუ სხვა იყა შენი მკგლელი, ილია,  
ვინ გესროლა, ვინ ჩაგიქრო ნათელი,  
ვინ შეუნთო კოცონს მწვე სახმილია ...

მაგრამ, განა სულ ერთი არ იქნება:  
ზღვა დაგვახჩჩობს თუ უბრალო ცის ცვარი?!  
მტერი განა მასზე მეტი იქნება,  
ვინც ჩაგიქრო საქართველოს ცისკარი?!

მასამც ჩისხავს ღმერთი დაუსაბამო,  
ჭავლად წმიდა ღმრთის მშობელი მარია,

\*\*\*\*\*

და ძე მისი, ქრისტე უკიდეგანო,  
პატივდებულ-ცხოველმყოფე ჯვარია.



მასამც რისხავს დიღნი ძალნი ზეცათა,  
ხორციელი და უხორცო არსება,  
ისიმც იქცეს მიუსაფარ მხეცათა,  
ტანიმც მისი კუპრით მოიგარსება.

იყოს წყულ, კრულ და შეჩვენებული  
ათორმეტთა მოციქულთა მადლითა,  
შვიდ კრებათგან უმოწყალოდ ვნებული  
და განლრწნილი მიწიერი მატლითა.

წყულ იყოს ოთხთა პატრიარქთაგან,  
ვინც მოვგიყლა ჩევენ ბატონი ილია,  
შავი ჭირი არ მოშორდეს კართაგან,  
იყეს შმაგი და გონზე შეშლილია.

კრულ, წყულ და შეჩვენებულმც არიან  
უწმიდესის სიტყვით მაღალ ღმრთისათა,  
ქრისტე ღმერთის სამსკვალვის მადლითათა  
ვინც ილიას სისხლში ხელი გარია!

იყოს კრულ და შეჩვენებულ, ვითარცა  
სამოელი, სატანა და მსახურნი,  
განიმსჭვალოს ისრით გულის ფიცარსა,  
ჰყავდეს მცველად ეშმაკნი უსახურნი.

კეთრი გეზის და იუდას შიშთვილი,  
სოდომელთა რისხვა, დაწვა, სიჩუპვილი,  
კანისა ძრწოლა, გმირთა მოშთობა,  
იყოს მათი შეჩვენების მოწმობა.

იგვემოდნენ, ვითარცა მეგვიპტელნი,  
ცოცხლივ დანოქმა დათან, აბირონისი,  
კდემა, რცხვენა საბიანე-ქრისტენის,



მეხისტეხა თავსა დიოსკორესი.

დოქოლვოს მძიმე ლოდით მზარავი,  
ისე, ვითარც აქარ ქურდი, მპარავი,  
სახე ექმნას დაღრეჯილი ცვილისა,  
ვითარ აქაბს, მეფეს ისრაილისა.

სწყუროდეს და ვერ მოიკლას წყურვილი,  
სციონდეს და სითბო ენატრებოდეს,  
შიონდეს და არ აუხდეს სურვილი,  
ჯოჯონხეთის შიშით განილეოდეს.

სიტკბოების მაღლი ვეღარ იგემოს,  
მიესაჯოს საუკუნო ბნელეთი,  
სულით, ხორცით ბელზეულთან იგვემოს,  
და ჩაუწყდეს ფერხთა ქვეშე ხმელეთი.

მასამცა კაცს ზეგარდამო რისხვითა  
და ტანჯვითა დასლვას ღმერთმან მამამან  
შიში, კრომა, აჭონილი მისხლითა,  
პურის ნაცვლად თიხამიწა ჭამა მან.

გარდაექცეს სისხლად ღვინო და წყალი,  
მოეწყილოს საწადელნი გულისა,  
დაებედოს უსახლეპაროდ წანწალი,  
ვერ იგემოს სიტკბო სიხარულისა.

კრულ, წყულ და შეჩვენებულ არიან  
უწმიდესით სიტყვით მაღალ ღვთისათა,  
ქრისტე ღმერთის სამსჭვალის მაღლითათა,  
ვინც ილიას სისხლში ხელი გარია!

მასამც რისხავს ღმერთი დაუსაბამო,  
მარიამი, დედა ღმრთისა მშობელი,  
და ძე მისი, ქრისტე უკიდეგანო,  
პატივდებულ ჯვარი ცხოველმჟაფელი...

გი თ რ გი ყი ფი ა ნი  
ი ლ ი ა ს



თავზე დაგვენგრა დიდების დილა,  
ლეგა ღრუბლები აქსოვს არშიას,  
ბაზალეთის ტბას ცრემლებში სძინავს,  
ოქროს აკვანიც ქარიშხალშია.

ძარღვებში უნდა გეჭაროს თივა,  
მკერდში გამხმარი გულის ფულურო,  
როცა ტკივილი ცრემლებად ცვივა,  
დედის საფლავთან არ დაიღმუვლო!

არ იგრძნო სულის მხუთავი გმინვა,  
გაგიმეორდეს განცდა მოხევის,  
როცა ლოდებად ჩამოწოლილ  
სისხლშემურული შავი ჩოხები.

გულით უდაბნო მოაქვს ღამეებს,  
ლეგენდებივით დგებიან დრონი,  
უფსკრულებიდან ისვრიან თვალებს  
ათასი წლობით ხმა თანასწორი.

ვერ იხსნა მიწა ამდენმა ლოცვამ,  
სახე დაღრეჯით დგანან ღმერთები,  
ტუჩები სისხლით გადაიკოცნა,  
დამასკის რკინით ხორცნაკვეთები.

შეწყდა ბრძოლა და ხმა დაიძირა,  
თებერვლის ქარი მოთქვამს ქალივით,  
ჯვრებ გადამტვრეულ საფლავებს სძინავთ,  
მგერდ გარღვეული გორგასლანივით.

დაჭრილ სიცოცხლეს ლოკლენ ლეკვები,  
ტყია — ნატყიარს, ტყიის დაწევა,  
პირჭ სისხლიანი ზარის მრედველი

\*\*\*\*\*

და კუბოების მაღლა აშევა.



შეიძმა შეიპყრო მტრის სითამაშე,  
გადატყდა ბრძოლა, ჩაევო ხმალი,  
შეიშრო სისხლი მთაწმინდის ღამეზ  
და საფლავების ნომსახლარი.

წამოდგა სახე მკვლელობის ხნიდან,  
სახე მრისხანე, ვით საქართველო  
და ბრძოს შესძახა შუბლ გატეხილმა:  
მეორედ მომკალ, გესმის, მტარვალო!

დღეს საქართველო თავდახრილია,  
შენზე ნატყიარ გზწირულ ბედით,  
ისევ გეძახის, ღიღო ილია,  
შემუსრულ დროთა შარავაზდედი.

პარიზი 1932.

### ო რ ი მ ე უ დ ლ ე

აკაკი წერეთლის დაბალებიდან 120: წლისთავზე

ერთი უღელის ორი მეუღლე,  
საუკუნეთა უღლელი ტვირთი,  
ხლხური გრძნობის ღიღი მეუფლე,  
აკაკის კვნესა, ილიას ფიქრი.

თქვენ დაიბადეთ როგორც ობლები  
საუკუნეთა დამტვრეულ ძვლებზე,  
დაგხვდათ წარსულის წინმორბედი  
სულის წამება, გრძნობის სინაზე.

ქართულ პარნასის ციხე ნანგრევი  
და ჩრდილოეთის მრისხანე ქარი,  
ორ თავიანი არწივის გველი,  
გველი, გველური ენით ნაქარგი.

\*\*\*\*\*

თქვით:

„ჩვენი თავი ჩვენგვე გვიშულნეს“, „მოვიყდათ წარსულ დროებზე დარდი!“  
ღვთიური ძალით კბლავ ააჩქეფეთ  
გენით სავსე ქართლის ენგადი!



ვინ დაიგიშვიბს ჭალარის სიტყვებს:  
„არ მომგვდარა, მხოლოდ სძინავს  
და ისევე გაიღვიძებს.  
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,  
უმალ მასვე დაამიშებს!“

სანამ ილინებს თერგი, რონი,  
სანამ სიცოცხლე ცოცხლობს მიწაზე,  
თქვენზე ილოცებს წმინდა სიონი  
და საქართველოს სულის სინაზე.

ერთი უღელის ორი მეუღლე,  
საუკუნეთა უღლელი ტვირთი,  
ხალხური გრძნობის დიდი მეუფლე,  
აკაკის კვნესა, ილიას ფიქრი.

პარიზი 1961

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*

### ირაკლი ოთხმეზური

ი ლ ი ა ს 1937

(ეს ლექსი უკვე დაიბეჭდა №9 „გაშაგში“, სადაც მე-5-ე  
სტროფის მევე სტრიქონში სიტყვა „შვილს“ შემდეგ გა-  
მორჩენილია სიტყვა „ვერაგულად“. ვაქვემდებო ხელახლად.)

თაჭანისცემით გეამბორები, დიდო ილია,  
ქართველ ხალხისთვის შენი ღვაწლი არ დაილია,  
შენი საყდარი დაურღვევებო ბროლით თლილია,  
შენი აზრი ცაში აწვდა, შორი გზა ლია.

ამ დღესასწაულს ბევრი შეხვდა დიდი ოდებით,



მე შენ საფლავთან მინდა მოსველა ჩუმი გოდებით, ეროვნული  
ეს საქართველო კვლავ გაიცსო მძიმე ლოდებით, უზაყილობის  
მაგრამ მომავალს, შენ მითითებულს, ჩვენ ველოდებით.

მე ამ დღეობამ კვლავ გამიხსნა ძველი იარა,  
სულმა წამებულ საფლავთ შორის ჩამოიარა,  
გინც დიმიტრივით თავი დასდო, მტერს უთხრა: არა!  
და, სამუდამოდ უკვდავების გზაზე იარა.

ქრისტე ჯვარს აცვეს, პლატონის სოკრატს შხამი ეწერა,  
შენც მათთან წადი, ბოროტი ტყვიის გაგხადეს წერა;  
გულო შეძრწუნდი, დიდი ცოდვა ჩვენ დაგვეწერა,  
აკაკის უთქვამს: არს საქართველოს ეს ბედისწერა.

შემოქმედებით ვინ გაგისწროს, ვინ ქმნას მისთანა,  
მაგრამ მოგდევენ ივერიის მსახურნი თანა,  
ბევრ შენ ერთგულ შეილს ვერაგულად დაარტყეს დანა,  
მორჩილთ საზრდელად დასჭირდებათ კვლავ შენი „ნანა“.

კაყო ყაჩალი გაჭრილია სიმართლით ტყში,  
იანიჩარიც დაბრუნდება სამშობლო ხევში,  
კეთილდღეობა განმტკიცდება მათ ძლიერ ხელში,  
ქვეწარმავალი შებრუნდება თვის ბინძურ ხვრელში.

ჩამოყლიბდა, დაიხვეწა, გაპტანტა შიში,  
სიტჟა და აზრი გადიშალა შენსა აჩრდილში,  
სიჭარული და ნებისყოფა-ოთარაანთ ქვრივში,  
მტკიცეა ერი, თავს დაიცავს, არ გვმართებს ვიში.

ქმარა წამება!

შენს დიად საქმეს მთელი თაობა დაეუფლება,  
ფრთებს ფართედ გაშლის და მას ექნება ამის უფლება;  
საჭირით გამცნობს: აშ ასრულდა ეს შენი ნება,  
აჭავდა მდელო და გვეღირსა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა.



\*\*\*\*\*

დ ა ვ ი თ ს ა ღ ი რ ა შ ვ ი ლ ი

მ ა რ პ ე ლ ე ს ი ლ ი ა!

(ნაწყვეტი „ფიქრთა და მოგონებათა რვეული“ - ღან)

... და ამ მწუხრის ქამს საქართველოს ცას  
შავი ღრუბელი გადაეფარა,  
ერი შეიძრა და აქოთქოთდა,  
თვალთაგან სისხლის ცრემლები ღვარა;  
მოპელეს ილია! დიდი ილია!  
გულის ფიცარი მას გაეგმირა,  
ნათელი შუბლი ვერაგი მტერის  
ბნელ-მოსუფლულმა ტჟიამ დაღარა.

ჩაქრა ლამპარი აზროვნებისა,  
ილიას ქნარი ვეღარა უღერის,  
ქართველთა მეფე, თუმც უგვირგვინო,  
მშობელ ქვეყანას ვეღარას ეტჟის;  
მტერი ხარხარობს ვით ბელზებული  
თქ გამარჯვებას თავისთვის ითვლის,  
მაგრამ კი სცდება, ქართველი ხალხი  
ჯერ არ მომკვდარა, ის კიდევ იბრძვის,  
ილიას მოკვლით ერი შეერთდა,  
მტერს კი სწორედ ეს საფლავს გაუთხრის.

ჰა, საგურამო, მშვენება ქართლის,  
სად ბრძენ ილიას უაზროვნია,  
სადაც ძვირფასი ხელთქმნილი განძი  
იდუმალებით მას შეუქმნია;  
სად მის ნათელ თავს მტრის გასაგმირად  
ბასრად კალამი გაულესია,  
აი, აქ ეხლა, ჩვენს სავალალოდ,  
იმისი კუბო წინ გვისვენია.

მთლად საქართველოს თავი კაცობა  
მის საღიღებლად აქვე მოსულა,

ახლო სოფლების მშრომელ გლეხობაც  
გულ-ხელ დაკრეფით გამწყრივებულა,  
ვის მოუჭორავს, რომ ძველი წესი,  
სხვის პატივცემა მათში გამქრალა,  
ავის და კარგის, სიმართლის გრძნობა  
გლეხის გულიდან ამოგლეჯილა!

საგურამოდან მგოსნის ცხედარი  
დედა-ქალაქში გადმოასვენეს,  
ერთხანს წიწამურს, აში ისტორიულ  
სისხლნაცხებ აღგილს, ის დაასვენეს,  
ბოროტ ძალებმა მოსცადულ ხელით  
ავაზაკობა აქ ჩაიდინეს,  
და აი ეხლა, ამზღვა ხალხისგან  
წჟვლი და კრულვა დაიმსახურეს.

ჩვენი თბილისი, ბევრის მნახველი,  
მგოსნის მიღებას მყას ემზადება,  
მცხეთის ტაძართან ხალხის ერთ ტალღას  
მეორე დიდი აქ უერთდება;  
მღვდელთა მთავარი პანაშვიდს უხდის,  
მუხლ მოყილ ხალხთან ღმერთს ევედრება  
და ჯერ ას ნახულ სანახაობას  
მთა-წმინდისაკენ ის მიუძღვება.

შემოქრბა ერი მამადავითის  
წმინდა ადგილას, შავად მოსილი,  
სად ბინა ჰქონდათ სირიელ მამათ  
ჩვენს ქვეყანაში ამორჩეული;  
თეთრი ტაძარი და ეს ზღვა ხალხი  
შეჰყურებს მყნვარს გაოცებული,  
საწაულს ხედავს: მის თეთრ მწვერვალზე  
ნათლით მოსილი მოსჩანს „აჩრდილი“.

ხელ აპჭობილმა მაღლიდან დინჯად  
თვალი მოაგლო ჩვენს ქვეყანასა



და მერმე ჩვენსკენ გაღმოიხედა,  
მწუხარე სახით ეძებს საფლავსა,  
გულ-ხელ დაკრეფილ ილიას ნახვით  
წარსულს იგონებს, იწერს პირჯვარსა,  
იღუმალობით ესაუბრება  
და აღზნებული ამბობს ლოცვასა:

„დედაო ღვთისავ! ეს ქვეყნა შენი ხვედრია“,  
აქ ძეგს მოკლული სამსხვერპლოზე დიდი ილია,  
მას უანგაროდ მამულისთვის მარად უღწვია,  
და ერისათვის წმინდა სისხლი შეუწირია,  
მისი ოცნება ერთი იყა: მხოლოდ სამშობლო,  
მის აყავებას და დიდებას მან ვერ მოესწრო,  
გარნა ღვთის ცეცხლი ქართველთ გულში მძლავრად  
დაანთო,  
რწმენე-იმედსა მომავლისას საჭირით უხმო.


„ჰოი უფალო უფლებათა! შეხე ამ ხალხსა,  
მუხლმოდრეკილი გეველრება, მოხედ შენს მრევლსა,  
ჭირი უმოკლე აწინდები მაშვრალთ შთენილთა  
და ზეციერი სამართალი მოკვეთე ერსა;  
ილიას ნატვრა გაუნაღდე, რწმენე უმართე,  
მისსა საფლავსა მადლი მოსცხე და განანათლე,  
დიდი მგოსანის წმინდა გული აწ მიიბარე,  
სასუფეველი ღირსეული მას ღაუმკვიდრე“.

გათავდა ლოცვა, „აჩრდილიც“ გაჰქრა,  
მფნვარზე მზემ მფს ამოანათა,  
გაჰჟანტა ნისლი ჩრდილოეთისა,  
ვიგონებთ მხოლოდ წყველა-კრულვითა.  
ხალხი იშლება დამშვიდებული,  
გულში ჩამარხულ დიდ იმედითა  
და მას ამხნევებს ბერი მოხუცი,  
ცხადად ნახული წმინდა ნიშითა.



ეროვნული  
გიგანტები

ი ს ი ა ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი



ი ს ი ა

**1857** წელს გაზაფხულზე მეოცე წელში გადამდგარი ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე გაემგზავრა პეტერბურგს. ჭაბუკი გულდაწყეტილი სტოვებს მშობლიურ მიწა-წყალს. მან ღრმად აღითქვა თავისი ქვეჭის დაშორებით გამოწვეული მწუხარება. ჭაბუკი ილია ჭარლის მთების სიყვარულში იწვის და მისგან მოელის შთაგონებას:

„სამშობლოს მთები! თქვენი შვილი განებებთ თავსა,  
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყბასა“  
პოეტი ლევ სამშობლოს ზვიად მთებს, მის გრიგალს, ოთ-  
მელსაც იგი მრისხანე დაჭრილი ლომის ღრიალს ადარებს.  
იგი შოშსაც კი განიცდის ამ მრისხანების წინაშე, მაგრამ  
პოეტისათვის ჭველაფერი ეს მშობლიურია და, რადგან მშო-  
ბლიურია, ძვირფასია. ჭაბუკი ამაყნბს კიდევაც იმით, რომ  
იგი მრისხანე ბუნების შვილია:

„აშ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება  
თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი“

ଏହା ପ୍ରାନ୍ତଜ୍ଞାନିତାର ଅଳ୍ପକ୍ଷରୁଲୀ ପାଇଁରୁଲି ଗୁଣି ସାମନ୍ଦରିଲେ ମିଠାକ୍ଷେତ୍ରରୁ ଥିଲା, - ଯୁଗେଣି ଫୁଟି ମିଶଗାନ ଗାନ୍ଧିନୀରେବିରୁ ଅଳ୍ପକ୍ଷରୁଲୀ ଉଚ୍ଛବିକୁ ଦାର୍ଢଲେବୁଲ୍ ପ୍ରାଥମିକ ତାଙ୍କ ମିଳାଇବେ ଶେଷଦା ଦା ସିନ୍ଧୁରାରୁଲୀ ତାଙ୍କି-  
ରୁ ଆଗାମିକୁ ଦା ପ୍ରାର୍ଥମିକ ଥିଲା ଅଳ୍ପକ୍ଷରୁଲୀ ଗାନ୍ଧିନୀରୁଲୀ:

„მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა ... უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდით ჩემს გულს და თვალსა, კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული, და დამიწუბნებთ სიყვარულით ფერებისა გული“.

აქ ჩვენს წინ დგას არა მოუმშიფებელი ჭაბუკი, არამედ  
მეტად მომზადებული პოეტი. სამშობლო, პატივიაჭილი საქა-  
რთველო, დაკარგული ეროვნული მეობის აღდგენა, ამით და-  
იწყო პოეტმა და ამით დაამთავრა თავისი სახელოვანი ცხო-  
ვრება.

მთელს მე-19-ე საუკუნის სამოციან წლების ქართველ პო-  
ეტთა და მოაზროვნეთა პლეადას შუქურგარსკვლავივით და-  
ჰკაშკაშებს ეს დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე, ერო-  
ვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მეთაური. მისი  
მოვლენა ჩვენი ერის ცხოვრებაში ყველაზე ბეღნიერი თარი-  
ლია. იგი არის ჩვენთვის ღვთის წყალობა; ილია ღმერთმა მო-  
უვლინა ღვთისმშობლის წილწვედრილ საქართველოს. აი, რო-  
გორ ესმის პოეტს თავისი დანიშნულება:

„მე ცა მნიშვნავს თუ ერთ მყრლის,

მიწიერი ჭედიერსა...“

ცა სიმბოლოა ღვთაებრიობის. ღვთისგან მოვლენილს, ამ ღვთაების განვეხდა ესმის, იგი მასთან ლაპარაკობს:

„ნმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,

რომ წარვუძლვე წინა ერსა!“

Օյօ Շարութեա! շրի Շամեծուն չգօրծու զոլցութանց առնա  
և լայպ քաջեց շրի Տայուրտեալնից.

ა ხალგაზრდა იღია, თავისი დამონებული სამშობლოს მომავალ ბედზე ფიქრით მოცული, მღელვარებით აღევნებს თვალ-ჭრს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს ეგრძოპაში. მისთვის შთამაგონებელი მაგალითი იყო ირლანდიელი ხალხის გმირული ბრძოლა ინგლისელ დჟეპტონბთა წინააღმდეგ, ასე-ვე-იტალიელი ხალხის დიალი მოძრაობა სამშობლოს გაერთიანებისა და ავსტრიელ დამპტონბელთა განლევნისათვის. 1860:

წლის ზაფხულზე, როცა გარიბალდიმ მესინა აიღო, ზორავარი  
მდეგ იტალიის ნახევარკუნძულზე გადმოვიდა, ილიჭ ტრატილი  
ფრთოვანებით მიესალმა:

„მესმის, მესმის სანატრელი  
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,  
სიმართლის ხმა ქვექადა ჰქონდა,  
დასათრგუნად მონობისა.  
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა  
და აღმიგზნებს იმედს გულში,  
ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი  
გამავინე ჩემს მამულში!“

დაჩაგრული ერის შვილს იტაცებდა მასავით დაჩაგრული  
ერის შვილთა ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და ამ  
ტკბილი ხმის გაგონებას ნატრობდა თავის მამულში, ჩვენი  
პოეტი და მოაზროვნე.

რა იყო ილია ჭავჭავაძის ბრძოლის საგანი მის სამწერლო  
ასპარეზზე გამოსვლისათანავე?— ეს იყო ბრძოლა ეროვნული  
და სოციალური თავისუფლებისათვის. ეს ორი ფაქტი განუ-  
ზოდელი იყო ერთმანეთისაგან მის შემოქმედებაში. „ჩვენი  
საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გაუმჯობესება  
ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“, ბრძანებს ილია.  
მაშასადამე: საქართველო უწინარეს ყოვლისა! აი ილია ჭავ-  
ჭავაძის მრწამსი, მისი დროშა, ხრმალი და ბრძოლის შედა-  
ხილი. არა მოთქმა, არა გოდება წარსულზე, არამედ:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დაწერმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...“

ამბობს პოეტი. მართლაცდა დასატირია ჩვენი ერის დიადი  
წარსული, ოდესაც უცქერ თამარისეულ დაქცეულ სასახლეებ-  
სა და სავანეთ წმინდათ, მაგრამ ცრემლთა ღვრით რა გაე-  
წყობა?.. ბევრჯერ დავქცეულვართ, გადაუხნავთ ჩვენი შვინ-  
დისფერი გარემო, აკლდამებიდან ამოუყიიათ მამა-პაპათა  
ძვლები, მაგრამ კგლავ ავშენებულვართ. მხოლოდ ერი ცოც-

სლობდეს, ჩვენი ქართველი ერი, და ჭელაფერი ისევ გაკმენ  
თდება.

„ზარად და ჭელგან: საქართველო, მე ვარ შენთანა!...“  
დასძახებს პოეტი მოხუცის სიტყვით ქართველ ერს „აჩრდილში“,  
მაგრამ ხალხს სძინავს თუ, სწორედ რომ ვთქვათ, წყლულ  
იშუშებს დროებით. პოეტს სწამს, რომ ქართველი ერი გია-  
ღვიძებს და მოიპოვებს ბრძოლით თავისუფლებას:

„უ შიშობ, ველო, შენს მშვენიერ ხალხს

წარუვლენ წელნი ძილის უამისა,

ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს,

სისხლი მამათა დაიხსნის შვილსა!

წარვლენ ეს წელნი ძილის უამისა

და გაბრტყნდება მზე მომავლისა!..“

ილია ჭავჭავაძე უტეხი მებრძოლია, დაუნდობელი მტრის მი-  
მართ, ფაფარაყრილი დურუჯივით მოვარდნილი, მაგრამ ნაზიც,  
და პოეზია ხომ სინაზეა, ცრემლია ჩხეული. ცრემლი გრძნო-  
ბამორეული და სათუთი ადამიანის სულის კუთვნილებაა. ცრე-  
მლითა და სასოებით ავედრებს ის საქართველოს:

„ძლიერო ღმერთო!..

მოპმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიუვარული

და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..“

მამული!.. რა ძვირფასია ეს სიტყვა. აი, როგორ გვიხსნის  
მას ილია: „მამული!.. ამ სიტყვის ყველადმპყობელი მნიშვნელ-  
ობა ვრცელია და ფართო. იქ, სადაც ხალხობა დარღვეული  
არ არის და განთვითეულება— ეს ჭირი-ჭირთა არ მეფობს,  
იქ ამ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთე-  
ლი ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ ამ სიტყ-  
ვის ხსენებაზედ თითოეულსა მთელი ხალხის და მთელს ხალ-  
ხს თითოეულის ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ  
ამ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი  
თავისი ქვექის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს,  
დღეობითა და დიდებითა დღესასწაულობს. იქ ამ სიტყვაში  
ჭველია და ჭველში ჭელა არის“.

ილიას იდეალია ერთიანი, განუყოფელი საქართველო და არა  
დასებად, კლასებად „შენ-ჩემობით“ დაპირისპირებული და  
დაყოფილი საქართველო. არა დასთა, წოდებათა და კლასთა

გადაკიდება, არამედ მორიგება ნაწილისა მთელთან, თხოვთ გული თხოვრად დაქუცმაცებული საქართველო, არამედ მოლისაჩი: ამას შეალია მან მთელი თავისი ცხოვრება.

„გუთნის-დედაში“ პოეტი ხატავს სოციალურ უკუღმართობას და მოითხოვს მის ძირფესვიანად მოთხრას ეროვნული ცხოვრებიდან:

„აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,  
რომა აჩეჩოს მარტო მიწანი  
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,  
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?“

ილიას „ქართვლის დედა“ კი სიმყონიაა პატრიოტიზმისა და კაცომლუარეობისა:

„ქართვლის დედა! ძუძუ ქართვლისა  
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,  
დედის ნანასთან ქვითინი მთისა  
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...“  
„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,  
შთააგონებდე კაცთა სიჭარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,  
რომ სიკეთისთვის გული უთროდეს!..“

ილია ბრძოლისთვის ამზადებს ქართველ ჭრას:

„მოვა დრო, გაიზრდები, მკლავი გაგიმაგრდება,  
შვილო, ყრმობის სიზმრები ბრძოლაზე გაგეცვლება“.  
„შვილო, დედისა ნანა ხმლის უღერად შეგეცვლება“.

ამბობენ, რომ ილია ჭავჭავაძის პოეზიაში სოციალურ მოტივებს აღილი არა აქვსო, ილიას გალაშქრება სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ არაგულწრფელიაო; იმასაც კი ამბობდნენ, — ილიას მშრომელთა ანუ გლეხობის ბედი არ აინტერესებდა. პირიქით, ილიას ჩანგი მძლავრად უღერს მაშერალთა განთავისუფლებისათვის. აი, მაგალითად, ადგილი „აჩრდილიდან“:

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი  
ქვექის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,  
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწქარებელი  
შენი დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვექად...“  
„...ვეღარ განუძლებს ქვეყნა ძველი



განახლებისა გროგალის ქროლვას, უკრაინული  
ვაღარ განუძლებს ქვეჭის მძარცველზე დამოუკიდებელი  
ჰეშმარიტების აღძრულსა ბრძოლას,—  
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,...“  
„...მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცლები,  
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,  
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,  
არც ვის ემონვი, არც ვის იმონებ“.

აი როგორ ესმოდა ილიას შრომის სუფევის დამყარება!  
არა აღვირასხსნილი დიქტატურა, არამედ სოციალური კითხ-  
ვის იმგვარად გადაქრია, რომ თვით ამაღლდე, მაგრამ სხვას  
ნუ დასწევ, ნურც ნურავის ემონვი და არც იმონებ.

ბრწყინვალე თავადი, კახელ არისტოკრატთა წრიდან, თით-  
ქოს უცხო უნდა ყოფილიყა მდაბიო ხალხისათვის, მიუკარე-  
ბელია, ვით მწვერვალი მყნვარისა, რომელსაც, სხვათა შო-  
რის, ის გაემიჯნა და მღელვარე თერგს ანაცვალა. მთელი  
რიგი მისი მოთხრობებისა: „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია ად-  
ამიანი?“, „გლახის ნაამბობი“, პოემა „კაკო ყაჩალი“ და  
მისთაანანი მშრომელთა სიყვარულითაა გამობარი, კიდევ მე-  
ტი, ეს მთელი სიმფონიაა იმისა, „ვინც ცხოვრებისგან და-  
ჩაგრულია“.

ჭაბუკი ილია გააფთრებით ებრძვის ბატონჭობის სისტემას.  
„გლახის ნაამბობით“ და „კაკო ყაჩალით“ მან ის შეუბრალე-  
ბლად დაასამარა. ასე მყაპრად ქართულ მწერლობაში სხვა  
არავინ გამოსულა არც მის წინ და არც მის შემდეგ.  
ბატონჭობას ლევ ტოლსტოიც ებრძოდა, მაგრამ იგი ბატონ-  
ჭობის სურათებს იძლევა მსუბუქი საღებავით, მაშინ, როცა  
ილია ასე ახასიათებს:

„ვინა შრომობდა და ვინა პძლება,  
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?“  
ხოლო კაცის კაცური მოვალეობა ილიას ასე ესმის:  
„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვა-  
რულია,  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩა-  
გრულია.“



ამრიგად, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლა  
და ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის ხმაშეწყვიტებულ  
ილია ჭავჭავაძის მწერლობაში და საქმეში, თუმცა ეროვნულ  
საქითხს ის თვლის გარდამწჷფეტლად.. ეროვნული განთავი-  
სუფლების იდეას ემსახურება ილიას შესანიშნავი ლექსი

„ბაზალეთის ტბა“:

„ბაზალეთისა ტბის ძირას  
ოქროს აკვანი არისო,  
და მის გარშემო წყლის ქვეშ  
უცხო წალკოტი პყვავისო...“

ილია იშველიებს ხალხური შემოქმედების მარგალიტებს და  
ამბობს, რომ ეს აკვანი თამარ დედოფალს ჩაუდგამსო და  
ქართველ ერს თავისი ცრემლთა ნადენით ტბა კარვად ზედ  
გადაუხურავსო თურმე.

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,  
ვისიც არ ითქმის სახელი,  
ვისაც დღე-და-დამ პნატრულობს  
ჩუმის ნატრიოთა ქართველი?“

ვინ უნდა იყოს ის ყრმა? – ის, ვინც მფარველად და მომვ-  
ლელად მოევლინება ქართველ ერს. როგორი უნდა იყოს ეს  
ყრმა ილიას გაგებით? – უდრევი მებრძოლი, თავგანწირული  
მამულიშვილი.

ჩაუდგა რა სათავეში ეროვნულ განმათავისულებელ მოძ-  
რაობას, ილია თავს დასტრიალებს, როგორც მოურავი, ყელა-  
ფერ ქართულს: საადგილმამულო ბანქს, ქართულ თეატრს, ქა-  
რთველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-  
ბას, მშობლიურ ლიტერატურას, ერის მდიდარ წარსულს და  
ასე შემდეგ.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გაუ-  
მჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია!“

სწერდა ის და, რასაც სწერდა, საქმით აკეთებდა, სანამ  
ასჯერ დაწყვლილებმა სული არ ამოხადეს წიწამურის მიღა-  
მოებში.

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა“ – შეს-  
ძახებს პოეტი. იმ დროს, როცა ქართველი ერის მტრები  
სამეგრელოს ჩამოშორებას ლამობდნენ საქართველოსაგან, პო-

\*\*\*\*\* ეტი-მოაზროვნე მაშინ სამეგრელოს ესტუმრა. უნდღია მეტაც რელი, ამ ძველ კოლხთა, სულს სწვდენოდა უშუალყოფილობა. ცოტნე დადი ანის სამშობლო ქართველური გრძნობით დახვდა. ილია ჭავჭავაძის ჩასვლა სამეგრელოში ქართული სულის ტრიუმფი იყ. მაშინ დიდმა პოეტმა აღფრთვანებულმა სთქვა: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო“ და, მართლაც იგერიას კოლხეთით უამატია, მეგრელი კოლხიდელობას შეინით ეტრფის, ხოლო ბედი ქართლისათი სუნთქვას; ენაც ქართულია, ქართული ოჯახის განუჭრელი წევრი, ეკლესიაში ქართულად უწირავთ. აქ ჯებირს ვერავინ გასდებს; მეგრელი არავს იმავე გრძნობით ეტრფის, როგორც ქაფორნეულ ენგურს.

ილია ჭავჭავაძე ორმოცდათი წელიწადი ზრდიდა ქართველ ერს, ამიტომ იგი არის მისი მეთაური, გონება და პარნასელთა ბელადი, ვით შოთა რუსთაველი. ბელადობა კი ჭელას არ შეუძლია. ბელადობისათვის მაგარი ძირია საჭირო, ფესვები ღრმად გაღმმული უნდა ჰქონდეს მიწის წიაღში, რომ ვერავითარმა გრიგალმა გერ შესძლოს არამც თუ მოგლევა, არამედ შერქვაც კი. მისი სიტყვა განუჭრელი იყ საქმესთან. პირველად მან, ჯერ კიდევ ბატონჭმობის გადავარდნა-მდე, თავისი გლეხები გაათავისუფლა და სრულმქონე ადამიანებად გახადა. ჭარლის წიაღში დაირწა მისი აკვანი, იქ, სადაც ბლაკიაშვილები გააფთრებული ვეოზვებივით იბრძონენ საკუთარი მეობისათვის, პიროვნების თავისუფლებისათვის.

„ზარად და ჭელგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“

დასჭიერა ჩვენმა დიდმა მოაზროვნემ და 1905 წელს იგი გამოდის საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით.

**1906** წლის მარტში ილია ჩავიდა პეტერბურგს სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ჭიილობაზე. ამავე წელს ილია ქართლ-კახეთის თავადაზნაურების მიერ არჩეული იყ სახელმწიფო საბჭოს წევრად. სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაზე 1906 წლის 22 აგვისტოს სხდომაზე ილია გამოდის რუსეთის მეფის მთავრობისადმი მკაცრი კრიტიკით. საბჭოს მეორე სესიაზე კი ილია გამოდის თავისი შეუპოვარი სიტყვით სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მოვიფანთ მას შემოკლებით:



„...ბატონებო! მე სახელმწიფო სათათბიროშიც დავკისჭროდეს  
კრებას და ბევრი სიტყვებიც მოვისმინე სიკვდილზე დასჭირდებოდა  
გაუქმების სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდაც... აქაც სა-  
კმაოდ ითქვა, მაგრამ ყველივე ეს სასწორზე რომ დაიდგას,  
არა გვგონია ისე თვალსაჩინოდ გადინაროს სასწორი რომე-  
ლიმე მხარეზე, რომ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე; მართლაც-  
და, მთავრობა გვეუბნება, რომ იგი თავს იცავს და მხოლ-  
ოდ მაშინ გააუქმებს სიკვდილით დასჯას, როცა მოქალაქე-  
ნი დაწყარლებიან, ამ სისხლიან ტერორს შესწუხეტენ და  
ზრდილობიანად მოიკევიანო. აღშფოთებული და ამბოხებულ-  
ნი კი გაიძახიან: ჩვენ ტერორს შევწუხეტო მხოლოდ და მხო-  
ლოდ მაშინ, როცა მთავრობა საზარელ სიკვდილით დასჯას  
და საველე სასამართლოებს გააუქმებს! მე კი ვიტყოდი, რომ  
უფრო სწორი იქნება ვიკითხოთ,— თუ რა იწვევს ბრძოლის  
ამ შემზარავ ფორმებს ორივ მხრივ? და ჩვენ რომ კვალში  
ჩავუდგეთ ამ კითხვას, დავინახავთ, რომ, როგორც ტერორი,  
ისე სახრჩობელაც გამოწვეულია იმ ძირითადი მიზეზებით,  
რომ მთავრობას არ სურს დააგდოს ძველი გზა, ხოლო რუ-  
სეთის ხალხი, თავის მხრივ, ვეღარ ურიგდება იმ საძლველ  
რეჟიმის ძალმომრეობას, რომელმაც რუსეთის ხალხი გაღატა-  
კების კარამდე მიიფანა და თვით რუსეთის იმპერიის პრეს-  
ტიუიც მუკდენისა და ცუსიმას სამარცხვინო უფსკრულში  
ჩაჩეხა (დარბაზში საშინელი ხმაური, ტაში)...ბატონებო!  
ვიმეორებ, მიზეზი ყველივე ამისა არის ის, რომ 17 ოქტო-  
მბრივი მანიფესტმა თუმცადა აღუთევა ხალხს რეფორმები და  
თავისუფლებანი, მაგრამ ეს აღთქმული სიკეთენი სინამდვილე-  
ში არაფრით არიან უზრუნველყოფილი მოქალაქეთათვის. ხე-  
ნებული მანიფესტი ცარიელ დაპირებად დარჩა და, ჩვენდა  
სავალოდ, მთავრობა უფრო მომზადებული აღმოჩნდა პოგ-  
რომებისათვის (დარბაზში საშინალი ხმაური, აკადემიური  
აგუფის ტაში)... ბატონებო, თუ თქვენ გსურთ, რომ აღარ  
იყოს მეფის ერთგულ მსახურთა კვლა, აღარ იყოს შფოთი  
და ამბოხი, მიეცით კრიჭააკრულ ხალხს თავისუფლება, მი-  
ეცით გაძვალტყვებულ მუშას ადამიანური შრომისა და ცხო-  
ვრების სახსარი, მიეცით გაღატაკებულ გლეხობას მიწა, და  
ბოლოს, მიეცით რუსეთში შემავალ მცირე ერებს ფართე

თვითმართველობა, და მერწმუნეთ, აღარც თქვენ ფაჭჭირულია  
გათ სახრჩობელა (ტაში აკადემიური ჯგუფისა). შეიძლება და  
უფლებააყრილ, მშეერტიტველ ხალხს სახრჩობელებით ვერ  
დაანაყრებთ. ბატონებო, როგორც ბატონ სტოლიპინის სიტუ  
ვიდან სჩანს, იგი ისე უდგება ამ უკანასკნელი დროის ამ-  
ბებს, თითქოს გულერთილ მამას ნებიერად გაზრდილი შვილი  
გაუჟინიანდა და უმიზეზოდ მას უპატიურად ხდის (სიცილი).  
ბ-ნ სტოლიპინს ჰგონია: ამ უმიზეზოდ გაანჩხლებულ ბავშ-  
ვს ერთი კარგი გატუპვა მოუხდება, რომ ის ისევ დაშოშ-  
მინდეს, ტახტზე მიწვეს და კვლავ ძილს მიეცეს (სიცილი,  
ტაში აკადემიურ წევრთა მხრივ).“

შინაგან საქმეთა მინისტრმა მომხსენებელს რეპლიკა ესრო-  
ლი, რაზედაც ილიაშ საკადრისი პასუხი გასცა:

„რაც შეეხება ჩვენი ეროვნული დროშის ასე მჩ ვარში გა-  
ხვევას, მე უნდა მოვაგონო ბ-ნ გურკოს, რომ ქართული  
დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახე-  
ლითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლ-  
ია, გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშას-  
თან ერთად გამოსულა საომარ ველზე და მისი წინამდლოლო-  
ბით ქართველობას არა ერთხელ დაუღვრია სისხლი...“

„...და ბოლოს, რა მთავრობაა ის მთავრობა, რომელსაც თა-  
ვისი ბატონობის შენარჩუნების საშუალებად მხოლოდ მათ-  
რახი და სახრჩობელადა დარჩენია?..“

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“ —  
დასძახოდა ერს ჩვენი ქვეჭის ლიდი მოურავი და ქართულ  
სკოლებს აარსებდა ჩვენი ქვეჭის გულმკერდიდან ძალით მო-  
გლევილ და შემდეგ კვლავ დაბრუნებულ სამხრეთ-საქართვე-  
ლოს, სამცხის — მესხეთის უცველეს მხარეში — აჭარაში, სა-  
დაც კვნესოდა ქართული სული. მომხდურნი თურქებად ზრ-  
დიდნენ ამ მკვიდრ ქართველთ, ქართველად დაბადებულთ და  
ვინაობას ავიწყებდნენ. ქართული გვარები ოღლებად გადაუ-  
კეთეს, აჭარა უცხოური ტალავერით შეპოსეს.

ჰოდა, ამ დუხშირ დროს ილია ჭავჭავაძე მფარველად და  
განმარტლებლად მოევლინა აჭარას. მისი მეთაურობით 1881  
წლის 23 მარტს პირველი ქართული სკოლა გაიხსნა ბათუმში.

ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, სანამ აჭარა დაუბრუნდა უფლის ბოდა თავის დედა-სამშობლო საქართველოს, ილია გრიშაშვილის „ივერიაში“ წერდა: „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარშმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შე-ვუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი ჩვენდა სასი-კეთულოდ კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმუ-რადვე მიიჭრობს მკერდზე თვალში სიხარულის ცრემლმო-რეული ქართველი“.

ბევრი უბედური დღე დასგომია ქართველსა და საქართვე-ლოს, მაგრამ 1907 წლის აგვისტო შავ ლავად დარჩება ქარ-თველის მატიანეში. ასჯერ დაწყვლილები ბინძური ხელებით შეეხნენ საქართველოს გვირგვინს. წიწამური შეიღება ილ-იას უმანქო სისხლით... ერმა იგი მამადავითს მიაბარა - ქა-რთულ პარნასს; ერის გლოვა ცასა სწვდებოდა!

უგუნურებმა ორი ათასი წლის წინ ჯვარი აზიდვინეს გო-ლგოთამდე ზეცით მოვლენილ ადამიანთა მხსნელს და იქ გა-ნგმირეს; მაგრამ რა იცოდნენ იმ უგუნურებმა, რომ კეშმა-რიტი ღმერთი გაცოცხლდებოდა და მისი სიტყვები მთელ მს-ოფლის მოედებოდა, ვით უკვდავება.

ილია ჭავჭავაძე ცოცხალია, განა მკვდარია! ის ქართველ-მა ერმა გააცოცხლა. ის მარადიულია, რადგან ილია ჭავჭა-ვაძე ქართველი ერია, მისი გულია და მისი უკვდავება. სა-ნამ იცოცხლებს ქართველი ერი, მისი შვილი ილიაც ცოცხა-ლია!

„აშ ილია არ მოჰყვდარა,  
მამულისთვის რჩება ლამპრად!“

თქვა აკაკიმ ილიასთან გამოთხვებისას.

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის კუთვნილებაა. იგი ზეპარ-ტიული და ზეკლასიურია. იგი ქართული მეობის ბელადია... არა მეფე, მაგრამ ქართული ეროვნებისა და აზრის მეუფე, ქართველი ერის სინდისი და მისი უკვდავება.

მინდია ლაშაური : „ქართ. სული“  
მილნენი 1961



დედაჩემს დიდი გავლენა ჰქონდა ჩემზე. პატარის მას ვეკითხებოდი თუ ვინ იჯნენ ჭელაზე დიდი ქართველები, იმ ფარული აზრით, თუ ვინ უნდა გამოვსულიყვავი, ან ვისთვის უნდა მიმებაძნა. „ილია და აკაკი“, შვილო“-ო. მას თვალსაჩინო აღგილზე ეკიდა დიდი სურათი: შოთა, ილია და აკაკი -სა, ქვეშ აკაკის სიტყვებით:

„სულმნათო მადლი შენს გამჩენს,

დიდება ერსა შენს მშობელს

და ქვეწად სამარადისოდ

ნეტარხსენება ამ სოფელს“.

ილიას და აკაკის ჭელა შრომები სუფთად ეწყნენ კარადაში. ჩუმად ვფიქრობდი და ვეკითხებოდი თავს, გამოვსულიყვავი ილია თუ აკაკი, ან ორივე ერთად! მაგრამ ერთი რამე მეტად მაწუხებდა და საზღვარს უდებდა ჩემ ბავშვურ ოცნებას, სახელდობრ: წერა არ მიუარდა და ჩვენ კარადაში მათ დაგროვილ ნაშრომებს რომ ვხედავდი გულზე მეყრებოდა!

მამას ჰყავდა აუგანილი მზარეულად ილია რაზმადე, ილიას ყაფილი მზარეული. ეს მეტად მახარებდა, რადგან მან იცოდა საუცხოოდ კერძების შეკაზმვა სიმებავითა და ნიგვზით. მიხაროდა, რომ მე იგივე საჭმელს ვჭამდი, როგორც ილია.

როცა გავიგე, რომ ილია 1907 წელს მოჰკლეს და განვიდა ამა ქვეწიდან და მე სწორედ იმ წელს დავიბადე, ეს მეჩვენებოდა ერთგვარ მოვალეობის დაკისრებად.

რატომ მოჰკლეს ასეთი კაცი? სულ თავს ვეკითხებოდი და გული მიღონდებოდა.

ვაჟა ფშაველას გარდაცვალების ცოტა უფრო ადრე, ჭიათურაში გადაუხადეს მოწვევა. მამამ სახლშიც დაბრიუა.

დედამ მას დიდი სუფრა გაუმართა. მახსოვეს: იჯდა ჩიხაში გამოწყობილი სუფრის თავში. სადილი თავდებოდა, დედამ მითხრა: შვილო ის კაცი დიდი მგოსანია, წალი და თხოველექსი დაგიწეროს. — ილიაზე დიდია? — შევეკითხე მას.

გარკვევით არ მიპასუხა, — წადიო. დარცხვენილი მივედი და ვთხოვე ლექსი დამიწერეთ-თქვა. ამიჭანა, მუხლზე დამიჯინა, უბიდან წიგნაკი ამოილო და დამიწერა:

„არწივი ვნახე დაკრილი,

\*\*\*\*\*



ფავ-ჭორნებს ეომებოდა,  
ეწადა ბეჩავს ადგომა,  
მაგრამ ვეღარა დგებოდა,  
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,  
გულისპირს სისხლი სცხებოდა.  
ვაჲ, დედას თქვენსა, ყავებო,  
ცუდ ღროს ჩაგიგდავთ ხელადა,  
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს  
გაშლილს, გაფანტულს ველადა!“

ეს ლექსი გადმომცა, მე კი კინაღამ გული შემიღონდა. ამას არ მოველოდი! ვაჲას თვალი ჰქონდა გაფუჭებული და ცრემლი ჩამოსლილი და ხშირად იწმენდდა. ეს მას აძლევ-და მეტად მწუხარე გამომეტყველებას. თან მიკვირდა: ნუ-თუ ახლა სუფრაზე მოიგონა ასეთი გარეი ლექსი? ვაჲას ამ ამბის შემდეგ დიღხანს აღარ უცოცხლია.

**1915** წელს, როცა აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, საჩე-რიდან განსაკუთრებული მატარებლით ჩამოასვენეს ჭიათურა-შიც და ჭაველ სადგურზე უმართავდენ შეხვედრას. ჩვენ პა-ტარა ბავშვები რკინიგზის გასწვრივ დაგვაჭნეს და როცა მატარებელი ჩამოდგა დაგვაჩიქეს. ვფიქრობდი, რომ: აკაკი მიღიოდა ილიასთან.

ჭუთაისის ძველ სათავად-აზნაურო ვიმნაზიაში ვსწავლობ-დი. სასწავლებელში „საღამოს“ აწყობდნენ და კლასებში აგ-როვებდნენ ბავშვებს, ვინც კარგად იტყოდა ლექსებს საღა-მოსთვის. ჩვენ კლასში მასწავლებელმა მე ამირჩია, ვამბო-ბდი ილიას ლექს „მუშა“-ს, გრძელსა და ძნელად სათქმელს. კლასის მასწავლებელმა კი მიმიღო, მაგრამ საბოლოოდ სილო-ვან ხუნდაძეს უნდა მოესმინა, როგორც სკოლის ინსპექტორს. ის იყო მქაცრი კაცი და მისი დიდი შიში მქონდა. დავიწ-ჭ ხმის კანკალით: გლოვიან დღესა თბილისშია ... – რას? აიმღლა ხმა სილოვანმა. – გაიმეორე. მე კიდევ დავიწ-ჭ: გლოვიან დღესა... წადი დაჯერი! გამომისტუმრა მან. მხოლოდ გვიან გამახსენდა, რომ უნდა მეოქვა: გოლვიან დღე-სა; ეს იყო ჩემი შეცდომა.

ილიას ნაწარმოებებს სკოლაში საფუძვლიანად გვასწავლიდ-

ნენ ჯერ კიდევ ქუთაისში. შემდეგ, როცა ისევ ჭირულურად ში დავბრუნდი, იგივე იყ. აქ კარგი პედაგოგი ტერიტორიაზე გართაგავა გვხვდა მასწავლებლად ქართულში და ილიას დიდ ჟურალებას აქცევდა. ილიამ არა მარტო ჩვენი სკოლების საშუალებით იქნია დიდი გავლენა ახალგაზრდობაზე, არამედ მთელი მისი ცხოვრება იყ. თვეალსაჩინო მაგალითი.

**1937** წელს, როდესაც ილიას მკალელობის ოცდათი წლის-თავი იყ, მე მას გულიდან დაუწერე ჩემი ლექსი, უკვე უცხოეთში: **ილიას 1937.**

**მინაჭერი.** გრიგოლ რობაქიძეს წაეკითხა ეს ლექსი და სადაც ნათქვამია: „დიდი ცოდვა ჩვენ დავვეწერა“, ეთქვა: „მე არაფერი ცოდვა მიმიდღვის ამ სიკვდილში“. საცოდავი გრიგოლიც უცხოეთში გარდაიცვალა და ილია ჭავჭავაძის მკალელობის მოვლენა მთელ საქართველოს ბეჭ-ილბალს დააჩნდა. მან ყელასათვის გამოიღო მწარე ნაყოფი.

### ი რ ა კ ლ ი ო თ ხ მ ე ზ უ რ ი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ი ლ ი ა ს ბიოგრაფია მოკლედ

ი ლ ი ა დაიბადა სოფელ ჭარელში 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტილით) ჭავჭავაძითა ძეველ არისტოკრატიულ ოჯახში. ილიას მამა გრიგოლი, დაბადებული 1811 წელს, დაოჯახებამდე ჭავჭავაძია დრაგუნთა პოლკის ოფიცერი, მონაწილეობა მიუღია რუსეთ-ოსმალეთის 1828 - 29 წლების ომში, სადაც თავი უსახელებია და ჯილდოც დაუმსახურებია. ომის შემდეგ ის თავს ანებებს სამხედრო კარიერას, 1833 წელს ცოლად ირთავს 15 წლის მარიამ(მაგლანე) ბებურიშვილის ასულს, თბილისში მცხოვრებ აზნაურის შვილს, სახლდება სოფლად და აგრძელებს მამა-პაპურ სოფლის მეურნეობას. ჭავჭავაძიანთა ერთ დროს მდიდარი და დიდებული ოჯახი ამ დროს გაღარიბებული და ვალებში ჭავჭავაძის ძების ხელგაშლილი ცხოვრების წყალობით. გრიგოლს ჯანი და გარჯა არ დაუკლია, მაგრამ მაინც ოჯახის შეჩრდული იდონომიური მდგომარეობა მთლად ვერ გამოიუსწორებია. ასე, რომ ილიამ ბავშვობა და ჭაბუკობა სიღარიბეში გაატარა.

მშობლები ილიას ადრე დაეხოცა: დედა, 30: წლისა, 1848 წელს ხოლო მამა – 1852-ში. ილიას ოჯახის მატერიალური მდგრადი რეობა კიდევ უფრო გაუარესდა და თუ მამა-პაპეული სახლებრი ვალებში არ გაუყადეს, ეს მამიდამის მაკრინეს წყლობით, რომელიც არაგვის ერისთავის ივანეს ქვრივი ყაფილა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, გრიგოლს და მაკრინე მოუყანია 6 ობლის აღსაზრდელად და მაკრინესაც დიდი დედობრივი ამაგი გამოუჩენია. ილიას და-ძმებიდან: კონსტანტინე 22 წლისა მოუკლავთ ლეკებს 1854 წელში წინანდალზე თავდასხმის დროს, სვიმონი მცირეშლოვანი გარდაცვლილა, ხოლო თემური – 15 წლისა 1860: წელში, როცა ის კადეტთა კორპუსის მოწაფე ყაფილა და რომელიც ილიამ დიდი მწუხარებით დაიტირა ლექსში: „მის სიკვდილზე“.

ილიას შერჩა მხოლოდ ორი და ბოლომდე: უფროსი – ნინო და უმცროსი – ელისაბედი.

რვა წლის ილია მამამ სოფლის სკოლაში მიაბარა, სადაც მას უსწავლია 1848 წლამდე. 1848 -51 წლებში ილია სწავლობს თბილისში გიმნაზიის მოსამზადებელ პანსიონში, საიდანაც ის გიმნაზიის მეოთხე კურსზე ჩაირიცხა 1852 წლის იანვარში. 1856 წ. ილიამ გიმნაზია დაამთავრა, მაგრამ მას სიმწიფის მოწმობა არ ჩაუბარებია. 1857 წელს ილია პეტერბურგს მიემგზავრება, სადაც ის მისალებ გამოცდებს აბარებს და ჩაირიცხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ილიამ ოთხი წელიწადი დაჭყო. აქ, სავალდებულო საგნების ჩაბარების მხრივ, ილია დიდათ არ გამოიჩინა. სამაგიეროდ, ის გატაცებით კითხულობს და სწავლობს: მსოფლიო ლიტერატურასა და ისტორიას, განსაკუთრებით – ათენის რესპუბლიკის ისტორიას. ამ დროს მისი საყვარელი ავტორებია: შექსპირი, დიკენსი, გოეთე, შილერი, ბაირონი, გირგილიუსი, ჰორაციო, პაინე და აგრეთვე: ბეკონი და დეკანტი. სტუდენტი ილია გატაცებულია გარიბალდის ბრძოლებით და საერთოდ ეეროპის ხალხთა განმათავისუფლებელი მოქანაბებით. ილია ფხიზლად ადეკვებს თვალყურს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატულ მოძრაობას. როგორც მისი ბიოგრაფები დამაჯერებლად იჩინებიან, სტუდენტ ილიას ახ-

ლო ურთიერთობა ჰქონებია უურნალ „სოვერენიკ“ მასში ჩატარებულ ლივ შემოკრებილ ამ მოძრაობის ისეთ სახელგანთქმულ მომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ: ჩერნიშევსკი, დობრო-ლიუბოვი და ნეკრასოვი. ამ რუს პროგრესისტებით ილიას დაინტერესება აიხსნება მით, რომ ისინი თანაუგრძნობდენ რუსეთის მიერ დაპტომბილ ერთა განთავისუფლებას.

სტუდენტი ილია არა მხოლოდ ცოდნის შეძენას ეწავება, არამედ აგრეთვე ეწევა დაძაბულ ლიტერატურულ შემოქმედებას. ილიას სტუდენტობის წლებს ეკუთვნის მისი ლირიკის უმრავლესობა და მისი ისეთი შედევრები, როგორებიცაა: „აჩრდილი“ (1858-59), „გლახის ნამბობი“ (1859) [ესკიზი და მოთხრობის პირველი ნაწილი, საბოლოოდ კი დაასრულა 1873 წელს], „ქართვლის დედა“ (1860) და „კაკო ჭარალი“ (1860)

დიდმა შრომამ, სიღარიბემ და ჩრდილოეთის კლიმატმა გასტეხა მისი ჯანმრთელობა, 1859 წელს მას ჭრეში აღმოაჩნდა, ფილტვებიდან სისხლის დინებით. ფიქრობენ, რომ ეს იყო მიზეზი 1861 წ. ზაფხულში მისი აჩქარებული სამშობლო-ში დაბრუნებისა, უნივერსიტეტის გამოსაშვები გამოცდების ჩაუბარებლად. ზოგი ილიას ბიოგრაფი კი ფიქრობს, რომ ილიას აჩქარებული წამოსვლა პეტერბურგიდან გამოწვეული იყო დაპატიმრების შიშით. მართლაც, იმავე წლის შემოდგომაზე პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა დიდ მღელვა-რებას ჰქონდა ადგილი, რის შედეგად უნივერსიტეტი დრო-ებით დახურეს და ბევრი შემჩნეული სტუდენტი იქიდან გა-აძევეს. ილიამაც გარიცხვის მოწმობა მიიღო უნივერსიტე-ტიდან. ამრიგად, ილია უდიპლომოდ დარჩა. უდავოა, რომ ილია ამ დროს უკვე პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმ-ყოფებოდა.

სამშობლოში დაბრუნებული ილია დაუყოვნებლივ ებმება ლი-ტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ის ჯერ კიდევ „ცისკარში“ თანამშრომლობს, როცა მის ირგვლივ შე-მოიკრებს თანამრაზრეთა ჯგუფს, რომელსაც შემდეგ მწერა-ლმა და პუბლიცისტმა გიორგი წერეთელმა პირველი დასი უწოდა. ამ წერეში შედიოდენ: პეტრე ნაკაშიძე, გიორგი ყა-ზბეგი, ივანე პოლტორაცკი, მიხეილ ჭაფიანი, ივანე ბერიძე, დავით ჭაფიანი, გიორგი ჩიქოვანი, ილია წინამძღვრიშვილი,



ვახტანგ თულაშვილი და სხვა. მათ შემდეგ შეუერთდებოდა აკი და გიორგი ჭერეთები, ნიკო ნიკოლაძე, კირილ ლომაძე ქიფანიძე და სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

**1863** წელს ილია აარსებს უურნალ „საქართველოს მოამბეს“, რომელიც ხსნის ახალ ხანას ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. უურნალმა მხოლოდ ერთი წელიშადი იარსება. მან თორმეტი ნომრის გამოსვლა მოასწრო, რომ ის ხელისუფლებამ დახურა. ამავე დროს ეკუთვნის ილიას დიდი მცდელობა ქართული ლიტერატურული საზოგადოების დასაარსებლად, ხალხში ქართული ჭერაკითხვისა და წიგნის გავრცელების დანიშნულებით, მაგრამ ხელისუფლებისაგან ნებართვა ვერ მიიღო.

**1863** წლის 21 აპრილს ილიამ იქორწინა ოლღა გურამიშვილზე. **1864** წლის აპრილში ილია ინიშნება საგანგებო მინდობილებათა მოხელედ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან. იმავე წლის ნოემბერში კი – მომრიგებელ-შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში. ესაა ხანა ბატონჭობის გაუქმებისა. **1868** წ. ილია ინიშნება დუშეთის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლედ.

**1873** წლიდან ილია თავს ანებებს სახელმწიფო სამსახურს, სახლდება თბილისში და სათავეში უდგება „სათავადაზნაურო საადგილმამულო“ ბანქს. განუზომლად დიდია ამ ბანკის და მისი სულისჩამდგმელის დამსახურება ქართ. ხალხის წინაშე.

**1876** წელს ილია აარსებს „ივერია“-ს, რომელიც პირველ წელიშად გმოდიოდა კვირეულ გაზეთის სახით, შემდეგ 1879-86 წლის იანვრამდე – უურნალის სახით, ხოლო აქედან მოყოლებული თერთმეტი წლის განმავლობაში – ყოველდღიურ გაზეთად. ამ დროს მისი სამწერლობო ასპარეზი უმთავრესად პუბლიცისტიკაა, რომლის მთავარი ლეიტმოტივია: „ჩვენი და-ცემული ეროვნული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაუნება და დაცვა-გაძლიერება“. მაგრამ იმავე დროს ის ქმნის ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებსაც, როგორებიცაა: დიმიტრი თავდაცემული (1877 - 78), სარჩობელაზე (1879), პოემა განდეგილი (1882-83), ბაზალეთის ტბა (1883).

თოხმოციან წლებში ილია იღწვის ქართულ სკოლებში ქართული ენის შენარჩუნებისათვის და სამეცნიელოსა და აფხაზეთის სკოლებიდან მისი გაძევების წინააღმდეგ. ამავე პერიოდ-

## ილიას ბიოგრაფია მოკლედ

ში ილია ასულდგმულებს „ქართველთა შორის წერაცემით მონაცემის გავრცელების საზოგადოებას“, რომელიც ოფიციალური და-აბრამა 1879 წელს და რომელსაც 1885 წლამდე თავმჯდომარე-ობდა დიდი ეროვნული მოწამე დიმიტრი გაფიანი, ილია კი მისი მოადგილე იყო. შემდგომად ამისა, ილიაა უცვლელი თა-ვმჯდომარე სიკვდილამდე ამ მეტად დიდმნიშვნელოვან ერო-ვნულ დაწესებულებისა.

როგორც მაშინდელი პოლიციის არქივიდან იჩქვევა, 1884 წლის 21 ივნისიდან ილია აყანილია პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც: „ეროვნული განთავისუფლე-ბის მოძრაობის ბელადი“.

1879-80 წლებში ილიას აქტიური მონაწილეობით აღდგენილ იქნა მუდმივი ქართული თეატრი, ჩამოყალიბდა მსახიობთა მუდმივი დასი, დაარსდა ქართული დრამატიული საზოგადო-ება, თეატრალური საქმიანობის სახელმძღვანელოდ, რომლის თავმჯდომარედაც არჩეული აქნა ილია. ამავე ოთხმოციან წლ-ებში ილიას თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა: „ძველი ქართ-ული ხელნაწერების სიძველეთა საცავს“, რომელიც ფუძედ და-ედგა ქართულ ეროვნულ მუზეუმს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1886 წლიდან ილიამ „ივერია“ ჟუგლდლიურ გაზეთად გადააკეთა. თერთმეტი წლის განმავ-ლობაში „ივერია“ არის საქართველოში ერთადერთი ქართუ-ლი ჟუგლდლიური გაზეთი. „ივერიის“ უახლოესი თანამშრომლ-ები იყვნენ: გრიგოლ ჭავშიძე, ალექსანდრე ჭავშიძე (ფრონელი), სტეფანე ჭრელაშვილი (სანო), იაკობ მანსვეტაშვილი (დონია-გო), სოფრომ მგალობლიშვილი, ილია ბახტაძე (ხონელი), ალ-ნანეიშვილი (ნა-ლი), დავით მიქელაძე (მეველი), გიორგი ლა-სხიშვილი (ლალი), გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), კიტა აბაშიძე, ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), პეტრე უმიკაშვი-ლი და სხვა ... გაზეთში თანამშრომლობდენ: აკაკი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა ფშაველა, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგება-შვილი და სხვა...

ილიამ 1887 წელს დასწერა და 88 წელს ივერიაში გამოქვე-ჭდა „ოთარაანთ ქვრივი“, რომელიც ჟელაზე დიდმნიშვნელო-ვანი ნაწარმოებია მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლო-ბისა, და რომელშიც ახალმა ქართულმა ენამ პპოვა თავისი

სრულყაფილი გამოსახულება.



90 -ან წლების შუა, თბილისის სასულიერო სემინარის გაფიცვებთან დაკავშირებით, პოლიციის მეთვალყურეობა იღიაზე განსაკუთრებით ძლიერდება. 1895 წელს კავკასიის უანდარერიამ გაჩხრიკა იღიას ბინა, 1896 წელს კი ხელისუფლებაში დახურა გაზეთი „ივერია“. 1897-ში იღიამ მაინც შეძლო მისი განახლება. მაგრამ, როგორც ირკვევა, ხელისუფლებასა და მის პოლიტიკურ პოლიციას საიდუმლო გეგმები აქვს იღიას ავტორიტეტის დასაცემად. ეს გამომედავნდება, როცა იღია ქავჭავაძის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილესათვის დაიწყო მზადება. იუბილე დანიშნული იყო 1898 წლის 9 აპრილისათვის. იუბილე ხელისუფლებამ აკრძალა. თბილისის გენერალ-გუბერნატორს ამის შესახებ განუცხადებია: „არა კეთილსაიმედოთა სიაში გახლავთ თქვენი დევგმირი იღიაო“—წერს სოფრომ მგალობლივილი ნიკო ნიკოლაძეს.

1897-98 წლები სხვა მხრივაცაა ფრიად მნიშვნელოვანი, როგორც საერთოდ ქართული საზოგადოების, ისე პირადად დიდი იღიას პირად ცხოვრებაში. 1898 წლის პირველ იანვრიდან ჟურნალი „კვალი“ გახდა ქართველი მარქსისტების პირველი ლეგალური ორგანო, ნოე უორდანიას რედაქტორობით. ამ დღიდან მოყოლებული იღია ბრძოლას აჭარმოებს ორ ფრონტზე: შიგნით, მარქსისტული სოციალიზმის მიმდინარეობის წინააღმდეგ. ამ ფრონტზე ბრძოლა თანდათან უაღრესად მწვავდება და უკიდურეს ფორმებს ღებულობს; და, გარეთ, რუსეთის თვითმდწირობელ ხელისუფლებისა და მის შოვინისტ დამქაშების წინააღმდეგ. იღია ჯანმრთელობის დაუზოგავად საქმიანობდა მთელი მისი შეგნებული ცხოვრების გზმავლობაში, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბრძოლებმა და მისგან მიყნებულმა უსიამოვნებებმა კიდევ უფრო გასტეხეს მისი რკინის ჯანმრთელობა ისე, რომ 1900 წელს, 63 წლის იღია ავად გახდა, რამაც ის აიძულა: მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა ჯერ შეემსუბუქებია, მერე კი სულ თავი დაენებებია. 1901 წლის ნოემბრიდან დროებით, ხოლ შემდგომი წლის აპრილიდან საბოლოოდ იღიამ მისი „ივერია“ ალექსანდრე სარაჯიშვილს გადასცა.



**1900** წელს ილია სამკურნალოდ მგზავრობს გერმანიაშიც უცილენავ ამავე დროს ის დაწერილებით აღგილზე ეცნობა განუმანისტურებელ და ავსტრიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებას, შემდეგ წელს კი ილიამ იმგზავრა პარიზში.

როცა **1905** წლის რევოლუცია იფეთქებს რუსეთში და საქართველო განსაკუთრებით აბობოქრდება, დიდი ილია თუმცად ჯანგატეხილია, მაგრამ არა ფარმალდაჭრილი. მან სწრაფად შეაფასა მდგომარეობა და საქართველოს პოლიტიკური ავტონომიით გამოვიდა. ილია მკაცრად ილაშქრებს რუს შავრაზ-მელთა თარეშების წინააღმდეგ და ზოგიერთ გადაგვარებულ ქართველებს, რომლებიც იმავე მიზნით იარაღდებიან სასტიკ-ად ამათრახებს კრებებსა თუ თათბირებზე.

**1906** წელს თბილისის საგუბერნატორო ხელისუფლება რუსეთის საიმპერიო საბჭოში აგზავნის: ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს და გიორგი უშრულს, როგორც ქართველი ხალხის პოლიტიკურ წარმომადგენლებს. იმავე წელს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა ილიას იჩჩევს მის წარმომადგენლად სრულიად რუსეთის საიმპერიო თავადაზნაურობის ყრილობაზე. ორივეგან ილია გამოდის მთელი ქართველი ხალხის სახელით, მკაცრად აკრიტიკებს რუსეთის ხელისუფლებას და მას აკისრებს შექმნილ მდგომარეობის პასუხისმგებლობას. სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, **1907** წლის თებევალი-ივნისი,

ილია გამოდის ვრცელი და დასაბუთებული სიტყვით სიკვდილის სასჯელის გაუქმების სასარგებლოდ. აქედან ილია მეუღლესთან ერთად საზაფხულოდ, როგორც ყაველოვის, თავის სოფლისკენ გამოსწევს, სადაც მას ჩასაფრებული სიკვდილი უცდიდა. **30** აგვისტოს დვ. სტილით ილია და ქ-ნი ოლღა საგურამოში მიემგზავრებიან ეტლით. შუადღეა. წიწამურის მახლობლად მათ ეტლს წინ დაუხვდებიან შეიარაღებული ყაჩაღები და ილიას, მხოლოდ ილიას ტყვიებით დაცხრილავენ. ათი დღე მწარედ გლოვობდა ქართველი ხალხი. **9** სექტემბერს სრულიად საქართველო, რიგი ფიზიკურად, რიგი სულიერად, შემოქრება მისი დეირთასი ცხედრის ირგვლივ და გულმოკლულმა მიაბარა მთაწმინდის წმიდა მიწას.

მკვლელები ზოგი ამოხოცეს, ზოგი ჩამოაღრჩეს, მაგრამ ის თუ ვინ შეუკვეთა მათ ეს საშინელი ბოროტმოქმედება, უცნობი დარჩა.

36 ..... გ. უ შ ა გ . ი 14 ..... 1987 წ ლის ოქტომბერი





განმარტება ილია ჭავჭავაძის  
წმიდანად დაკანონების შემსახურების

გაზეთ „სამშობლო“-ს, — რომელიც „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების“ მიერ იცემა, თბილისში, ქართულ ენაზე, — გამოქვეყნებულია, 1987 წ. აგვისტოს, №16 -ში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატირიარქოს შემდეგი განცხადება :

„ჩვენი ერისა და ეკლესიის ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი ფაქტი: მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II თავმჯდომარებით ა.წ. 20 ივლისს შედგა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც კიდევ ერთხელ იმსჯელა ჩვენი ხალხის მიერ უკვე დიდი ხნის წინათ წმიდანად შერაცხილის და ქართველი ერის მეოხის—ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და მისი დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით განაჩინა: ერისა და ეკლესიისადმი გაწეული დიდი ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე აღიარებულ იქნას წმიდანად და ეწოდოს მას წმიდა ილია მართალი; მისი ხსენების დღედ დადგინდეს 20 ივლისი (ძვ. სტილი), 2 აგვისტო (ახ. სტ.).

ქართველ წმიდანთა რიცხვს შეემატა კიდევ ერთი დიდებული წარმომადგენელი ჩვენი ხალხისა. ილია ჭავჭავაძე ჩვენს საერთო მწერალთაგან პირველია, რომელიც საქართველოს ეკლესიამ წმიდანად აღიარა; ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების და მისი აღდგენის შემდეგ შერაცხილი პირველი წმიდანია.

სასიხარულოა, რომ ჩვენი საზემო განწყობილება გულით-ადად გაიზიარეს კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და ელადის უძველესი ეკლესიების მაღალი რანგის წარმომადგენლებმა, რომელიც იმ დროს სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოში.

ა. წ. 2 აგვისტოს (წმ. ილია წინასწარმეტველის ხსენების დღეს) სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, იქ, სადაც ჩვენი

\*\*\*\*\*  
უდიდესი საუნჯე, უფლის კვართი, წმიდა ილია წინამდებრები  
ტცელის ხალენი (მოსასხამი) და სხვა სიწმიდენი განისაზღვრება  
ბენ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია ილია II.

წმიდა სინოდის წევრებისა და სამღვდელოების თანამწირვე-  
ლობით ამ დიდი მოვლენის აღსანიშნავად შეასრულა პირვე-  
ლი საზეიმო ლიტურულია. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო.

შემდეგ სამთავროს ტაძრის ეზოში გაიმართა საზეიმო სა-  
დილი. იმავე დღის საღამოს კი მთაწმინდაზე, მწერლის საფ-  
ლავთან მისმა უწმიდესობამ ილია II სამღვდელოებასთან ერ-  
თად გადაიხსადა საზეიმო პარაკლისი. თითვის სიმბოლურია,  
ხანმოკლე წვიმის შემდეგ, ცაზე ორი ცისარტყელა გამოისა-  
ხა და გაგვახსენა ილიას სიტყვები:

„მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლუგვარდსა

შვიდფეროვანი სარტყლი ცისა

და გადეფინა ჩემს ქვეყანასა

მახარობელად ტკბილ იმედისა“.

საქართველოს მკვიდრთ და სამშობლოს ფარგლებს გარეთ  
მცხოვრებ თანამემამულეთ ვულოცავთ ჩვენი დიდი მწერლისა  
და საზოგადო მოღვაწის წმიდანად აღიარებას.

### ს ა ჭ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ”

I. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი, ამ თავის კო-  
მუნიკეში, თავიდანვე მიუთითებს ქართველი ხალხის მიერ ილ-  
ია ჭავჭავაძის უწინარეს დაკანონებაზე. ეს ტრადიცია არის  
საერთოდ მართლმადიდებელ ეკლესიის პრაქტიკაში.

II. რაც შეეხება მის მოტივებს, კომუნიკედან გამომდინა-  
რეობს, რომ აქ საქმე გვაქვს, საქართველოს ეკლესიისათვის  
მაინც, ახალი ტიპის წმიდანობასთან. წმიდა სინოდი გარკვე-  
ულად ღებულობს მხედველობაში ილია ჭავჭავაძის როგორც  
სამწერლობო ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობას. რასაკვირვე-  
ლია, არავთარი შეფასება არ არის მოცემული მისი ლიტერა-  
ტურული ნაწარმოებების არც ფორმაზე და არც შინაარსზე,  
როგორც ეს წესია ძველი საეკლესიო მწერლების შესახებ—  
ეკლესიის მამების. წმიდა სინოდს სურს იყოს გულისხმიერი,  
და ეს ჩანს „მართალი ილია“-ს სახელწოდებაში, რომელიც  
მიგვითითებს მწერლის მიზნებისა და მოტივების მორალურ

მხარეზე. ეს შემთხვევაში მწერალი საზოგადო მოღვაწეობულები მაშასადამე, მას აქტივში ეთვლება შეგნებულად გამჭვირით სამსახური სიცოცხლის განმავლობაში ერისა და ეკლესიისადმი.

**III.** როგორ მოხდა, რომ ადგილობრივმა პოლიტიკურმა ხელისუფლებამ, რომელიც თავს აცხადებს აქტიურ ათეიისტად და ახლოს აკონტროლებს საჯარო მანიფესტაციებს, რა ბუნებისაც ისინი არ იჯენენ, ნება დართო წმინდანად დაკანონების? ის ერთსულოვნება, რომელსაც მთელი ქვეყნა იჩენს მისი პიროვნების მიმართ, ილიას ხდის „შემოუცვლელად.“

დიდი ხნით აღრე იქნა გამოყოფილი საიუბილეო კომისია ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთაგის საზეიმებლად მთელს ქვეყნაში. სახლი, რომელშიც შესანიშნავი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ცხოვრობდა, და რომელიც 1951 წლიდან მუდმივ მუზეუმად გადაკეთდა, უნდა შეკეთდეს. მეცნიერებათა აკადემია გამოსცემს მის შრომებს ოც ტომად და სხვა...

### მოკლედ ახლად დაკანონებულ ილია ჭავჭავაძისზე

თავადი ილია ჭავჭავაძე დაიბადა 27 ოქტობერს 1837 წლისა, ქარელში (კახეთი). პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა ილია დაბრუნდა მის სამშობლოში, სადაც მან თავიდან სამსახური დაიწყო სასამართლოში.

1874 წლიდან ილია სახლდება თბილისში, სათავეში უდგება სათავადაზნაურო ბანკს, იწყებს უზრნალ „ივერიას“ გამოცემას და აგრძელებს მის ლიტერატურულ შემოქმედებას. 1906 წელს მას ირჩევენ რუსეთის საიმპერიო საბჭოს წევრად.

მის სიცოცხლეშიც და შემდეგ დღემდე ილია ჭავჭავაძე ახდენდა და ახდენს მთელ ქართველ ხალხზე ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის განწყობილებას. დღემდე მას მხოლოდ სახელით-ილია იხსენიებენ. რომ გავიგოთ ასეთი ხანგრძლივი და საყველთაო სიყვარული, საჭიროა ვიცოდეთ თუ რა მღვმარეობაში იმყოფებოდა მის დროს საქართველო. მართლაც, რაც შეეხება მის ეროვნულ ყოფას, ის იმყოფებოდა



ისტორიულ ჩიხში.

საქართველო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა მემკო-საქონი-დანვე, იმ ტერიტორიაზე, რომელიც აქარბებდა ახლანდელ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიას. **1057** წლიდან, ანტიოქიის ეკლესიის სინოდის დადგენილებით, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო. საუკუნე-ების განმავლობაში ბრწყნვალე პოლიტიკური და კულტურული განვითარების, განსაკუთრებით კი **XI-XII** საუკუნეებში, შემდეგ დაახლოებით **XIII** საუკუნის ნახევრიდან ქვეყნა ძლიერ დასუსტდა მონგოლების ხშირი შემოსევების შედეგად და საბოლოოდ ის დაიშალა სამ სამეფოდა და ხუთ სამთავროდ, რომელმაც მრავალი ისტორიული განსაცდელების მიუხედავად მაინც შეძლეს შეენარჩუნებიათ ან პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ანდა მთავარი სახელმწიფოებრივი ატრიბუტები მაინც.

**1801** წლიდან მოყოლებული რუსეთმა მათ მოუხდინა ანგესია და ისინი, რუსეთის სხვა ას პროვინციის მსგავსად, მის უბრალო რამდენიმე პროვინციად აქცია. უბრალო საიმპერატორო განკარგულებით, ყოველგვარი საეკლესიო პროცედურის გარეშე, გაუქმდებული იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია **1810-ში.** მთელს მის ეროვნულს სიგრცეშე ქართველ ხალხს თავს მოახვიეს შეუწყარებელი რუსიფიკაცია.

ერთ ერთობის ძირითადი იარაღი მუდამ იყო ქართული ენა, რომელიც, მიუხედავად კუთხური კილოკავების არსებობისა, დარჩა უცვლელი ერთადერთი დამწერლობის, ლიტერატურის ენად. ქართული ლიტერატურული ვენა არასოდეს არ ყოფილა შეწყვეტილი.

მეორე მხრივ, ზელა ეკლესიებსა და მონასტრებში ლიტერალია მუდამ სრულდებოდა იგივე ლიტერატურულ ქართულზე და ეს მიუხედავად ეროვნული ეკლესიის ფაქტიურად ორად გაფოისა, ქვეჭის პოლიტიკურ დანაშილების დროს.

საჭირო იყო ამ სალიტერატურო და საეკლესიო ენის ცოცხლიდ შენახვა ზელა იმ შინააური და გარეშე ცენტრალური დანაშილების წინააღმდეგ, რომელიც მას ემუქრებოდნენ.

ილია ჭავჭავაძე იყო ახალი ქართული ენის მთავარი შემოქმედი, როგორც ლინგვისტური ფორმების, ისე ზოგადი კულტურის

თვალსაზრისით: თემატიკა და ახალ რეალობასთან მიუკრებული ამისთვის იღვწოდა ის ახალგაზრდობიდან დაწყებული რესის რად და ენერგიულად. ქართული ინტელიგენცია, ერთად აღებული, მოღვაწეობდა ამავე მიმართულებით. ლიტერატურული და თეატრალური საქმიანობის გარდა, ის სცემდა უურნალებს, აარსებდა ბიბლიოთეკებს, მოზეუმებს, წერა-კითხვის გამაგრცელებელ საზოგადოებას და სხვა... ამ საქმიანობამ შესაძლებელი გახდა 1917 -ში ქართული სახელმწიფოს რესტავრაცია სპონტანურად, ყაველგვარი შეხლა-შემოხლის გარეშე, რომელიც მოიცავდა მთელი მისი ეროვნული ტერიტორიის სივრცეს.

ილია ჭავჭავაძე მოკლული იქნა მისი დიდების ზენიტში, 1907 -ში, რამდენიმე წარმატების მიერ, ლომელნიც შეპჭრობილნი და დასჯილნი იქნენ. ცხადია, რომ ისინი მოქმედებდნენ წამქეზებლების შეკვეთით, რომელთა ვინაობა უცნობი დარჩა: ბრალს სდებლნენ როგორც იმ დროინდელ პოლიციას, ისე რევოლუციურ ჯგუფებს. ილია ჭავჭავაძე მარტო ჭარმოადგენდა სიძლავრეს, რომლის დამარცხებაც მხოლოდ მისი ფიზიკური განადგურებით შეიძლებოდა.

გავიხსენოთ ბოლოს, რომ ილია ჭავჭავაძე იყო ერთგული მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი და იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსაღენად.

### დეკანოზი ილია მელია

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ილია არ შემცდარა\*)

იმასთან შედარებით, რაც კაცობრიობას უცხოვრია, აღამი-ანის სიცოცხლე ისეთი ხანმოკლეა, როგორც წვეთი ზღვაში. შვილი მამას ცვლის, ძველს ახალი თაობა და ყველ თაობას ერისა და კაცობრიობის ცხოვრებაში შეაქვს პროგრესი. ის, რაც ერთი თაობისვის მისაღები და დამაკმაყოფილებელია, შემდეგი თაობისთვის ჩარჩოები ვიწროა, იგი ვეღარ ეტევა შიგ და ცდილობს მის გაფართოებას, ანდა სულ განგრევასაც კი. ყველთვის ხდება-ხოლმე დაპირისპირება თაობებს შორის

და, როგორც წესი, ძველი და ახალი თაობების ბრძოლაზე აღი თაობის გამარჯვებით გვირგვინდება-ხოლმე. პროგრესიული კელთვის მიმდინარეობს ერის, სარწმუნოების, ოჯახისა და ტრადიციების ფარგლებში.

მაგრამ, არის საუკუნეთა სენი, რომელიც საზოგადოებას მატლივით გაუჩნდება და ორნაის მას შეგნიდან. ეს სენია შური და მტრობა, ბატონბის დაუყებელი სურვილი, ერის, სარწმუნოების, ოჯახისა და ტრადიციების უარყოფა. როცა ეს სენი ფართოდ ვრცელდება ამა თუ იმ ერში, მაშინ იწყბა მისი დაკნინების ხანა და ზოგჯერ – სიკვდილისაც. ამის მაგალითები ბევრი იცის კაცობრიობის ისტორიამ.

მეოცე საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყსში ცივილიზებული კაცობრიობა სწორედ ამგვარი სენით იყო და-ავადებული. საუბედუროდ ჩვენდა, ჩვენმა მამებმა ეს სენი, რომელსაც სოციალიზმი ჰქვია, შემოიტანეს რუსეთიდან და ახლგაზრდული გატაცებით ფართოდ გაავრცელეს ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ადამიანი ბუნებით ანარქისტია და მეოცნებე. მას არ სურს რამეს ან ვინმეს დაემორჩილოს და განა გასაკვირვებელია, რომ ქართველი ხალხი სოციალისტური იდეების ანგესზე წამოგებულიყა?! ის ხომ ადამიანს პპირდებოდა სამოთხეს დედამიწაზე? განთავისუფლებას ჭაველგვარი საზოგადოებრივი მოვალეობისაგან, ფრინველსავით თავისუფლებას და სხვა ფანტაზიურ დაპირებებს.

იმ დროს ქართველ ხალხში დაგროვილი იყო ენერგია და სოციალისტურ იდეებში მან დაინახა შურისძიების ძალა რუსეთის ხელისუფლებისაღმი, რომელმაც მას სისხლი ამოსწოვა და მონობის ულელი დაადგა. ქართველი ხალხი გაჰქვა ამ იდეებს, მაგრამ ამ მოძრაობის ლიდერებმა, იმის მაგივრად, რომ ის სამშობლოს საკეთილდღეოდ მიემართათ, პირიქით, მის საწინააღმდეგოდ მიმართეს: მათი პარტია რუსების სოციალისტურ პარტიას დაუქვემდებარეს და შიგნით, ქართველ ხალხში კლასთა ბრძოლა გააჩაღეს. თუ წინად რუსეთის სახელმწიფოს ქართველი ხალხის გარუსება უძნელდებოდა, რა-დგან ის ენის, სარწმუნოების, ოჯახისა და ტრადიციების მაგარ ჯავშანში იჯდა, მას შემდეგ, რაც ეს ჯვშანი შიგნი-

დან გატყდებოდა, მტერს ბრძოლის ველი დაუცველური ჩემი მუდან  
წინად თუ თავადაზნაურობის ზედა ფენა რუსდებოდა, მაგრა გარებას.  
გზა ეხსნებოდა მთელი ერის გარუსებას.

ცნობილია: პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის მთავ-  
რობა საფრანგეთისა და რუსეთის სოციალისტებს ეხმარებოდა,  
რაღაც მან კარგად იცოდა, რომ, როდესაც ერს შიგნით გა-  
უჩნდება ბრძოლა კლასებს შორის, მაშინ გარეშე მტერი მას  
ადვილად ამარცხებს. რუსეთის ხელისუფლებაც ამავე მოტივით  
ხელს უწყობდა კავკასიელ სოციალისტებს, მაგრამ თვით რუსე-  
თი უმაღლესი დაინგრა ამ სენისგან.

ისმის კითხვა: ნუთუ სოციალიზმს არ ჰყავდა ღირსეული  
მოპირდაპირე ჩვენში? დიახ, ჰყავდა და ის იყო ილია ჭავჭა-  
ვაძე. ილიამ ამ მოძრაობაში თავიდანვე დაინახა საქართვე-  
ლოს დალუკის ნიშნები და მთელი თავისი ძალით აღსდგა  
მის წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაორის, ილია დარჩა მარტოდ-  
მარტო ამ ბრძოლაში. ილია მარტო, მაგრამ მეღვრად, იცავ-  
და საქართველოს მეობას, ქართველი ხალხის ერთობის იდეას,  
სარწმუნოებას, ოჯახსა და ტრადიციებს და მის მაგარსა და  
მკვიდრ საფუძვლებს ვერას აკლებდნენ დამარღვეველი სოცი-  
ალისტური ტალღები. საჭირო იყო ამ ბურჯის დანგრევა...  
და აი მოჰკერეს ილია. მოსკოვეს ის მუხა, რომელსაც ღრმად  
ჰქონდა გადგმული ფესვები ქართველი ხალხის გულში. მათ  
მოსკოვეს სხეული და ამით დროებით მაინც გაამარჯვებინეს  
თავიანთ ბნელ იდეებს.

ილია მოჰკერეს, მაგრამ მისი სული ცოცხალია. ის საქართ-  
ველოს აჩრდილად ზედ დაპყრობებს. მისი სული ყველა მამული-  
შეიღლშია. მის მოჰკერილ სხეულს ცოცხალი ფესვები დარჩა და  
მან ამოიყრა ახალი კლორტები. დღეს ჭელას შეუძლია თქვ-  
ას, რომ ქართველი ხალხი არ დაილუპება, რადგანაც ილიას  
სული ჩაქსოვილია ქართველი ხალხის სულში, რომელიც საქ-  
ართველოს პირდება დიდ და ბრწყნვალე მომავალს.  
ილიას სულს შეუძლია თამამად თქვას: მე შევქმენ ჩვენი  
მყაბადი, მე მივეცი მომავალი ხალხს. ამ ბუმბერაზ ქართველს  
უფრო ღრმად შეისწავლიან მომავალში და ქართველი ხალხი  
მის ხსოვნას ატარებს უკუნითი უკუნისამდე.

\*) ბ-ნ მ. თარაშვილის ეს წერილი „გუშაგის“ პოზიტიურულ  
საწინააღმდეგო აზრისაა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შედების  
თხში. ვაქევექებთ მას, როგორც ჩვენი საზოგადოების ერთი  
ნაწილის აზრსა და შეხედულებას.

\*\*\* \*\*\*

„ვ ი ა დ თ ლ ი რ ი ხ ა“\*\*)

ეროვნული თავისუფლება !

ეროვნული დამოუკიდებლობა !

არიან დედამიწაზე ბედნიერი ერები, რომელთაც ეს „უცნა-  
ური საფიქრალი“ არ ეფიქრებათ.

ხოლო ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ისტორია სწორედ  
ეროვნული გადარჩენის, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვ-  
ნული დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში გამო-  
ატარა.

ვიქნები თუ არ ვიქნები ვითარცა ერი ხვალ, ზეგ, მერმისს?  
გადავრჩები თუ ვერ გადავრჩები, ვიარსებებ თუ ვერ ვიარსე-  
ბებ?! აი, მარადიულ შემარყველი საფიქრალი და „საკითხა-  
ვი“ მცირერიცხოვანი ერებისა.

მაგრამ დანასისხლად გადამტერებული საისტორიო ბედისწე-  
რისაგან, ქართველ ერს მაინც დასდევდა ეს „იღბალი“: კვ-  
ელ უმძიმეს ეროვნული ყაფნა-არყოფნის მდგომარეობათა შე-  
ქმნის უამს უნდა გამოჩენილიყ ვინმე „ეროვნული წინამდო-  
ლი“, „მოძღვარი“, „ერისმთავარი“, „მესაჭვე“, „ბელადი“, გვირ-  
გვინოსანი თუ უგვირგვინო „მეფე“, რომელიც „ზეგარდმი ნი-  
კით“, უტუარი ალლოთი და გერმით, ვითარცა მოსე, უწინამ-  
ძღვრებდა და გამოიყანდა მშობელ ხალხს უეჭველი დაღუპ-  
ვის მარგუნებელი სამყაროდან.

მაგრამ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ძნელი იყ  
„ერის მთავრობა“, „ერისმოძღვრობა“, „ერისმწყმსობა“, ძნე-  
ლი იყა, რადგან უამრავი „იზმით“ ავსებულიყ აზროვნების  
ბედისწერით ატანილი ეს დრო-უამი: კაპიტალიზმი, იმპერია-  
ლიზმი, კოლონიალიზმი, მილიტარიზმი, ანარქიზმი, ცარიზმი,  
შოვინიზმი, ნაციონალიზმი, მონარქიზმი, პარლამენტარიზმი,  
ანტაგონიზმი ... და ვინ მოთვლის კიდევ -რამდენი „იზმი“?  
ხოლო, ყველი - „იზმი“ თავის საკუთარ, თავის სასისხლოს

მოითხოვდა: დიახ, სისხლს! კაციშვილის სისხლს!.. უკრავებელი პირების სისხლისას

მცირერიცხვგანი ერები კი განსაკუთრებით ზარალდუმას მსოფლიო „იზმებისათვის“ უზღვავი სისხლის გაღებით. მცირერიცხვგანი და აქტიური ერები!..

საქართველოს კი არასოდეს, მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, არ დაუთმია „მსოფლიო აქტიურობა“. არა-სოდეს იგი არ ყოფილა მხოლოდ გულგრილი მეთვალყურე და „გამოწვეტილი“ მაჩანჩალა რამე და რომელიმე მსოფლიო მოვლენისა, მსოფლიო მოძღვრებისა, იდეისა, ნოვატორული თუ რენესანსული მსოფლიო ინტელექტუალური მიღწევისა.

გამოწვეტილა კი არა, უბრალო „მიმღევრობას“, თუნდაც კა-თილშობილურ ეპიგონობასაც არ კმარისობდა და არ „კადრულობდა“ ქართველი კაცი. იგი მთელი არსებით, სულისა და ხორცის სრული შეწირვით უნდა მისცემოდა ყაველ მსოფლიო მოვლენას და, რაც მთავარია, უნდა მისცემოდა საქუთარი ეროვნული სულის განფენილობით, გამორჩეული „კაზუსის“ დონეზე აფანილი ეროვნული ნოვატორობით და „თვითმყაფობით“.

ასეთი იყო ქართველი კაცი – მუდამ „მსოფლიო აქტიურობით“

და ყაველ მსოფლიო „მოძრაობაში“ უაღრესი ეროვნული „ნოვატორიზმით“. ასეთი იყო იგი ძველ საუკუნეებში, ასეთი იყო შუა საუკუნეებში, ასეთად დარჩა ახალ საუკუნეშიც.

მეცხრამეტე საუკუნე მსოფლიო „იზმების“ ციებ-ცხელებას მოეცვა და საქართველოც, – ვითარცა მსოფლიო – გლობალურ მოვლენათა უაღრესად აქტიური ნაწილი („ცხელი წერტილი“!) – იმავე ციებ-ცხელებით იყო შეპჭრობილი.

ძნელი იყო მაშინდელ საქართველოში „ერისმთავრობა“ და „მწყუმსმთავრობა“, ძნელი იყო, რადგან ბევრი იჩემებდა „ერისმთავრობას“, „მწყუმსმთავრობას“, „ბელადობას“, „მესაჭიერობას“ და სხვათა მისთანათა.

და, ყაველ მათგანს ცალკეულად აეჩემებინა, რომ მას ერთ-ადერთს ეპყრა ხელში მოსეს კვერთხიც, დავითის ქნარიც და სოლომონის ბეჭედიც... მაგრამ ნამდვილი და ჭიშმარიტი მე-საჟე მათ შორის აღმოჩნდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძე!

\* \* \*

და, დამდგარიყო ქრისტეს აქეთ წელი – 1907. ოვე აგვისტო,

რიცხვი 30. ერთი საათი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაშიდან  
მწვანე სუფრა და შავგულთა ძეგრა წიწამურაში მომდევ  
სუფრის გარშემო შავგულიანი თორმეტი კაცი, მათ შორის  
ხუთი „რჩეული“ – გიგლა ბერბიჭავილი, ლომა (გიორგი) ხი-  
ზანიშვილი, პავლე აფციაური (ფშავლიშვილი), ივანე ინაშვი-  
ლი და კიდევ „ვიღაც“ ...

სუფრიდან ხუთ ნაბიჯზე ხუთი შავგულიანი ბერდანა თო-  
ფი წევს, მძიმე დუმილით დატენილი და დამძიმებული.

ღვინით სავსე რქა მეხუთედ ჩამოატარეს. და წამოიშალ-  
ნენ, სისხლგამძვინვარებულნი და საფეთქელ-გახელებულნი.

ხუთი გაქონილი, შავფრჩხილიანი მარჯვენა დასწევდა ხუთ  
ბერდანას. ბერდანიანი ხუთეული ტყს პირას ჩანაპირდა და  
ჩასაფრდა. ღვანან და ელიან სიკვდილით დატენილი თოფებ-  
ით, უდიდესი თვისტომის მკვლელობაზე ნერწყმორეულნი.

უფლის მკვლელობით ისტორიაში შესასვლელად ემზადებიან,  
საკუთარი სულის მესაფლავენი.

მზე საშუადლეოზე დაეჭადა – მძვინვარე, ცხელდორბლიანი.

ილიას მკვლელობამდე – 45 წუთი ...

...თბილისიდან წამოსული ეტლი აცჭალას გასცდა. საგურამო-  
დან მოურავს შემოუთვლია თბილისში, ბატონი სასწრაფოდ  
უნდა მობრძანდეს. და მიდიან ახლა საგურამოში. უკან ილ-  
ია და მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილის ქალი სხედან; წინ,  
კოფოზე – მეეტლე თელო ლაბაური და ილიას მსახური იაკობ  
თარაშვილი...

2000 ნაბიჯი წიწამურის ტუმდე. 40: წუთი წიწამურის თო-  
ფის გაგარდნამდე. ჯვრის მონასტრის ხილვაზე ჯვარი ისახა  
ოლღამ. ილია კი ღრმად ჩაჰყოლოდა ფიქრომეტველებას.

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღაბებულ ერთ-სულ  
და ერთ-ხორც მკვიდრთა...“

ერი ჩვენი, ერი ქართველი, გონებით საკვირველი, სინდის-  
ით ... გონება, სინდისი... მეთერთმეტე საუკუნემდე ორივე  
ერთ ცნებაში ჰქონდა მოქცეული ქართველ კაცს და ორივეს  
ერთად გონება ერქვა. გონება ამხელდა, გონება კარნახობ-  
და, გონება ქენჯნიდა, გონება აწუხებდა, დასაბამითგან იგუ-  
ლისხმებოდა ესეც: გონება არის ადამიანი და რაკი შექმნილ-  
ხარ ადჟიქად, გონება არის შენი ზნეობაც. ხოლო შემდგომ,

\*\*\*\*\*  
გინ იცის რა საზოგადოებრივმა წვა-დაგვამ გახლის შეტყუფები  
ბა იგი ცალკე „წმინდა გონებად“ და ცალკე კიდევ შეტყუფები  
ნეობრივ მიმოქცევად?

... 1500 ნაბიჯი – წიწამურის ტუმდე. 30 წუთი – წიწამურ-  
ის თოფის გავარდნამდე. სვეტიცხოვლის ხილვაზე პირჯვარი  
ისახა და ილიასაც გარდასახა ოლღამ. ილია კი ღრმად ჩაძი-  
რულიყო ილიაში.

„აგერ მცხეთა – გმირთა სავანე“ ... „ქართლის სამკვიდროვ,  
ქვეჭის თვალად დაბადებულო...“ (იმსხვერეოდნენ და იძირე-  
ბოდნენ ილიას სიტყვები ილიას სულში). „წამხდარა ჟელა,  
ის ღონე და ის ძლიერება, მტვრად გარდაქმნილა ახოვანი  
იგი ცხოვრება...“ „მარად და ჟელგან, საქართველოვ, მე  
ვარ შენთანა...“

... 1000 ნაბიჯი – წიწამურის ტუმდე. 20 წუთი – წიწამურის  
თოფის გავარდნამდე.

და ილიას სულში ერთბაშად გაიხსნა ელიოზ მცხეთელის  
დედის გოდება: მოჰკალით, მოჰკალით, ღმერთი უფალი მოჰკა-  
ლით, თქვენ უგუნურნო!...

ფიქრი ფიქრს ათოვდა ილიას სულში.

ხშირად მოუვლით ადამიანებს სურვილი საკუთარი ღმერთის  
მოკვლისა. ცოცხალ ღმერთს ვერ იტანენ. მკვდარი ღმერთი  
კი უფართ, – თვითონვე რომ მოჰკლავენ და თვითონვე გააღ-  
მერთებენ. და მოჰკლეს ღმერთი ჰებრაელთა... ხელი შეიგინეს  
სამარადუამოდ ... ანდა... რომ არ მოექლათ, იქნებ ღმერთიც  
არ იქნებოდა?! (ათოვდა ფიქრი ფიქრს ილიას სულში).

... 500 ნაბიჯი – წიწამურის ტუმდე. ათი წუთი – წიწამუ-  
რის თოფის გავარდნამდე, ანუ – ვიღრე ფიქრის თოვა გათა-  
ვდებოდეს.

„ჩვენ არაგვო, რარიგ მიუვარხარ... და წმინდა სისხლი  
ქართველებისა შენს კიდეებზე გადასხმულია... და წმინდა  
სისხლი ქართველისა, ქართველის ხელით დანთხეულია...  
„ვაი თქვენ უგუნურნო და უბადრუქნო, რამეთუ თქვენ თვი-  
თონ მოჰკლით შემოქმედი ღმერთი თქვენი!“ ...

... 10 ნაბიჯი – წიწამურის ტყას პირიდან. 1 წუთი ...

მეეტლემ უცებ ეტლი დააყნა და დააქვავა. უმალ ტუმ ხუ-  
თი თოფი გამოიშვირა. ეტლიდან გადახტა იაკობ თარაშვილი.

\*\*\*\*\*  
 „კაცნო, ვინა ხართ, არ გვესრ...“  
 სიტყვა ჩაუჭრა თოფის გრიალმა და თარაშვილი იუსტიციური  
 დაენარცხა მიწას.



ილია უკვე ფეხზე იდგა, ჭაბუკურად გაფიცხებული.  
 „შესდექით, უბეღურნო, ილია ვარ!!!“ და წამსვე იოხი თო-  
 ფი გავარდა ერთად. გათროთოლება უკანასკნელი ფიქრისა.  
 მკვდარი ესვენა მთავარი აზრი და სინდისი საქართველოსი.  
 საქართველოს უგვირგვინო მეფე მაინც გვირგვინით აღსრუ-  
 ლებულიყო – წამების, ვნების, ეკლის გვირგვინით.  
 იქნებ, მაინც უკანასკნელად ეს სიტყვა გაფითრდა და გაშ-  
 რა მის გრძნეულ ბაგეზე: უ სა-ქართველო...“  
 დრო გაჩერდა ...

\* \* \*

როცა საქართველოს ილია მოუკლეს, მას შემდეგ უთვალავი  
 სიტყვა ითქვა – სიტყვანი დიდნი თუ მცირენი, მაგრამ სამი  
 რამ ლოგოსი მაინც უსაჩინოესი ითქვა, წმინდა სამებასავით  
 და თვითონ ილიასავით დაუკიშტყრნი და სანიშანსვეტონი:

**ა კ ა კ ი :**

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას  
 და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!  
 ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა  
 საქართველოს ბედისწერა?!“

**გ ა ჟ ა :**

„საძირკვლად აზრი ჩააგდე,  
 ზედ დასგი გრძნობის ტაძარი.  
 მოგყალით ჩვენისვე ხელით,  
 მოძმეთვის ნაკირმაგარი.  
 ვერაფერს ვიტყვი. ენა სდუმს.  
 თავზე დაგვჩხავის ყორანი;  
 გაღმა გასვლისა მსურველთა  
 უკუღმა მიგვყავს ბორანი;  
 გაგვიბატონდა, მგოსანო,  
 სირეგვნე შეუწონარი.“

**გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ი :**

„წიწამურში რომ მოპკლეს ილია,  
 მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...“

\*\*\*\*\*

ჭეშმარიტად, ილია-ვითარცა ოდესლაც დანტე-დიდ ქარება-  
თა მიჯნაზე აღესრულა, აღესრულა მამა ჭეშმარიტი მამისათვის -  
რომლისთვისაც - სწორედ ვითარცა ჭეშმარიტი მამისათვის -  
ერთნაირი საყვარელი, ფასდაუდებელი და სიცოცხლით შეულე-  
ვნელი იყა ჭელა შვილი: უფროსიც („თაგადაზნაურობა“), შუ-  
თანაც („გლეხობა“) და ნაბოლარაც („ბურუჟაზია“).

იგი-კვლავ როგორც ჭეშმარიტი მამა-თავგანწირვით იბრძო-  
და შეერიგებინა ერთმანეთზე სამტროდ შემართული შვილე-  
ბი: „თაგადიც“, „აზნაურიც“, „გლეხიც“, „ბურუჟაც“, „პროლე-  
ტარიც“, -რამეთუ მისთვის ერთნაირად იყა შვილი და იყა ქა-  
რთველი; შეერიგებინა და, ძმანი ერთი სისხლისა და ძვალხო-  
რცისანი. მაგრამ დიადი მამის ბრძოლა მისივე შეწირვით  
გათავდა...

\* \* \*

გზა იერუსალიმიდან გოლგოთამდე-ქრისტეს უკანასკნელი  
გზა, ანუ - „ვია დოლოროზა“ (გზა გლოვისა საქრისტიანო მსო-  
ფლიონსათვის ).

\* \* \*

გზა თბილისიდან წიწამურამდე-ილიას უკანასკნელი გზა,  
ანუ - „ვია დოლოროზა“ საქართველოსათვის.

ყველ ამ დღეს, 30: აგიისტოს (ახ. სტ. 12 სექტემბერს), -  
ყველმა ქართველმა საკუთარი ფეხით უნდა გაიაროს ეს გზა-  
გზა თბილისიდან წიწამურამდე, „ვია დოლოროზა“ საქართვე-  
ლოსი; გაიაროს, რათა თვითონაც მარად განეცდებოდეს: გრ-  
ძნობა ილიასი (ანუ საქართველოსი), აზრი ილიასი (ანუ საქარ-  
თველოსი), სასოება ილიასი (ანუ საქართველოსი), წამება ილი-  
ასი (ანუ საქართველოსი), და ისიც, რომ ამ დღიდან საქარ-  
თველო ახალი საისტორიო სამანიდან იწყებდა ცხოვრებას.

იწყებდა უ-ილია-ოდ.

ლევან სანიკიძე, პროფესორი, თბი-  
ლისის სახ. უნივ-ტის ძველი ისტორიის კათედრის გამგე.  
\*\*\*\*\*

\*\*) ეს გახლავთ ლ. სანიკიძის ახლახან გამოცემული „დედა  
ისტორია“-ს ცხრაკარიან წიგნის უკანასკნელი ფურცელები,  
მცირე შემოკლებით, ნათქვამია, ა. წ. 5 აპრილის, გაზე  
„ქომუნისტში“, საიდანაც ჩვენ ის უცვლელად გადმოვბეჭდეთ.

ორი პოეტი \*\*\*)



ჩვენში ბევრი მელექსე ყაფილა და არის, მაგრამ ნამდვილი პოეტი, ზეგარდმო მირონ ცხებული, მეტად იშვიათი მოვლენაა. საქართველოს პარნასის მწვერვალს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მიაღწია მხოლოდ ერთმა მგოსანმა — შოთა რუსთაველმა. ჩვენი მდიდარი აყავებული ბუნება ძლიერ ძუნწი გამოდგა ამ სფეროში. ცხადია, ერი მუდამ განსაცდელში მყოფი, თავის ფიზიკური არსებობისათვის მებრძოლი, საშინაო და საგარეო ქარცეცხლში გახვეული, არ იძლეოდა ნიადაგს აღმაფრენისა და საუკუნეთა მესაიდუმლის დროშის აღმართვისას. ის აღმართა მხოლოდ ერთხელ, ქვეწის აყავების ერთათერთ ეპოქაში, თამარ მეფის დროს. სხვა დროს, სხვა პირობებში რუსთაველი ვერ გაჩნდებოდა.

მეცხრამეტე საუკუნეში ერის მდგომარეობა საგრძნობლათ შეიცვალა. ერთი მხრით მივიღეთ საგარეო მჯუდროება, ხოლო მეორე მხრით დაკარგეთ თავის თავის ბატონობა, თავისი წყაბილება და შემოქმედება. აქ ჩაისახა ნაციონალური დრამა, რამაც საკმაოდ შეანძრია ჩვენი მგრძნობიერი საზოგადოება. ორ მომენტს შორის გახდა ასარჩევი, რა სჯობია, საგარეო მჯუდროება თუ დამოუკიდებლობა. პოეზიის მწვერვალზე გამოჩნდა ბარათაშვილი, ამ დუალიზმით შეპჭობილი და ამიტომ გაპესიმისტებული. ის ვერ პოულობს გამოსავალს და მიაჭინებს თავის მერანს ცის სივრცეში, შორს სინამდვილისაგან. ის ვერ მივიდა რუსთაველამდე, ეს არ შეეძლო, ვინაიდან მისი ნიადაგი ძირიანათ განირჩეოდა რუსთაველის ნიადაგისაგან. მან მხოლოდ დასვა საკითხი და მით გახდა თავისი დროის საიდუმლოების გამომხატველი.

ეს ჩიხში მომწყდელული ქართველი საზოგადოება იცვლება მესამოცე წლებიდან. ბურუსი იფანტება, რაღაც პერსპექტივები ისახება. დასავლეთიდან გაღმოვარდნილი გრიგალი ანძრევს რუსეთის მოწინავე ფენებს და ის აღწევს ჩვენამდე. ჩნდება ახალი საზოგადოება, ახალი იდეებით და ბრძოლის წყურვილით. ჩნდებია ახალი მოღვაწენი; ირეკება ზარი გამოვიძების და აღდგომის. და აი ამ დროს ჩვენ გვევლინება ამრი დიდი პოეტი, ორი მგრძნობიარე სიმები, რომელნიც

აქლერდენ თანამედროვე ენით. ესენია ილია და აჭარის ულეა  
ანდრე შენიეს განმარტებით „პოეტი არის მხოლოდ კაცი უნიკალურის  
ე. ი. ის ცხოვრების მოვლენებს პირველათ გულით იგრძნობს,  
მათ მისი არსება განიცდის და შემდეგ ამ გზით გადადის  
თავში, აზროვნების სამეფოში, იწყება შემოქმედება. ილია  
და აკაკი სწორეთ ასე მიუდგენ თავის ეპოქას, მიუდგენ სხვა-  
დასხვა ტემპერამენტით, სტილით და პათოსით, მაგრამ ერთ-  
ნაირი მიმართულებით და დროშით. ორივეს ნათელი წარმოდ-  
გენა აქვს თავის მისიაზე. ილია სწერს: „მე ცა მნიშნავს  
და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისოვის  
ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“. ჟელა დიდი პოეტი  
ერის მეთაურობას იჩემებს სუბიექტიურათ და კიდევაც ასე  
არის ობიექტიურად. რატომ? იმიტომ რომ პოეტის სიღილე  
ნიშნავს საზოგადო ჭირ-გარამის განცდას პიროვნულათ და  
შემდეგ მის გამოხატვას წყაბილი სიტყვებით. თუ ის ვერ  
განიცადა, ვერ იგრძნო და მაინც ლექსებით ალაპარაკდა,  
ის პოეტი აღარ არის, ის უბრალო მოშაირეა. რაფი პოეტი  
ზეცის სახელით დაბლა ხალხს ელაპარაკება, ისმება საკითხი-  
რა ენით ელაპარაკება, რა გზით მიღის ის ხალხის ცნობიე-  
რებამდე.

სტილი ადამიანიაო—ამბობენ; სწორია; მაგრამ ადამიანი ხომ  
ბუნების შვილია, მიწიერია; ის მთლიანათ მისი პირალობით,  
ტემპერამენტით და სტილით, ნაყოფია იმ ბუნების, სადაც  
დაიბადა და ალიზარდა. ამ მხრით, ილია და აკაკი დიდათ  
განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ილიას ენა არის მრისხანე,  
სევდიანი, დინჯი, დამაფიქრებელი; აკაკის პირიქით, მსუბუ-  
ქი, ცქრიალა ადვილი გასაგები, სიმებივით აწყაბილი. ეს გა-  
ნსხვავება აიხსნება ერთი და იმავე მოვლენით— მათი სამშო-  
ბლო ბუნების სხვადასხვაობით. ილია არის ყვარელის შვილი,  
ხოლო ყვარელი მას აწერილი აქვს ჩინებულათ. ეს მისი პირ-  
ველი ლექსია. ვისაც ყვარელის მიღამოები უნახავს—არასოდეს  
არ დაავიწყდება. წარმოიდგინეთ მოღრუბლული, მოხუშული  
ცივი მთა, მიბჯენილი კიდევ უფრო მკატა კავკასიონის ქედ-  
ზე, ამაყად მაღლიდან დაბლა გადმომჟურე, ყაველივე მხიარულ  
პერიზაჟებს მოკლებული. ილიას ღრმად განუცდია მისი გავლე-  
ნა, გავლენა დაუვიწყრი, მუდმივი. ის სწერს: „მახსოვს ჭა-



მა ვიყავ, ძლიერ მოსული გონის და ცნობასა, როს სტრატეგიული თქვენი მგვრიდა კანკალს, ურეოლასა... აწ მომწონს უნდა, ბუნებისა მეგობრებო, რომ დაბადება თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი, გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი.“ პოეტს უფარს ჭარელის მთა, ის მის კალთებში გაიზარდა და მას დაემსგავსა: მაგარი, მქუხარე, უშიშარი, ჩაფიქრებული.

აკაკი კი, პირიქით, არის მეტად მხიარული ბუნების შვილი, მუდამ აფავილებულის, წარმტაცის და ლმობიერის. მისი სამ-შობლო საჩხერე ნამდვილი პანარამაა, ცქერით ვერ გაძლებით. ჭარელის მთას უნდა მოეცა სწორედ ილია, საჩხერის წალკოტს სწორედ აკაკი. იმერ ამერობა აქ არაფერ შუაშია. სამშობლო ბუნებამ შეემნა მათი სხვადასხვა ფორმა, ხოლო საქართველომ მათი შინაარსის ერთიგივეობა. მათი რითმა და ჰარმონია განსხვავებულია, აზრები კი დაახლოებით ერთნაირია. მათ პოეზია ამოიყვანეს პარნასიდან და ჩააბეს ხალხის სამსახურში. მათ სულსა და სხეულს შორის წონასწორობა დამყარებულია, ხალხთან მჭიდრო კავშირი გამტკიცებულია. ვიქტორ პიუგოს აზრით „გელა ნამდვილი პოეტი უნდა გამოხატავდეს ჯამს თავისი ღროის იღებებისა“. ასეთი იღები მესამოცე წლებში იყო ორნაირი: ნაციონალური და სოციალური. ორივე პოეტი სწორეთ ამ ორ სფეროში იღებენ შინაარსს თავისი პოეზიისა.

### ი ლ ი ა

პირველათ ილიამ აიღო ნაციონალური ქნარი და მასზე აუღერა თავისი აზრები. „ქართვლის დედაო, სწერს ის, ძუძუ ქართვლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა, დედის ნანას-თან ქვითინი მთისა მას უმზადებდა მომავალ გმირსა. გაქრა ის ღროცა!..“ ახლა? „დააჩარულ ბედმა სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა, თვით შენი შვილიც ჩრდილათ შესცვალა. მითხარ, სადღარა მამა-პაპური მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური...“ ეს გულიდან ამოძახილი შეიცავდა სრულ სიმართლეს; როცა ჭელა ჩინებზე და ორდენებზე ფიქრობდა, იქ რასაკვირველია მამა-პაპური მხნეობა აღარ იყო. წარსულის ქებით ის აძიგებს აწმუნს. ამასთანავე ქართველ დედას ის ურჩევს, თავის შვილს ჩააგონებდეს: ძმობას, ერთობას, თა-

ვისუფლებას“. ამით ის ნაციონალურ იდეიას აბამს სოციალურ იდეებს. ის ფიქრობს ამ ვზით მივიღეთ ნაციონალურ ორბინებამდე. მაგრამ ესმით კი ეს შეგონება? აქ პოეტი ვესიმისტია. „ის არის მხოლოდ საგვალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო“. ის მაინც გამოთქვამს იმედს, რომ: „აწყვი თუ არა გწყალობს, მომავლი ჩვენია....“

წერილი შვილნი წამოვესწრენ ნაზარდი, გულმტკიცები, მათი ზრუნვის საგანი შენ (საქართველო) ხარ და შენ იქნები“.

ასეთი დრო დადგებაო და დახატა ამ „მომავლის სცენა“ ანუ „დედა და შვილი“. აქ დედა თავის ერთ შვილს აგზავნის ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის. მოსჩანს მეომრები, დედა: „მიმიჭვა შვილო, დამანახვე ქვეჭისა მხსნელნი, რომ მით დავიტყო დღენი ჩემნი უკანასკნელნი. შვილი: შეხე დედილო ამ განწირულ ქართველკაცობას, ისე მიღიან სასიკვდილოდ როგორც დღეობას. შეხედე ხალხი რა-რიგ ლოცვით ჯარსა აცილებს, დიდი, პატარა მხიარულობს, შენ რა გატირებს?“ ეს „სცენა მომავლი ცხოვრებიდან“ დიდის რეალობით ხატავს ნამდვილ სცენებს ჩვენი ახლო წარსულისა ...

ცხადია, ილია იყო ოპტიმისტი, სჯეროდა ჩვენი ნაციონალური ამოცანის ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივება და მის გადასაჭრელათ იარაღით ბრძოლა. ის ეძებს მომავლის მედროვეთ, მეთაურებს და მებრძოლთ. ამათ ვერ ხედავს ის გაბატონებულ წინდებაში, რომლის წინააღმდეგ ის სასტიკად იღა-შექრებს თავის „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“. საქართველოს დაცემის დროს რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით? კითხება პოეტი თავის პაპას, მომსწრეს ამ ამბებისა. ამ ბატონებმა სამეფო დასცეს და დაათვეს იმით, რომ: „ნაპლეჩობა გვასწავლეო, მთავრობას ვეხვეწებოდით...“ თავისთავად ცხადია, რომ ასეთი საზოგადოება რაიმე იმედის მომცემი ვერ იქნებოდა და მასზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა. პოეტი ატარებს სასტიკ კრიტიკაში თანამედროვეთ, რომელთაც ახასიათებს: „უწყნარი, უჩინარი, ქედღრუებილი, მაღლიერი, უშფოთველი, ქვე მძრომელი... ქველა უნჯი, ყველა მუნჯი, ჟველა ჭუუ, ჟველა ცრუი“ და სხ.

ეს იყო ბრძოლის გამოცხადება ძველი თაობისათვის; მოპორდაპირებმაც არ დატოვეს უპასუხოთ და გაიმართა ლექსე-

\*\*\*\*\*

ბით პოლემიკა. გრ. ოჩბელიანი ილაშქრებს: „კოლონიუმების ლიბერალებო საიდან კნავით...“, რაზედაც ილია უჭირულებისა „ჩვენ, უჩინონი, თქვენ, ჩინიანთა ბუზი გვინივართ. იქიდან ვკნავით, სად თქვენის მაღლით ხაფანგებ ქვეშე დამწყვდე- ული ვართ ... ჩვენი ქვეყანა მკვდარი თქვენგანა თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია, ლიბერალობა, პატრიოტობა სალან- ძლავ სიტყვად არ გაგვიხდია. თქვენგან ჩაგრული, დაბრმავე- ბული ერი ჯვრებზე არ გაგვიყდია...“, ნამდვილი პროკლა- მაცია რევოლუციური ხანისა. ამაზე უფრო სასტიკი თავდას- ხმა გაბატონებულ. საზოგადოებაზე არც ერთ რევოლუციურ პარტიას არ მოუხდენია. ამით ილიამ ააფრიალა აჯანყების დროშა 1872 წ. იანვარში.

როგორც ვთქვით, ილიას ნაციონალური იდეია გაუღენთილი იყო სოციალური იდეით. მისთვის ერის აღორძინება ნიშნავ- და ხალხის აღორძინებას. ეს ორი მხარე ერთი და იმავე მო- ძრაობის მას ნათლად აქვს დასახული და გატარებული თავის პოემაში „აჩრდილი“, დაწერილი 1859 წელს. ეს არის ილიას პროგრამა, რასაც ის ატარებდა თავის ლექსებში. მყნვარი- დან დასცერის საქართველოს „კაცი მოხუცებული“, „აჩრდი- ლი“ და ასწერს მის უბედურობას. აქ ის ხედაც მშრომელ ხალხს დაბეჩავებულს, წელში გატეხილს და მთელ ერს უფლე- ბა ართმეულს. ის უგალობს შრომის შვილს: „აგერ უფალი და მისი მონა! თრთოლვით სასწორზე ხარჯს უწონს ძნელსა და, რა დასწორდა სასწორზედ წონა, უფალი პინას ზედ ად- გამს ფეხსა და მით მის ხარჯსა ერთსა —ორად ჰქონის... მაგრამ ქვა არის ბატონის გული, ვერ დაარბილებს მას შებ- რალება, ვერა განკურნოს მან მონის წყლული, ვინც მონებას თვით ემორჩილება. მონა ბედშავი, მონა საწყალი სდგას, ვე- დრება მის თვალი შვებას... ვინ შრომობდა და ვინა ძლებო- და, ღმერთო სად არის აქ სამართალი? შენში კაცისას გრძ- ნობას არ ხედვენ, დედას ძუძუდან შვილსა აგლეჯენ, ვინ იცის სიცან სად გაპყდიან ... შრომისა შვილო, მძიმე უღელი ქვექისა ცოდვის შენ გაწევს კისრად, თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყარებელი შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვექად. შრომა აშ ქვექად ტკედა პჭობილი, მცარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა, ხოლო რღვეულა მისი ბორკილი და დასამ-



სხვრევად გამზადებულა. შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დი აფიქტოვოთ მაგ ახსნისათვის მეღგრადა იბრძვის. ველარ გაუძლებს ქვე- ფანა ქველი განახლებისა გრიგოლის ქროლას, ველარ გაუძლებს ქვეჭის მტარვალი ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, –და და- იმსხვრევა იგი ბორკილი შემფერხებელი კაცთა ცხოვრების, და ახალს ნერგზედ ახლად შობილი ესე ქვეჭანა კვლავ აღჭავდე- ბის. შრომის სუფევა მოვა მაშინა ... მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებით ძმობა, ერთობა, თავისუფლება“. და სხ. და სხ.

აჩრდილი შემდეგ იგონებს სამშობლოს ბედს. პოეტი არავი- თარ იმედს არ ამყარებს „მტარვალებზე“, „დიდ კაცებზე“, რომელნიც „რათ ინდომებს ქვეჭისა ბედსა, როს მასა შევ- ლის მის ბედკრულობა, რად შეებრძვის ის სიბოროტესა, როს მისი მეოხებით თვით რჩება“. ეს გაბატონებულნი ქვეჭის ტვი- რთია, მისი აღორძინების წინააღმდეგია, ვინაიდან აღდგენილ საქართველოში ისინი ველარ იპარპაშებენ, ერი, ხალხია სამ- შობლოს აღმდგენელი, განმათავისუფლებელი მშრომელი მასე- ბია.

ილია უგალობს მუშას და გლეხს, ყელა მაშვრალთ და ტვი- რთმდიმეთ (იხ. „მუშა“, „კაკო ყაჩალი“, „გუთნის ღედა“ და სხ. როცა ძველი თაობა გრ. ორბელიანის კალმით ღმერთის გმო- ბას აბრალებდა, ილია მათ უპასუხებდა: „ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის არ ურწმენია ჩენენსა თაობას; ღმერთი მზა- კვრობის და თვალომაქცევის, ღმერთი უქმობის უარუცვია; ღმერთი ხარბობის და მცარცველობის თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია; ხოლო გვწამს ღმერთი უქმთა წარმწედი, ტვი- რთმდიმეთა და მაშვრალთა მხსნელი, ღმერთი ტანჯულთა, ღმე- რთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყალებელი; ჭველთა ძმობის, თანასწორობის მოძღვრობისათვის ქვეჭად ჯვარცმუ- ლი, ძლიერთ დამბმელი, უძლურთ ამხსნელი, თქვენგვარ კაც- თაგან გმობილ-დევნილი...“

ძლიერი ნათქვამია და ამ ნათქვამში ძლიერი სულია. პოე- ტის სიტყვა მკვეთრი ლახტია, რასაც და ვისაც ხვდება ის ფეხზე ველარ ჩერდება. ვინც მას სძულს –სძულს სავსებით, ვინც უფარს – უფარს საფუძვლიანად. მისი ქნარი ჟღერს ჟელა დაჩაგრულთათვის, როგორც ქართველის, ისე არაქართ-



ველისათვის. ეს ნათელია მისი ლექსიდან პარიზის კომისიუნიტული შესახებ. ილია ვერ იქნებოდა დიდი პოეტი, რომ ჰინკ-ჰინკის ლიკ ჩაგრუთა ერთგული, ხოლო უცხოეთში—მჩაგვრელთა მომხრე. ეს ორმაგი ბუხალტერია, რაიცა ახლა ასე გავრცელებულია, სრულიად უცნობია პოეტისათვის. ის სწერს: „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა დაიშალა, კვლავ ქვეჭისა მჩაგრავ ძალამ იგი დროშა დასცა დაბლა. კვლავ ეწამა მოყვასისთვის საოცარი იგი ერი, კვლავ დაიდგა დიდ წამების მან გვირგვინი მშვენიერი; კვლავ ქვეჭისთვის დაიღვარა წმინდა სისხლი წამებულის, კვლავ დამარცხდა დიდი საქმე ყავლად მხსნელის სიყვარულის“ და სხ.

პოეტი ებრძვის სამშობლოში მებატონეთ, საფრანგეთში ბურჟუაზიას, ორივე შემთხვევაში გაბატონებულ საზოგადოებას. ის იყა წინააღმდეგი საზოგადოდ ბატონობისა, ხალხის ჩაგვრისა, რა ფორმითაც და სადაც უნდა ყოფილიყო ის. მისი ნაციონალური იდეია სწორედ ამ ძირითადი მოსაზრებისაგან გამომდინარეობს. ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგი ის ვერ იქნებოდა ხალხის ჩაგვრის მომხრე. სწორეთ ამ ლოლიკაში, ამ გულწრფელობაში და პატიოსნებაში იხატება ნამდგილი პოეტის ბუნება. ილიას პოეზიის ორიგინალობა სწორეთ ამ ორგვარი იდეიის, ნაციონალურის და სოციალურის, შედუღებაშია.

პოეზიის საგანია სამი მოვლენა: სამშობლო, საზოგადოება, ოჯახი. ყელა მგლისანი ამათ თავს დასტრიალებს. ილიას პოეზია ემსახურება უმთავრესათ პირველ ორ მოვლენას, ოჯახას ნუ სიყვარულს აქ მცირე ალაგი უპყრია. აქ ამ სფეროში ის მეტად თავდაპყრილია, მორცევია, სახე მოხუშულია. მისი დინჯი გული, მისი მწარე ფიქრები, მისი საზოგადოებრივი დარღები აღვილათ არ თბება, არ ივიწყება, ის თანა სდევს სიყვარულშიაც. ამიტომ მისი მუზა ამ დარგში მეტათ ძუნწია, ნაყოფი ცოტა გამოულია. სიყვარულის პრობლემა მუდმივია, გადაუწყეტელია; ილიას კი აწუხებდა ისტორიული, გადასაწყვეტი პრობლემა. აი აქ მისი ქნარი მეღგრათ სცემს, მისი ჩანგი მძლავრათ უღერს.

ილიას შემოქმედებაში მოხდა ერთი საოცარი ამბავი,

რომლის მზგავსი არ მომხდარა არც ერთი დიდი პოეტის ცხოვრებაში. მისი ქნარი აღრე შენელდა, მისი ხაზი უამიტეს ბით შეიცვალა. 34 წლის ილიას ტვირთმძიმეთა მუზა ეთხოვება, სოციალური ჰანგები ქრება და ეს იწვევს ნაციონალური პოეზიის მოღუნებასაც. 1872 წელი არის მისი უმაღლესი მწვერვალი, რომლის შემდეგ უკან ექანება. შემდეგ სიკვდილამდე, ე. ი. 35 წლის განმავლობაში, მან დასწერა ხუთი ლექსი, ამათში ორი დიდი პოემა. ერთი ისტორიული „დიმიტრი თავდადებული“, მეორე ფილოსოფიური – „განდეგილი“, ამათში „აჩრდილის“ პროგრამა აღარ ჩანს, მიმდინარე ჭირვარამზე სიტყვა აღარ არის. რით აიხსნება სინამდვილისაგან ასე დაშორება, ნაყაფიერების ასე დაძაბუნება? ნიჭის დამცირებით, გრძნობათა მოღუნებით? არა, არას შემთხვევაში. მისი ლექსები, განსაკუთრებით „განდეგილი“, ნათელყაფენ ილიას ნიჭის სიძლიერეს და მუდმივობას. ცხადია, მისი მუზა იჯდა თავის ალაგის, მაგრამ ძეველბურად აღარ მღეროდა, პოეტს ძუნწად ეხმარებოდა. რატომ?

როგორც ვთქვით, პოეტის შემოქმედების იარაღია გული, გრძნობები. ის ჯერ იგრძნობს მოვლენებს, ის განიცდის შთაბეჭდილებათ და ეს ისეთი სიძლიერით, რომ არ ძალუს მას არ დაემორჩილოს და კალამი ხელში არ აიღოს. ეს გზა შემოქმედებისა ფატილურია, აუცილებელია, პოეტი მისი ტყვეა და მას ატარებს თავის გზაზე. ამიტომ დიდი პოეტი დიდია იმით, რომ არ შეიძლება იუს ყალბი, არ შეიძლება დასწეროს ის, რაც მის ბუნებას არ განუდია; ის ვერ იცრუებს, განცდის მაგიერ რითმების კორიანტელს ვერ დააყნებს.

ცხადია, ილია არ სწერდა იმიტომ, რომ არ განიცდიდა, მისი გული და სული არ მიიმართებოდა წინანდელი გზით, ხოლო ახალ გზაზე კი პოეზიას არ დაურჩა თავისი საკვები, ვერ მიიღო აღმაფრენის მასალა და დადუმდა. ის იშვიათად აიშვებდა, ესეც განკუნებულ საკითხზე. მისი ნიჭი მოშორდა რეალურ ცხოვრებას, მის ძირითად სიდუხჭირეს, მის მწარე ტკივილებს. როგორ მოხდა ეს პროცესი?

ილია თავის ლექსებში მედგრათ იბრძვის მშრომელთა და სამშობლოს ინტერესებისათვის, მაგრამ არსათ არ ასახელებს, ვინ არის ამ ბრძოლის ამწყაბი და დამწყაბი, რომელი კლასი,



რომელი საზოგადოება უნდა გახდეს მისი მეთაური. რომელი ის იმყოფებოდა სავსებით მაშინდელი ინტელიგენციის საზოგადოების ფარგალში; არც ერთი პროგრესიული და რევოლუციური მიმღინახეობა მთელ რუსეთში თავის იმედს არ აძყრებდა თვით დაჩაგრულებზე, ხალხზე და აღიარებდენ მხოლოდ მოწინავე ინტელიგენციას მებრძოლის და მხსნელის როლში. ილიამ, როგორც ქართველმა და რეალურად მოაზროვნემ, ალბათ ჩქარა დანახა ამ თეორიის უნაყოფობა საქართველოს სინამდვილეში, სადაც მოწინავე და მებრძოლი ინტელიგენციაც კი სანთლით საძებარი იყო. ის იწყებს ძებნას უფრო საიმედო რეალური დალისას და ის დაინახა იმ ერთადერთ ამოძრავებულ და ახმაურებულ საზოგადოებაში, რომელმაც ამ ღროს თავი წამოჭა. ეს არის თავადაზნაურობა. მას მიენიჭა ახლი უფლებები, კრებები, მარშლების არჩევანი, დეპუტატთა საკრებულო, ფული ბანკის დასაარსებლათ, ერთი სიტყვით, საერთო სიჩქმეში იწყება ახალი მოძრაობა პრივილეგიური წოდების. ილია თავგანწირულათ ეშვება ამ მორევში და ეძებს აქ ბერკეტს ქვეჭის გადასატრიალებლად. ის ხდება თავად-აზნაურთა ბანკის მეთაური, დამოკიდებული პატრონთა არჩევისაგან. ბანკის საშუალებით ჩნდება ახალი კულტურული დაწესებულებანი და ილიაც ხდება ჭელა ამ საქმის წინაშედლოლი. ამ ტალღამ გაიტაცა პოეტი და მოკლა მასში პოეზია. პოეტი ბანკირის როლში ქვეყნას არ მოსწრებია. პოეტი პოეტობს იმდენათ, რამდენათ დამოუკიდებელია ძლიერთა ამ ქვეჭისაგან. მუზა ითხოვს სრულ თავისუფლებას, უამისოთ ის უარს ამბობს სიუჟეტის ამორჩევაზე. რაკი ილიას დაეკარგა ეს დამოუკიდებლობა და განხ და დამოკიდებული იმ ბატონებზე, რომელთაც წინეთ ებრძოდა, ცხადია ამით დააშრო წყარო შემოქმედებისა; ის ვერ შეიგრძნობდა, ვერ განიცდიდა იმ ხალხის ჭირვარამს, რომელსაც ის დაშორდა. მისი თანამებრძოლნი - აკაკი, გ. წერეთელი, ს. მესხი - არ გაყენ ამ ტალღას, დარჩენ ძებნის ნიაღავზე; ილიამ კი ეს ძებნა დამთავრებულათ გამოაცხადა.

ილია მართალი იყო იმაში, რომ უარყო რუსული ნაროლნიკული იდეოლოგია და საჭიროთ დაინახა საზოგადოებაზე დაჯრდნობა. მაგრამ შეცდა საზოგადოების ამორჩევაში. ეს შეცდომა მან დაინახა თავისი თვალით პირველი რევოლუციის

პერიოდში; უხარიდა ეს რევოლიუცია, ხალხის ასევრულმომავალი ღვიძება, მისი სიჭაბუქის ნატერის ასრულება, ტრადიციულ ადგანიცადიდა მხოლოდ იმას, რომ ეს გზა მან ვერ მიაგნო, არ სწორდა და მიმავალ წოდებას ჩაებლაუჭა. ამ დღიდან ილიამ დადგვა კალამი, თავი ანება პუბლიცისტობასაც, მასში იღვიძებს ახალგაზრდობის სულისკვეთება და სახელმწიფო საბჭოში იჭერს უკიდურეს მარცხენა ფრთას. დიდი პოეტი მაინც რჩება დიდი ლიბერალი და შეურიგებელი ...

### ნოე უორდანია

\*\*\*\*\*

\*\*\*\*) ნ. უორდანიას აზრი ილია ჭავჭავაძის შესახებ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება იმ ჩვენი მყითხველებისათვის, რომლებიც თავის დროზე, როცა ის პირველად საჯაროდ გამოქვეყნდა, მას არ გაცნობიან. ამ მოსაზრებით მისი ხელახლა გამოქვეყნდა ამ ილიას საიუბილეო ნომერში ზედმეტად ან უადგილოდ არ მიგაჩნია.

მყითხველი შენიშნავს, თუ ნ. უორდანია როგორ დიდად აფასებს და მაღლა აყვნებს ილიას, როგორც ეროვნული და სოციალური განთავისუფლების მომღერალ პოეტს, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტ მარქსისტს შეეფერება, მას მიაჩნია, რომ ილია შეცდა საზოგადოების არჩევაში, რადგანაც მან თავის კარგ იდეის ხორცშესასხმელად წარმავალი კლასი, თავადაზნაურობა აირჩია, თითქოს მოწყდა ხალხს, „ტვირთმძიმეთ“, რამაც თითქოს განაპირობა ილიას პოეტური და პოლიტიკური „მოღუნება“. ამ საკითხში აწესვენებულ პრეზიდენტს ვერ დავეთანხმებით. დიდ ილიას არავთარი არჩევანი არ გაუკეთებია კლასებსა და წოდებებს შორის, პირიქით, როგორც სამართლიანად ჭერს პროფ. ლ. სანიკიძე, ი. ჭავჭავაძისათვის, როგორც ერის ჭეშმარიტი მამისათვის, — „ერთნაირი საყვარელი, ფასდაუდებელი და სიცოცხლით შეულეველი იყო“ ჟელა ჭართველი. იგი ჭელა მათ მოუწოდებდა შემოკრებილივენ ეროვნული განთავისუფლების ბრძოლის დროშის იჩგვლივ (რაც არ გმორიცხავდა სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებში განსხვავებული პარტიებისა და დასების არსებობას), რადგანაც ილიასათვის ეს ბრძოლა იყო უუმთავრესი და საე-

\*\*\*\*\*

რთოც ყველა ქართველებისათვის. ილიას პოზიცია ჰქონდა კომისარიაზე  
ცნო ჩვენი ხალხის დიდმა უმრავლესობამ და საერთოდ ყვე-  
ლა დაპყრობილ ერთა განთავისუფლების ისტორიებმაც.

გუშაგი

ო ლ ღ ა დ ა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა დ ე ნ ი  
\* \* \*

ვ ე დ რ ე ბ ა (პოემა „აჩრდილი“-დან)

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია ...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;  
საღრმოოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,  
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყვლე თვალსა!



რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეჭოფა, მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა, სახელოვანი განწახლე წარსულთ დღეთ ჭიფა, მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.

ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოლნენ ქართვლისა ძენი, დასაბამითვე არ იციან – რა არს მშვიდობა, იქმარე საღმრთოდ მათ პატივნი და სისხლის ძღვენი, თუ რამ შეგცოდეს, – შეისყდეს ტანჯვით შენდობა.

მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიჭარული და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..

○ ღ ი ღ

\*\*\*

\*\*\*

ვინ მოჰმადლე ილია?

დღეს, ილია ჭავჭავაძის, ჩვენი ქვექის ამ ბუმბერაზ პოეტისა და მწერლის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის და ეროვნული განთავისუფლების ბრძოლის წინმდღოლის, – მკელელობის 80 წლის თავზე, ქართული საზოგადოებრივი აზრი–შეიძლება ითქვას, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე–ორადაა გაყოფილი იმის შესახებ, თუ ვინ ჩაიდინა ეს უპატიებელი ბოროტება. ერთი ბრალს სდებენ მარქსისტ სოციალისტების ლიდერებს, მეორენი კი – მეფის რუსეთის პოლიციას.

ასეთ ღიღმნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემა იოლად არ შეიძლება. ხლოები სიბრძნე ამბობს: დამნაშავემ ერთი ცოდვა ჭნა, დამბრალებელმა ათასიო. ჯერჯერობით დამაჯერებელი პასუხი ამ კითხვაზე არავის გაუცია, არც იქ, სამშობლოში, და მით უფრო არც აქ, ემიგრაციაში. ალბათ იქ გაცილებით უფრო სარწმუნო წყაროები აქვთ კაგებესა და კომპარტიის ხელმძღვანელებს, მაგრამ მათგან სიმართლეს არ უნდა მოველოდეთ. პირიქით, ისინი ეცდებიან, ამღვრეული წყალი კიდევ უფრო აამღვრიონ, რომ ჭეშმარიტების დაჭერა შეუძლებელი გახადონ. ამიტომაც საბჭოთა ისტორიკოსებისა და მწერლების გამოთქმულ აზრებს დიდი სიფრთხილით უნდა მო-

ვეკიდოთ და ეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი სტრენგენი შთაბეჭდილებას, ვიღაც უხილავი დირიჟორის ერთგვარი რჩესტრაციისას.

უკანასკნელი დროის ქართულ პუბლიკაციებში, არამარტო პუბლიცისტურ ხასიათისებისაში, არამედ მხატვრულებშიც, სულ უფრო ხშირად გაისმის მოთქმა-გოდება, რომელთა ლეიტ-მოტივია: ჩვენ ქართველები დაწყველილი ხალხი ვართ, ბოროტნი და გურანელნი, ჩვენ ჩვენი ეროვნული ქრისტე-ილია ჭავჭავაძეც კი არ დავინდეთ, მოვკალითო. არის ეს სიმართლე, უდავო ჭეშმარიტება? და თუ არა, თუ კი არსებობს ევგი ამ უღვთო მკვლელობის შესახებ, მაშინ განა არ გვმართებს თავი შევიკავოთ ამ იერემიალისა და თვითგვემისაგან? რაც ბოლოს და ბოლოს ასე მავნე და დამლუპველია ჩვენი ეროვნული განთავისუფლების ბრძოლის საქმისათვის, იმ საქმისათვის, რომელსაც დიდმა ილიამ მიუძღვნა მთელი მისი შეგნებული ცხოვრება და რომელსაც ბოლოს მისი ძვირფასი სიცოცხლეც შეეწირა.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია ურუვ ფაქტებზე და დოკუმენტებზე დაფუძნებული მსჯავრის გამოტანისა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მკითხველი არ დაგვძრახავს თუ ჩვენც გავზედავთ და ჩვენს მოკრძალებულ მოსაზრებებს წამოვაჭნებთ ამ, კიდევ ვიმეორებთ, დიდ საჭირობოროტო ეროვნულ მნიშვნელობის კითხვაზე. ჩვენ თავიდანვე გავცემთ პასუხს ამ კითხვის და შემდეგ კი შევეცდებით მის დასაბუთებას, იმ მონაცემებით, რაც ჩვენ დღესდღეობით გაგვაჩნია.

ილიას მკვლელობა რომ პიროვნულ ანტაგონიზმის შეღები არ არის და არც გაძარცვა, ეს უდავოა. ისიც მიღებულია უდავოდ, რომ ილიას მკვლელობა პოლიტიკური მკვლელობაა. ილია პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მპრობელი რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ და მისი სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში-ქართველი მესამე დასელების, სოციალისტ-მარქსისტების წინააღმდეგ. ამიტომაც, ბუნებრივად ეჭვები მისი მკვლელობის ორგანიზაციის თაობაზე, ამ ორი ძალისაკენ მიიმართებიან. მესამე დასელები მყაცრ პოლემიკას აწარმოებდენ „ივერიისა“ და მის სულისჩამდგმელ ილიას წინააღმდეგ,

ისინი პარტიულ-იდეოლოგიურ ბრძოლას ეწეოდენ იღებს ქართული მართ, მაგრამ საღი აზროვნების ობიექტიური მსჯმულობის განვითარების მიხედვით, მათ ინტერესში არ შედიოდა ილიას ფიზიკური მკვლელობა. სამაგიეროდ რუსეთის სახელმწიფო „ოხრანკას“ ჰქონდა ყველა მიზეზი და მოტივი, ქართველი ხალხის აღიარებული წინამდლოლის, თავადი ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობისა. ჩეგნი ღრმა რწმენით, ილიას მკვლელობა არის სახელმწიფო მკვლელობა.

ამ რწმენას ისიც აძლიერებს, რომ ოთხმოცი წლის გავლის მიუხედავად, თუ ნაძირალა მკვლელები ცნობილნი არიან, მათი წამქეზებელ-ორგანიზატორები დღემდე ოფიციალურად მხილებულნი არ არიან.

წარსულში საბჭოთა პერიოდში ჭელა ავტორი და ორატორი ერთხმად იმეორებდა, რომ ილია მოჰკლეს მეფის პოლიციის აგენტებმა. ამასვე დაბეჯითებით იმეორებს გამოჩენილი ლიტერატურული მკვლევარი აწერს განსვენებული პავლე ინგოროვა. ამ უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით წელს ჩეგნი ქვექის ინტელიგენციის აზრი ორადაა გაყოფილი: პარტიული ხელმძღვანელობა და მის სამსახურში მყოფი ორატორები და ავტორები გვერდს უხვევენ მკვლელობის საკითხს, თითქოს და, ეს მათ სინდისს ქენჯნიდეს. ეს ვაჟბარონები ილიას აქებენ და აღიდებენ, როგორც სხვა გულწრფელი დამფასებლები, მაგრამ ამავე დროს ილიას სახელს ჩირქს სცხებენ, რაღაც განაცადა ქადაგებენ, რომ ილია დადებითად აფასებდა ქართველი ხალხის რუსებთან შეერთებას; მეორე ბანაკი, რომელიც საღად, ეროვნულად აზროვნობს და რომლისთვის ილია არა მარტო წარსულის დიდებაა, არამედ აგრეთვე დღევანდელი საქართველოს წინამდლვარიც, უდიდესი ქართველის სიკვდილს ღრმად განიცდის, გოდებს და წყველის განურჩევლად მარქსისტ-სოციალისტების ლიდერებს. ამათ წარმომადგენლებათ შეგვიძლია დავასახელოთ: მწერლები ლევან სანიკიძე და გურამ გეგეშიძე, პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე, პოეტები მურმან ლებანიძე და მუხრან მაჭავარიანი და ა. შ.

მურმან ლებანიძე ამათ საერთო აზრს, სწორედ საიუბილეო დღეს, სხარტად ასე აყლიბებს:

„დიახ, ერთს იდეოლოგისა და, ამასაც დავძენ, სამუდამო მა-

სწავლებლისა-მეთქი! ილიას იდეით არათუ დღეის დღეს აურა  
თუ ერის ცხოვრების ერთ რომელიმე ეტაპზე, - ათასწლეულის მიზნი  
მართებს მსვლელობა საქართველოს ... თითქმის ძირფესვიანად  
შესწავლილსა და მასებში ფართოდ გატანილ ილიას მხატვრულ  
შემოქმედებას, შექს აყნებს რა მისივე გენიალური პუბლი-  
ცისტიკა, ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ პოპულარიზაციას  
საჭიროებს იმავე მასებში. ყველი ქართული ოჯახი, ყველი  
ცალკეული ქართველი ლრმად უნდა ჩასწევდეს ილია ჭავჭავაძის „საშინაო“ და „საპოლიტიკო“ მიმოხილვებს, ბრწყნვალე  
წერილებს ერის საჭირობოროტო პრობლემებზე - ერთად აღებ-  
ულს ყველივე ამას როგორც მოძღვრებას შესახებ იმისა, თუ  
„რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი შესაძლოა ვიყვნეთ ხვალ!“

მტერი ჩვენი-მაგ პუბლიცისტიკით მოგერიებული! სისუსტე  
ჩვენი, სიგლახე ჩვენი-მათრახით ხელში სააშკარაოზე გამო-  
თრეული! რამხელა უნდა იყო, რა ძალა უნდა შეგწევდეს, რომ  
უფლება გქონდეს: ცალ ხელში ლამპრით, მეორეში - მათრახით  
მშობელი ხალხის აღზრდას ეწეოდე - მშობელ ხალხს - აღზრდას  
უბედავდე! .. წინასწარ გრძნობს რა მსოფლიო ნგრევის გარ-  
დაუვალობას, რუსეთის იმპერიის დაშლაზე ოცნებობს ჩვენი  
პატრონი და ცარიზმის ნკაგრევებზე თავისუფალი ქართველი  
ხალხის ახალი პოლიტიკური კეთილმოწყაბის თადარიგს იჭერს.  
დიახ, თადარიგს იჭერს-მეთქი, ხაზს ვუსვამ და ამასაც და-  
ვძენ, - ხელეწიფება კიდევ! გადაჭარბებული არ იქნება, თუ  
ვიტყით, რომ არ არის კაცი 1907 წლის საქართველოში, რო-  
მელსაც ძალა შესწევდეს, დაუპირისისირდეს ილია ჭავჭავაძის  
გიგანტურ ავტორიტეტს. აქედან მომდინარეობს სწორედ შური  
და ღვარძლი, ჭუჭყანი ცილისწამებანი, თვისტომთა სიბერე და  
შემაძრწუნებელი ფინალი ...“ (იხ. „კომუნისტი“ 28.X. 1987)

ჩვენ გვგონია, რომ ამ გულმხურვალე მჰქულიშვილებს აზ-  
რის გამოთქმის სრულ თავისუფლების ნებას არ აძლევენ და  
იძულებული არიან დაკმაყოფილდენ ოფიციალურად ნებადართულ  
საზღვრებით. ამითვე შეიძლება აიხსნას ის უზუსტობაც და  
მიკერძოებაც, რომელთაც ადგილი აქვს ბ-ნ აკაკი ბაქრაძის  
ნარკვევში ილიაზე, რომელიც ჩვენმა „ივერიამ“ გადმობეჭდა  
მის ოცდაცხრა ნომერში.

ავტორის მთელი რისხება მიმართულია მხოლოდ ქართველ სო-

გ. წერეთელი: „ვინ მოჰყლა ილია?“

ციალ-დემოკრატებზე. ცხადია, რომ ის იძულებულია, აქტაციუს მახარაძე და მისი თანამებრძოლი ბოლშევიკები დაზიანებული მთელი იქრიში ნ. უორდანიაზე მიიტანოს. ამით იმის თქმა არ გვინდა, ვითომც ილიასა და ნოე უორდანიას შორის უსიამოვნო პოლემიკას ადგილი არ ჰქონებოდეს. როგორ არა, ჰქონდა და დიდი ილიას მთავარი რისხვა ნ. უორდანიას ხვდა წილად, მაგრამ ილიას წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიის და-მწყები და დამაგვირგვინებელიც ფ. მახარაძე იყო და არა! ნ. უორდანია.

ა. ბაქრაძეს თავშივე მოჰყავს ნ. უორდანიას მარცხიანი გამოთქმა: „სადაც ხე იქრება, იქ ნაფორებიც ცვივა“. მერე კი ვკითხულობთ: „1893 წელს 3 იანვარს დაიწყო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთის „კვალის“ გამოცე-მა“. „...მართალია „კვალი“ გიორგი წერეთელმა და ანასტა-

სია თუმანიშვილმა გამოსცეს და გაზეთის უცვლელი რედა-ქტორიც ან. თუმანიშვილი-წერეთელი იყო, მაგრამ არსებითად „კვალის მთელ საქმიანობას ნ. უორდანია წარმართავდა ... გ. წერეთელიც ცოცხალია, „კვალის გამომცემელ-რედაქტორიც ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელია, მაგრამ რა უნდა გამოქ-ვერდეს გაზეთში და რა-არა, ამას მხოლოდ ნ. უორდანია წევეტს.“. „1896 წელს, ზაფხულში, „კვალის“ პასუხისმგებელ მდივნად მუშაობა დაიწყო ფილიპე მახარაძემ. გაზეთს მთლი-ანად ის თაობა დაეპატრონა, რომელსაც გ. წერეთელმა „მე-სამე დასი“ უწოდა“. • „1895 წლიდან „კვალში“ ზედიზედ იბ-ეჭვება ვრცელი წერილები, რომელნიც, ძირითადად და არსე-ბითად, ილიასა და „ივერიის“ წინააღმდეგ არიან მიმართული.“ ჩამოთვლილია „კვალში“ დაბეჭდილი ეს სტატია-წერილები 1895 წლიდან 1900 წლამდე, მათი ზოგადი ავტორისეული ინტერპ-რეტაციები. შემდეგ დასახელებულია, „ახალმოსულის“ ფსევდო-ნიმით „ივერიაში“ გამოქვეწებული ილიას წერილების სათაუ-რები, წერილებისა, რომელიც მიმართული არიან ნ. უორდა-ნიის და მხოლოდ ნ. უორდანიის წინააღმდეგ.

ა. ბაქრაძის ამ სტატიის წამკითხველი, რომელმაც დაწვრი-ლებით არ იცის მაშინდელი ქართული საზოგადოების ცხოვ-რება საზოგადოდ და კერძოდ ილიასა და მარქსისტებს შო-რის წარმოებული ბრძოლის ისტორია (და ასეთები ხომ ლეგიო-

ნებია!), — იმ აზრს გამოიტანს, რომ **1893** წლიდან მოყალებული „კვალის“ მიერ ილიასა და „ივერიის“ შინააღმდეგ, შატრმოზ-ბული მტრული და ცილისმწამებლური კამპანიის შეთაური და ორგანიზატორი ნოე უორდანია და მხოლოდ ნოე უორდანია, სხვები კი მისი უბრალო თანამზრანებელი. არის ეს ისტორიული სიმართლე? არა. პოლიციის მიერ დაპატიმრების შიშით ნ. უორდანია სტოვებს სამშობლოსაცა და რუსეთსაც და **1893 - 97** წლებში ცხოვრობს დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, საიდანაც ის რეგულარულად გ. წერეთლის „კვალში“ აქვეჭნებს პუბლიციისტურ შერილების სერიას ამ ქვეჯ ნების ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომლებმაც, სხვათაშორის, დიდი მოწონება დაიმსახურეს. მხოლოდ **1897** წლის ბოლო დღეებში ბრუნდება ნ. უორდანია სამშობლოში და „კვალი“ მისი რედაქტორობით იწყებს გამოსვლას **1898** წლის პირველ იანვრიდან. მაშ, ხომ არ შევიძლია, რომ ნ. უორდანიას დავაკისროთ „კვალის“ იმ პერიოდის პასუხისმგებლობა, როცა ის თბილისიდან ცხრა მთას იჭით ცხოვრობდა და „კვალის“ მხოლოდ გარეშე, დამოუკიდებელი კორესპონდენტი იყო.

ეს ფაქტი უკვე ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ა. ბაქრაძის ეს ნარკვევი არაობიერებულია და, მაშასადამე, არამეცნიერულიც.

**1898** წელში მართლაც მკაცრ პოლემიკას აქვს ადგილი „ივერიასა“ და „კვალს“ შორის. ამის შესახებ ნ. უორდანია თავის მოგონებაში: „ჩემი შარსული“ წერს: „ერთ დღეს მოვიდა ჩემთან აღ. ყოფშიძე და გაღმომტა: ილია ჭავჭავაძეს სურს თქვენი ნახვა და ხვალ დილით გელის თავის სახლშით. ძალიან გამიკვირდა, არავისათვის არ გამიმხელია. მეორე დღეს შავედი. მიმიღო თავის სამუშაო კაბინეტში. გავეცანი, დაჯდომისთანავე დაიწყო: შეგაშუხეთ ერთი საქმისთვის, მე მსურს თქვენ გახდეთ „ივერიის“ ხელმძღვანელი რედაქტორი სრული უფლებით, მხოლოდ, როცა ჩვენს შორის იქნება აზრების დიდი განსხვავება-მე ჩემსას დაგბეჭდავ, თქვენ თქვენსასო. მე სხვები მოხვენ გაზეოთის გადაცემას, მათ არ გადავცემ, გამოცდილებით ვიცი მთა ამბავი. თქვენ თუ აიღებთ, მზად ვარ გაღმოგცეთო. ეს შინადაღება იყო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი. მაშინვე გადავწუირე ჩემთვის, შინადაღებაზე უარი მეთქვა, მაგრამ რომ ეს უხეშად არ



გამოსულიყა, ვუპასუხე: დიდ მაღლობას გშირავთ ასეთი წლის ბისათვის, მე ეს არ დაიმსახურებია, წინადაღება უსმორებოს ულოდნელია, რომ საჭიროა მოფიქრება, მეგობრების ნახვა და ამ ორ დღეში პასუხს მოგახსენებოთ-თქვა. ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ მას სთხოვენ გაზეთის ხელმძღვანელობის გადაცემას გ. ლასხიშვილი, კ. აბაშიძე და ნაკაშიძე. გ. წერეთლისათვის არ მითქვამს. მეორე დღესვე დაპირებისამებრ წავედი ილიასთან ბანკში და გადავეცი უარი (საბუთებით). პასუხათ მითხრა: თქვენი ნებაა, იმედი მაქვს ერთმანეთს ხელს არ შეუშლითო. მე ეს გავიგე ისე, რომ ერთიმეორეს თავს არ დავესხმით. მეც პირობა მივეცი. პირობა შევასრულე. საკმარისია გადახედოთ „კვალის“ 1898 წ. ნომრებს რომ დარწმუნდეთ: „კვალი“ თავს ესხმის „ივერიას“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ივერიამ“ აუტეხა კამათი“. V

5. უორდანიას ეს განცხადება საყურადღებოა. შეიძლება მოხუცებულობაში, როცა ის ამ მოგონებას წერდა, შეცდომა მოუვიდა. ამის შემოწმება ძნელი არ არის სამშობლოში და აკ. ბაქრაძემაც ეს უნდა იცოდეს. შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ თავდაუსხმელობის უბრალო სიტყიერი შეპირება პირველად ილიას დაერღვიოს. ეს მას ცოდვად არ ჩაეთვლება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სოციალისტ-მარქსისტები დღიდან საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი გამოჩენისა აშკარა ბრძოლას აწარმოებდენ ილიას პოლიტიკისა და აგტორიტეტის წინააღმდეგ. როდესაც ილიამ მათ შორის წონის მქონე და მათი იდეური მეთაური ნ. უორდანია შეამჩნია, მან აღარ დააყვნა და პირადად მას შეუტია. V

ჩევნი ფიქრით, ილიას ამ კამათში სხვა შეცდომები მოუვიდა: პირველი, იმის მაგივრად რომ თავისი სახით გამოჩენილიყო, ილია „ახალმოსულის“ ნიღაბს ამოეფარა; მეორე და უფრო მნიშვნელოვანი, იმის მაგივრად რომ დინჯი იდეური პაექრობა გაემართა საერთოდ მარქსისტების პოლიტიკის შესახებ, ილია პირვენულად ესხმის თავს ნ. უორდანიას და დაუზოგავად ლახავს ახალგაზრდა კაცის თავმოყარეობას. „უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრებანი ბ-ნ ნოე უორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა“, „ისევ და ისევ ბ-ნ უორდანიას უმეცრებანი

და მისი შაჟეგ- უკუჯეგობანი“, ასე „ამკობს“ ილია მის უმცირეს ცრონას ამონენტს. სამწუხაროდ, მე არ ვიცი თუ რა ფორმის სანი იქნენ ნ. უორდანიას პასუხები, მაგრამ ამას აქ აღარც აქვს დიდი მნიშვნელობა. ილიას ასეთი უზომო გაცხარება ქართული ერთობის საქმეს წინ ვერ წასწევდა, ილიას წინა- აღმდეგ საზოგადოების ერთ მნიშვნელოვან ნაწილს აამხედრე- ბდა, ხოლო ნ. უორდანიას გულში ღრმა უკმაყოფილების კვა- ლს დატოვებდა, რამაც აღბათ შეუძლებელი გახადა მათი შე- რიგება.

ბრძნული ანდაზაა: ერთხელ სიცოცხლეში მღვდელსაც კი მამაოჩენი შეეშლება. ილიაც ადამიანი იყო, მასაც შეეძლო მისი მდიდარი და მღელვარე ცხოვრების ამა თუ იმ მუხლში უანგარიშმ შეცდომა დაეშვა. ამან ჩვენ არ უნდა გაგვაკვი- რვოს.

სოც. დემოკრატიული ბანაკი სიკვდილამდე აგრძელებს ილი- ას საწინააღმდეგო კამპანიას. აქაც შავი და თეთრი ერთმა- ნეთში არ უნდა ავურიოთ. ილიას ცილისმწამებელთა მოთავვი ფ. მახარაძეა. ნ. უორდანია, პოლიციისაგან დევნილი, 1901 წელს ისევ დასავლეთ ევროპაში მიემგზავრება, როცა 1905 წელს იქიდან ბრუნდება, სოც. დემოკრატიული პარტია ორ მტრულ ბანაკადაა უკვე გახეთქილი, მენშევიზმის ლიდერი ნ. უორდანია ბრძოლას აწარმოებს ბოლშევიკების წინააღმდ- ეგ და მას აღარ შეუძლია ითანამშრომლოს ბოლშევიკ ფ. მახარაძის რედაქტორობით გამომავალ ორგანო „მოგზაურში“, რომელიც აგრძელებს ცილისმწამებასა და დამცირებას სიკვ- დილამდე. მაგრამ ილიას მკვლელობაში მათაც არ შემიძლია ბრალი დაგდო. შესაძლებელია, რომ მათ მოწამლულ წრეში პოლიციის აგენტებმა სასურველი ნიადაგი პპოვეს მათი ბინ- ძური საქმის შესასრულებლად. იქნება არც ის იყოს შემთხ- ვევითი, რომ ფ. მახარაძემ შემდეგ სამშობლოს უღალატა და ბოლშევიკური რუსეთის დამპყრობ ჯარებს წინ შემოუდ- ღვა.

სულ სხვა გზით წარიმართა ნ. უორდანიას და ქართველი მენშევიკების გზა. ნ. უორდანია ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მივიდა ილიას იდეამდე. პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს მისი აზრი უკვე მომწიფებულია სამშობლოს დამოუკი-

დებლობის სასარგებლოდ და მხოლოდ შესაფერი მომენტის საკითხილა დგას მის წინაშე. ეს მომენტიც დადგენა თის რევოლუციისა და ბოლშევიკური გადატრიალების შედეგა, ასმაღეთან თავდაცვითი ომის რთულ პირობებში, ნ. უორდანის მეთაურობით ცხადდება საქართველოს დამოუკიდებლობა. ხორცი ესმება ქართველი ხალხის (და ილია ჭავჭავაძის) დიდი ხნის ნალოლიავებ ნატერას. ნ. უორდანის მისი აღრინდელი პოლიტიკით ეს არ მოუმზადებია. ის არ ჩაითვლება სამშობლოს განმათავისუფლებელ-ლიბერატორად, მაგრამ მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე ისაა, რომ მომენტის შესაფერ სიმაღლეზე აღმოჩნდა, ხელი მაგრად ჩასჭიდა კარზე მომდგარ ბედნიერებას და დიდი ნიჭის, ენერგიის და ავტორიტეტის წყალობით საწინააღმდეგო იდეით დარაზმული და გამსჭვალული გაბატონებული პარტია 24 საათში დამოუკიდებლიდებლობისათვის მებრძოლ არმიად აქცია. ამაშია ნ. უორდანის დამსახურება და ამ აზრით თქვა პროფ. მიხაელ წერეთელმა: „ნ. უორდანია რომ არ ყოფილიყო, მე არ ვიცი სხვა თუ ვინმე შეძლებდა იმ პირობებში საქ. დამოუკიდებლობის გამოცხადებას“. მ. წერეთლის სიტყვას ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ფასი აქვს იმიტომაც, რომ ის ნ. უორდანის პარტიული კაცი არ იყო.

ნ. უორდანის წილად ხვდა დიდი პატივი – დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურობა. ხანმოქლე იყა მისი ხელმწიფების პერიოდი, მაგრამ იგი ქართველ ხალხს არ დაუმხვია, არამედ – უცხო სახელმწიფოს შეიარაღებულმა ძალებმა. ნ. უორდანიამ ხიზნობა არჩია დამორჩილებას და სამი ათეული წლის შემდეგ დევნილობაში აღესრულა როგორც ქედუდრეკი პატრიოტი. ჩვენი ქვეყნის საოკუპაციო ხელისუფლება მთელი ამ ხნის განმავლობაში ავრცელებდა და ავრცელებს მონაჭორებს მისი სახელისა და ავტორიტეტის შესალახად იმ ადგილად გასაჯები მოსაზრებით, რომ მისი იმპერიალისტური დაპყობა ნ. უორდანიას მთავრობისაგან განთავისუფლებლად წარმოუდგინოს ქართველ ხალხს. იგივე წარმოდგან შეიძლება მოდიოდეს და იგივე მიზანი პქნნდეს ხმებს, რომლებიც ნ. უორდანიას ადანაშულებენ ილიას წინააღმდეგ შეთქმულებაში. ასე ვფიქრობთ და ასე ვგვინია, რომ ამ უმსგავსო ხმებს წინ უნდა აღვუდგეთ. აბა რა საკადრისია ასეთი ბრა-

ლდება არსებობდეს დამოუკიდებელ საქართველოს პრეზიდენტის  
ტრიუმფისას! \*

დასაშვებია მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: კავკასიის „ობ-  
რანკამ“ მოხერხებულად გამოიყნა „კვალის“ და უფრო მე-  
ტად „მოგზაურის“ მიერ ილიაზე გავრცელებული ცილისჭამე-  
ბებით გამოწვეული უკმაყოფილება შეიძირადებულ რევოლუცი-  
ონერებში, მათში შეგზავნილი ფარული აგენტების საშუალე-  
ბით ისინი დაარწმუნა, რომ ილიას მოკვლის გადაწყვეტილე-  
ბა მათი პარტიის ცენტრიდან მოღიოდა. ხომ ცნობილია, რომ  
ფ. მახარაძის მფარველობაში მყოფი ვასილ ნაცვლიშვილი,  
რომელიც „მოგზაურში“ ცილისმწამებულ ინფორმაციებს აქ-  
ვეჭებდა ილიას შესახებ, ჯაშუში და პროვოკატორი იყო  
პოლიციისა. რამდენი სხვა ჯაშუში და პროვოკატორი ეყალე-  
ბოდა კიდევ მეფის უანდარმერიას რევოლუციონერთა შორის! ✓

ახლა ისიც ვთქვათ თუ რა გვაძლევს საბაბს იმისას,  
რომ ილიას მკვლელობა პოლიტიკური პოლიციის მიერაა მოწ-  
ყობილი. ამისთვის დაგვჭირდება ილიას ცხოვრებისა და მოღვა-  
წეობის ზოგიერთ მომენტების აღნუსხვა.

- სტუდენტობის დროს ილია უკვე შემჩნეულია, როგორც სა-  
შიში რევოლუციონერი, სახელმწიფო გამოცდების წინ ის იძ-  
ულებულია პეტერბურგი საჩქაროდ დატოვოს და სამშობლოს  
მოაშუროს. ის დაპატიმრებას გადარჩა, მაგრამ უნივერსიტე-  
ტიდან გამორიცხეს.

- 1863 წელში ილიას უურნალი დაუხურა პოლიციამ. ილია  
იძულებულია თავი დაანებოს რედაქტორობას, სამსახურში  
შევიდეს.

- 1873 წლიდან ილია კვლავ ებმება საზოგადოებრივ მოღვაწე-  
ობაში, ჯერ სათავეში უდგება ბანკს, მერე კი უურნალ  
„ივერიას“, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და  
სხვა. მის ირგვლივ თავს იყრის იმ დროის მოწინავე ქართუ-  
ლი საზოგადოება. ოთხმოციან წლების დასაწყისიდან ილია  
საიდუმლო მეოვალყურეობის ქვეშ ჰყავს აყვანილი სამეფო  
უანდარმერიას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძო-  
ლის ბერადი, აღნიშნავს ილიას დიდი ბიოგრაფი პავლე ინგო-  
როვა. ილიას უკვე დიდი პოპულარობა აქვს მოხვეჭილი,  
მისი დაპატიმრება აღარ შეიძლება.



- 1895 წელს, თბილისის სემინარიის გაფიცვების დროს, პოლიციამ გაჩხრიკა ილიას ბინა და მალე „ივერია“ უფლებით ტეს. ილიას დაპატიმრებას ვერ უბედავენ, მაგრამ მის წინა-აღმდეგ ფარულ ხლართებს აგებენ.
- 1898 წელს ხელისუფლება ნებას არ იძლევა ილიას იუბი-ლის გვიართვისა.
- არ არის გამორიცხული, რომ ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაც პოლიციის საქმე იყოს, ილიას გავლენის დასაცემლად. ამავე წლებში ილიას სხვა მოწინააღმდეგენიც გაუჩდენ-სოციალი-სტ მარქსისტები. არც ისაა გამორიცხული, რომ მათ შორის პოლიცია წყალს ჭიდე უფრო ამღვრევდეს, პროგოკაციებს აწ-ყობდეს.
- იფეოქებს 1905 წლის რევოლუცია. საქართველო რევოლუცი-ის ავანგარდია. ილია უკვე ავადმყფია, მაგრამ ჭაბუკურად იქცევა, ცდილობს ეროვნული მიმართულება მისცეს რევოლუ-ციას, ფრთხილობს ქართველი ხალხისთვის, ხოლო თვითონ თავხედობამდე ასულ გამბედობას იჩენს. ილია გაბედულათ და აშკარა სიმპატიებით იცავს აჯანყებულებს ხელისუფალთა და თავადაზნაურთა წრეებში, ცდილობს ჩვენი ქვეჭის სხვა-დასხვა კუთხენი იხსნას კაზაკთა ეგზიკულიებისაგან და, განსაკუთრებით, გენერალ ალიხანოვის დამსჯელი სამხედრო ექსპედიციისაგან გურიის გადასარჩენად.
- 1906 წელს კავკასიის მთავარმართებელი კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებს აგზავნის პეტერბურგს სამეფო საბჭოს უმა-ლეს კომისიის წინაშე, რომელიც არკვევს: მიეცეს თუ არა უფლება კავკასიელებს „დუმაში“ დეპუტატების არჩევისა. ქართველებიდან დელეგაციაში არიან: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და ახალგაზრდა გიორგი უურული. ეს უკანასკნელი 30 წლის შემდეგ, დევნილობაში მყოფი პარიზში, დაწვრილე-ბით და სანქტერესოდ აღწერს ამ დეპუტაციას და მასში ილიას შესახებ ამბებს. გ. უურულის ეს მოგონება „ილიასთან შორი-ახლო დგომით“ გამოქვეყნებულია ვიქტორ ნოზაძის „ქართლოსი“-ს №8-9; მარტი 1938.

აქედან ვებულობთ: ილია და გ. უურული მამა-შვილურად ყოფილან განწყობილნი. პირებურგში სასტუმროს ნომერი ერ-

თად აუღიათ. სანამ კომისიაში გამოიძახებდენ, მათ ერთ დღეს სწვევიათ უცნობი, რომელსაც თავი გაუცვნია, როგორც ერთი დიდი ენციკლოპედიის ჭარმომადგენერელი და მასში გამოსაქვეჭებლად ბიოგრაფიული მასალების მიცემა უთხოვნია. ილიას, თავმდაბლობისა გამო, უარი უთქვამს, მაგრამ, კეთილი განზრახვით, გ. უურულს ამ კაცისთვის დაწვრილებით აღუშერია ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლიდანაც აშკარად გამომდინარეობდა, რომ ილია იყო ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის დიდი წინამდღოლი. საღამოს, როცა მათ ნ. ნიკოლაძე ეწვია და ეს ამბავი გაიგო, სიცილი ასტეხა: „როგორ შემოუშვით ის შეჩვენებული, იგი ენციკლოპედია კი არა „ოხრანკამ“ შემოგიგზავნათო“. მართლაც არავითარი ენციკლოპედია თურმე არ გამოცემული. „ოხრანკაში“ ილიას მძიმე „დოსიეს“ კიდევ ერთი დიდი ბრალდება მიემატა.

შემდგომად ამისა, უმაღლეს კომისიაში, ილიამ თავისი მძაფრი ოპოზიციური სიტყვით თავისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. მას თურმე ნამდვილი საბრალმდებლო სიტყვა წარმოუთქვამს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში, თავმჯდომარე გრაფ სოლსკის, რომ ვეღარ აუტანია ასეთი ტონი, სიტყვა შეუწყეტინებია და უთქვამს: „ჩვენ ეგეები არ გვაინტერესებს, ჩვენ გვსურს ვიცოდეთ თქვენი აზრი: განა შესაძლებელია კავკასიას დაერთოს ნება დეპუტატების არჩევისა, როდესაც იქ საშინელი რევოლუციური ამბოხება ხდება?“ ამაზე ილიას კიდევ უფრო გამომწვევი ტონით უპასუხნია: „როგორ თუ განა შეიძლება? შეიძლება კი არა, აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა იყოს გავრცელებული კავკასიის მხარეზედაც ეგ რეფორმა და ჩვენც უნდა მოგვეცეს უფლება ჩვენი დეპუტატების არჩევისა. და თუ ასე არ მოხდა, მე ჩემს თავს მოვალედ გრაცხ გამოგიცხადოთ, რომ ახალ შეურაცხყოფას ვეღარ მოითმენს ჩვენი ხალხი, და თქვენ იძულებული იქნებით ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სალდათებისა აღშეფოთებულ კავკასიის მოსახლეობასთან შებრძოლებაშით.“

სხვათა შორის, ილიას ამ სიტყას, კომისიის სხდომაზე დამსწრე აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მარშალი რუსოფილი დავით თუმანიშვილიც აღუშფოთებია, მეო-

„გუშინ რუსეთს რომ ემუქრებოდი ჯარს გაგიშვილი მიბრძანეთ, რის და ვისი იმედით ბრძანებით ამას?“ რაზე-დაც ილიას შეუძახებია: „ეგ იმედი, სულ პირველად, ჩვენი ერია! ნუ იფიქრებ, რომ ცოტანი ვართ და ამიტომ რიცხვით ძლიერთ ვერ გავუმკლავდებით. თქვენ არ იცით, რა ძალაა აღშფოთებული და აჯანყებული, ქუდზედ კაცად გამოსული ხალხი! თქვენ არც ჩვენი ქვეჭის თავისებურებას და რელი-ეფს აქცევთ ყურადღებას. ჩვენს კლდეებსა და ქვის ლოდებს უკან ჩასაფრებული აჯანყებულთა პატარა გუნდებიც კი სულ თითო-თითოდ ამოსწევებენ თქვენი რუსების პოლქსა. აი რით ვემუქრებით ნამეტნავად გათამამებულ რუსის მგართველობას...“

- იმავე 1906 წელს პეტერბურგში გაიმართა სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის კრილობა, რომლის დელეგატად თბილისის თავადაზნაურობამ იღია წარგზავნა, ხოლო კრილობამ იღია აირჩია სამეფო საბჭოს წევრად, სენატორად. საბჭოში იღია ოპოზიციურ ჯგუფს მიეკედლა. 1907 წლის სესიაზე იღია გამოდის მოხსენებით სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ. ამ მოხსენების მთავარი ადგილები მოყვანილია მინდია ლაშაურის „იღია“-ში და მისი გამოორებით მკითხველს თავს აღარ შევაწყნო. ამ ხანჯლებივით გულთამპობ სიტუაციას მის ავტორს არ შეარჩენდენ, და აკი არც შეარჩინეს!

ილია საზაფხულოდ ისევ სამშობლოში ბრუნდება. ჩეკოლუ-  
ცია დამარცხებულია. ჩეპრესიები მძვინვარებს საქართველო-  
ში. ჩოგორ მოიქცეს „ოხრანკა“ ილიას მიმართ? ილიას პასუ-  
ხისგებაში ვერ მისცემენ და ვერ გაასამართლებენ, რადგანაც  
ამან შეიძლება გამოიწვიოს საყველთაო ამბოხება. ჩჩება  
ერთადერთი გზა მუხანათური მკვლელობისა. ამის განსახორ-  
ციელებლად ნიადაგი მაშინ განსაკუთრებით ნოყერია, საკმა-  
რისი იყო მკვლელობის კარგად მომზადებული ორგანიზაცია,  
რომ ილიას მომხრე და მოწინააღმდეგე ქართველები ერთმა-  
ნეთს დაჭრებენ და ერთმანეთი ამოეჭლიტათ, რაც ასე აძლე-  
ვდა ხელს მკვლელობის ორგანიზატორებს. ასეთი ბოროტ-

მოქმედების ჩადენა არც სათაკილო იყო და არც შეუძლებელი „ოხრანკისათვის“. მას სამსახურში ჰყავდა ისეთი შეტანილი ანდები, რომლებიც შვილს მამას მოაკვლევინებდნენ ისე, რომ ოვითონ არ გამოჩენილია.

მაკიაველური კრიმინელობა „სუფთად“ იქნა შესრულებული-  
ქართველი ხალხის წინამძღვრილი და მედროშე ისევ ქართველ-  
ებს მოაკვლევინეს. შემდეგ ინტრიგის იარაღი მავრიც უნ-  
და გაპერეს, რომ ინტრიგა დჰმალოს. ილიას მკვლელები ზო-  
გი ამოხოცეს, ზოგი შეიძဖინა, „გაასამართლეს“, რომ მათი  
პარტიულობა დამაჯერებლად გამოჩენილიყო, და შემდეგ სწრა-  
ფად ჩამოაღრჩეს, მიუხედავად დაზარალებულ ოლღა ჭავჭა-  
ვაძის შუალედობისა, იმ ადგილად ასახსნელი მოტივით, რომ  
თავი დაეზღვიათ ოდესმე მხილებისაგან. გამოძიების მასალე-  
ბში კი დასტროვეს ცნობა, რომ მკვლელებს ხელმძღვანელობდა  
„ვილაც იმერელი“, რომლის ვინაობა ვერ დადგინდა.

Հայլացրո՞ւ ուսե ჩարտարժա, հրցորից քառականչունեցնեցնուո ոյս. մեռլողաց շրտո զարացնու առ զամարտլուա: Վարտզելո եալի օնսը թունեցնեցնուրաց ու Շեցնեցնուրաց մերուու Արշակացուաչե առ Շամոյցու-շրտմանցու առ գայրուա; Յորոյիտ, մոսո Հայլա մոմա- հուռլեց շրտաց Շեմոյցին գա միուսեանցիտ գաօւրուրա մովա- մեցինուց մոյլուրու գուցեցնու մամուլունցուլո. ჩիշենա մանոն- ցըլթա և տանցալուց գամարտլա աչիրո: Ցիծո Ցիծո, Ցիկոյ ու սանցարունուա, եռլու եալի շրտու շրտու ալեցնու, քուայիւնուր- աց - Ցիցենո.

\* \* \* გიორგი წერეთელი

અ ગ ા હ િ બ ા ઽ ા સ

ილიას საიუბილეოდ ბეგრი უსამართლო, ურთიერთ გამაბათი-  
ლებელი და სრულიად უსაფუძვლო სიტყვები იყო ნათქვამი.  
ქართველი ხალხი ერთსულოვნად თაყანს სცემს ილიას, როგო-  
რც ჩვენი ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის შემოქ-  
მედსა და წინამდლოლს. ამას ვეღარც დღევანდელი საქართ-  
ველოს კომპარტიის ხელმძღვანელები და თეორეტიკოს-პროპა-  
განდისტები უარყოფნ, მაგრამ იქვე ილიას შესახებ ისეთ  
აზრებს ანგითარებენ, რომ წინათემულს სრულიად აბათილებენ.  
ასე მაგალითად, ს.ს.რ.კ.-ს კომპარტიის გენერალურ მდივნის

ნაცვალი საქართველოში, ჯუბგერ პატიაშვილი, ილიას სიუბილეო საზეიმო კრებას წარბშეუხრელად უცხადებს: „როგორ თვის ცხადზე უცხადეს იყო რუსეთთან საქართველოს დამკაცრდების პროგრესული მნიშვნელობა“-ო. დიალექტიკაც ამის-თანა უნდა! მაშ, ვისგანდა ანთავისუფლებდა ილია საქართველოსა და ქართველ ხალხს? პატიაშვილი აგრძელებს: „მისი სიღიადე ისიც გახლავთ, რომ იგი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და ამით ცდილობდა ცარიზმის დასამხობად ერთიანი ფრონტი შეექმნა. ილიას სიღიადე ისიც არის, რომ ამ დიდ მოაზროვნისათვის ეროვნული თავისუფლება არ არსებობდა სოციალური თავისუფლების, ადამიანთა შორის თანასწორობისა და სამართლიანობის დაუმკვიდრებლად“. თავისუფლების მზე ოდნავ რომ ათბობდეს ჩვენს ქვეყნას, ამ მაღალი ჩინის მოხელეს დაუსვამდენ კითხვას: სოციალ დემოკრატებსაც სრულიად ასეთი პროგრამა ჰქონდათ, მაშ, რატომდა ებრძონენ ასე გააფთრებით ილიას?

„უკვალოდ არ ჩაუვლია ილიას ტიტანურ ბრძოლას, აცხადებს უფალი პატიაშვილი, უშედეგოდ არ დაფერფლილა მისი სიცოცხლე, უნაყოფოდ არ დაშვრალა მისი ნიჭიერება და ენერგია. რუს ხალხთან, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად მოიპოვა ქართველმა ხალხმა ეროვნული და სოციალური თავისუფლება. დღეს საქართველო საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში იმედიანად მიიკვლევს გზას ცივილიზაციის მწვერვალებისაკენ“-ო. ჩამოთვლილია ილია შავშეავაზის მიერ გამოთქმული მოსაზრებები: განათლების, ისტორიის, ეკონომიკის, ადამიითის კეთილდღეობის, თანასწორობისა და თავისუფლების შესახებ, რომლებიცამ საბჭოთა ხელისუფლებამ გთახორციელათ. ერთი სიტყვით, ილია რასაც ნატრობდა და ოცნებობდა, ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა წესწყაბილებამ რეალობდა და აქციამ და ამიტომ ილიას დაბადების და დიდი იმბოლურიაო.

მეორე, ნაკლები ჩინის, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანმა, პარტიულმა წარმომადგენელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დევი სტურუამ „საერთაშორისო სამეცნი-

ერო კონფერენციას“, რომელიც „მშვიდობას“ მიეძღვნა (ახლა საბჭოთა სამშვიდობო პროპაგანდა „სამეცნიერო“ აზრით ტარ-დება ხოლმე), რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში 21-22 ოქტომბერს და რომელსაც 27 ქვეწის მწერლები, პოეტები, მთარგმნელები, კრიტიკოსები და სხვანი ესწრებოდენ, — განუცხადა: „ილია ჭავჭავაძე, რომელიც ყველთვის იბრძოდა თავისი ხალხის ბედნიერებისათვის, ბედნიერება შარმოუდგენლად მიაჩნდა მშვიდობის გარეშე ... და იმას, რაზეც ოცნებობდნენ თერგდალეულები, ჩვენს დღეებში ეწერა განხორციელებათ“ „თავისუფლების მშოგნელი ამ ქვეჭად მარტო თოფია, ✓

შინ უღლით გაქნილ ცხოვრებას ომში სიკვდილი სჯობია!

ამ სიტყვების ავტორზე დ. სტურუას განცხადება საღი აზროვნების აბერაციაა. ილია, რომელიც ეტრიფოდა იარაღით მებრძოლ გარიბალდელებს, ირლანდიელებს, დასტუროდა აჯანყ-ბულ კომუნარების დამარცხებას, იცავდა გურიის აჯანყბულ გლეხებს, — რა შეიძლება საერთო ჰქონდეს ტირან საბჭოთა რესიმთან და მის ცბიერ „მშვიდობის“ ლოზუნგთან, რომლის დედაარსიცაა: უკვე დაპყობილ ხალხთა მონური მორჩილება, ხოლო დასაპყობ ხალხებისათვის — მათი ცლმხრივი განიარაღება.

ამასთან ერთად სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ იგივე დევი სტურუამ, რომელიც, სხვათა შორის, ილიას წინააღმდეგ მოლაშქრე ბოლშევიკ სტურუას შთამომავალია, — 11 ოქტომბრის გაზ. „კომუნისტში“ ილიას „ყველაზე დიდი ქართველი“ უწოდა და ისიც თქვა, რომ:

„იმის სრული გაუგებრობა, რომ განმათვისუფლებელი მორაობის ახალ, პროლეტარულ ერაპზეც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ინარჩუნებს თავის დიდ მნიშვნელობას, გამოავლინეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქციის ისეთმა გვოჩენილმა ლიდერებმა, როგორებიც იყვნენ ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე. მათი დამოკიდებულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებთან და, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძესთან იყო მცდარი და სრულიად მიუტევებელი, რაც ასუსტებდა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ საერთო დემოკრატიულ ფრონტს“ - მ.

ამ სტატიის ბოლოში ავტორი კომუნისტისთვის უცნაურ წი-



ნადალებას იძლევა: „ქართველი ხალხის ერთობა იზურინებული  
იღიას გამუდმებული ზრუნვის საგანი. დღესაც საჭირო მომენტი  
ტი ერთსულოვნება, მეტი ურთიერთ გაგება, ვჯას ენით რომ  
ვთქვათ, ურთიერთ დაწყობაც, იმისთვის, რომ წარმატებით  
განვითარდეს საქართველოს მატერიალური და სულიერი კულ-  
ტურა, იმისთვის რომ მართლაც გარდავიქმნეთ და მეტი ვა-  
რგოთ ჩვენს მამულს, ჩვენს ხალხს. დღეს ხომ ჯელას აქვს  
თანაბარი უფლება აღიმაღლოს ხმა სამშობლოს სასიკეთოთ.  
მაშ, ნუ მიიჩნევს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, რომელსაც  
ალბათ გულწრფელად, მაგრამ თავისებურად ესმის სამშობლ-  
ოს კეთილდღეობა, არბიტრებად საზღვარგარეთულ „ხმებსა“ //  
და გამოცემებს. მოდი, ჩვენი საოჯახო საქმეები ჩვენივე  
ოჯაში გადავწყვიტოთ ისე, როგორც ეს ეკადრებათ ილია  
ჭავჭავაძის მემკვიდრეებს, და ეს იქნება ჭელაზე უფრო შე-  
საფერისი პატივისცემა ჭელა დროის ჭელაზე დიდი ქართვე-  
ლისა.“

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვების აღრესატებმა ბ-ნი სტუ-  
რუა სიტყვაში უნდა დაიკირონ და უპასუხონ: თანახმა ვართ,  
ნუ ჩავურუვთ უცხოელებს ჩვენი საოჯახო საქმეების გადაწ-  
ყეტაში, ამისთვის კი საჭირო იქნება, რომ თქვენ, ქართველ-  
მა კომუნისტებმა, თქვენს პარტიულ კოლეგა რუსებს მოსთხო-  
ვოთ, გაიყვანონ მათი ჯარები საქართველოდან და საქართვე-  
ლოსა და ქართველი ხალხის მიმართ შეწყვეს კრემლის მეურ-  
ვეობა.

#### დ. ოდიშარის: „მამულიშვილზე“

საბჭოთა ტენორებთან ბ-ნ ოდიშარის მოხსენება იქნებ მარ-  
თებული არ იყოს, მაგრამ აქ მათ აკაგშირებთ ილია ჭავჭა-  
ვაძის პიროვნება. დავით ოდიშარის „მამულიშვილი“, რომელ-  
იც „ივერიის“ 31 ნომერში გამოქვეჩდა, დაწერილია ილიასა-  
დმი ღრმა პატივისცემით, პათოსით და საგნის ცოლნით, მაგ-  
რამ მასშიც, ჩვენი გაგებით, ორი მცდარი აზრია, რომლებ-  
ზედაც ჭურადღების გამახვილება საჭიროდ მიგვაჩნია.

ერთ ადგილას ნათქვამია: „მთელი თავადაზნაურული წოდე-  
ბისათვის დამახასიათებელი (ხ. გ. ჩვენია) ეს მცონარება,  
სულიერი გათახსირება, ამორალური ყოფა უბასრესი სარკაზ-  
მით აქვს აღწერილი ილიას...“ მართლა მთელი თავადაზნაუ-

რობა ასეთი იყო? რა თქმა უნდა, რომ არა! ეს შეცდომა აღმა გამოშვეულია საბჭოთა სკოლის გავლენით, ისტორიულ კლასთა ბრძოლის შაბლონით მიღომით. ილია, რაგინდ ლევ-გმირი არ ყოფილიყო, მარტო ჟერას წინააღმდეგ ვერარას გახდებოდა. ილიასთან ერთად ან მის პარალელურად მოღვაწეობდა ბრწყნვალე პლეადა თავადებისა და აზნაურებისა. მათ იცნობს ჟერა შეგნებული ქართველი და მათი აქ ჩამოთვლით მკითხველს თავს აღარ შევაწყნ. ის კი არა და, როცა, უფრო გვიან, ასპარეზზე გამოვიდენ ჯერ სოციალისტური და მერე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები, მათაც წინ მიუძღვდენ თავადაზნაურთა წოდებიდან გამოსული ლიდერები. კიდევ მეტი, თავადაზნაურობამ ილია იარჩია ბანკის უფროსად და 1906 წელში-მის წარმომადგენლად სამეფო საბჭოში. ეს ფაქტები ცხადად მეტყელებენ, რომ არამც თუ მთელი წარჩინებული წოდება, მისი ნახევარიც (და არც მეასედი) არ ყოფილა ეროვნულად გადაგვარებული და მორალურად გახრმილი.

ახალგაზრდა ილია შავშევაძე გატაცებით ებრძოდა ბატონ-ჭობას, როგორც სისტემას. ეს ბრძოლა იყო პროგრესული და ილიასთან ერთად იბრძოდა სხვა ბევრი თავადი და აზნაური. ილია ებრძოდა თავადაზნაურთა პრივილეგიებს. აქაც მის ბრძოლას ამაგრებდა ამ პრივილეგიურ წრიდან გამოსულთა კოჭორტა. და ბოლოს, ილია ბრძოლას აწარმოებდა ხელისულების გამარტსებელ პოლიტიკის წინააღმდეგ და ამ გზაზე შემდგარ ზოგიერთ ჩინოსანთა მიმართ და არა მთელი თავადაზნაურობის წინააღმდეგ.

ილიასა და ჩვენი ინტელიგენციის, რომლის დიდი უმრავლესობა თავადი და აზნაური იყო, ბრძოლა უნაყოფო არ ყოფილა. როცა დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის კითხვა, თავადაზნაურობამ მის განხორციელებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, ქართველ ხალხს ნებაყოფლობით გაღიასცა მთელი ქონება და უწინააღმდეგოდ ხელი აიღო მის პრივილეგიებზე. ხოლო, როცა ლენინის რესერვმა ჩვენი სამშობლო დაიპყრო, მტრის წინააღმდეგ წინა რიგებში ისევ მათ წრიდან გამოსულები იბრძოდენ და ჟერა სხვა სხვა ქართველებზე მეტი მსხვერპლი გაიღო ამ წოდებამ 1921 - 24 წლებსა და შემდეგაც.



მ ჯიუტ ფაქტებს პუბლიცისტიკამაცა და ისტორიოგრაფიამაც  
ანგარიში უნდა გაუწიოს, თუ სურს, ობიექტიური რომელსაც.  
დავით ოლიშარს ვერც იმაში დავთხმებით, რომ თითქოს  
ილიას „რაფინირებული, ნატიფი ლექსები“ ვერ მოეცეს. ილია  
ფუტურისტულ ლექსებს არ წერდა: „რიკი, რიკი, რიკი,  
რიკი, რიკი, თოხარიკი“ -ს მსგავსს. არც ლირიკაა ილიას პო-  
ეზიის მთავარი მახასინებელი, მაგრამ: „გაზაფხულის“, „პო-  
ეტის“, „ჩემო კალამო...“, „ლეცვის“, „ლევიის“, „მესმის,  
მესმის...“, „გახსოვს ტურფავ...“ და სხვათა და სხვათა  
მოკლეთა და გრძელთა ლექსთა ავტორზე ვინც იტყვის: რაფი-  
ნირება და სინატიფე აკლიაო, ის არაჩეულებრივი გემოვნე-  
ბის უნდა იყოს.

## უცნობელიძე

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ი ლ ი ა ს დ ა ღ უ პ ვ ი ს 50 წ ლ ი ს თ ა ვ ჳ ე\*)

იყო ის ხანა  
კურთხეული წელთა რიგების –  
როცა ცხოვრობდი აქ, ჩვენ შორის  
ჩვენო ილიავ!

გამოაფხილე, გაანათე ბნელი ქვეყანა –  
მქადაგებელო სიჭარულის და შერიგების,  
და შენი ღვაწლი დღევანდლამდე არ დაილია.

ჩვენ არ ვივიწყბდთ თავდადებულთ ძველსა და ახალს,  
იმათ სახელებს ვინ ჩამოთვლის მრავალ წყბინას?  
მაგრამ ჯერ მებრძოლს შენზე დიადს და შენზე მაღალს  
ქართლში ცხოვრება არასოდეს არ ღირსებია.

შენ რომ გამოჩნდი, ძლივს ბუუტავდა ქართლის კერია,  
გვეხვია მტერი: აბეზარი კოლო-ბუზივით.  
დადექ საომრად: ბუმბერაზი იალბუზივით  
და ამ ბრძოლაში შენ ვერავინ ვერ მოგერია.



იდეპი მარტო უძლეველი, სალი კლდესავით, უკრიცხული  
ხელო გეპჭრა მხოლოდ კალამი და სიმართლის უკურნელებელი,  
შენს წმინდა ლოცვებს ყურს უგდებდა ზეცაში ღმერთი  
და გააცოცხლე საქართველო ლაზარესავით.

როცა გესროლეს წიწამურში მუხხთალი ტყვია,  
განა შენ მოგალეს? ჩვენც დაგვიყდეს შენთან ზიარად,  
ჩვენც გულში მოგვხვდა შენი ტყვია, ჩვენო ილიავ,  
და გულში დაგვაქვს შენ სახელთან მწარე იარათ.

ვინ დაივიწყებს გმირთა გმირებს, ძველსა და ახალს,  
იმათ სახელებს და საქმეებს მრავალ წყბიანს?  
მაგრამ ჯერ მებრძოლს შენზე დიადს და შენზე მაღალს,  
ქართლში ცხოვრება არასოდეს არ დირსებია.

### გიორგი (გუგული) გამჭრელიძე

მაისი 1957 წ. დალლასი, ტექსასი.

\*) პოეტ გ. გამჭრელიძის ეს ლექსი გადმობეჭდილია  
ბ-ნ გივი კობახიძის კრებულ „ქართველი ერი“ -დან,  
რომელიც ნიუ-იორკში იცემოდა. გუშაგი

\* \* \* \* \*

### ნ ა წ ი ლ ი II

#### გორბაჩივის „გარდაქმნა“

გორბაჩივის მიერ წარმოებული „გარდაქმნის“, „საჯარობისა“ და „დემოკრატიზაციის“ პოლიტიკის მიმართ „გუშაგმა“ მის უკანასკნელ ნომერში, როგორც ვიცით, ფრთხილი „ვნახოთ“-ის პოზიცია დაიკავა. ამის საფუძველს იძლეოდა გორბაჩივის საჯარო განცხადებები, მის ირგვლივ ატეხილი ხმაური დასავლეთში და ის ზოგიერთი, მცირედი, მაგრამ მაინც დაკვირვებული თვალისფერის შესამჩნევი, ცვლილებები, რომებსაც დაგილი ჰქონდა საბჭოთა საზოგადოებაში. პოზიტიურ ცვლილებებში აღსაჩიშნავია თვით მ. გორბაჩივის მხურევალე და დაუინებული კრიტიკა საბჭოთა ხელისუფლების საშინაო

პოლიტიკის, სტალინიდან მოყოლებული ბრენევის პერიოდის ჩათვლით, და ხრუშჩივის რეფორმების მოწონება, უფრო დიდი კოს სახაროვის გადასახლებიდან განთავისუფლება, სხვა ცნობილ პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ზოგიერთ „რეფუზნიკისათვის“ ემიგრირების ნების დართვა; თებერვლის შუა რიცხვებში კრემლში გაიმართა დიდი საერთაშორისო ფორუმი.

მი „საერთაშორისო მშვიდობის“ ნიშნით, რომელსაც ოთხმოცი ქვეწის ცხრასი ჭავლელთაოდ ცნობილი მწერალი, ხელოვანი თუ სასულიერო მოღვაწე ესწრებოდა. მ. გორბაჩივმა დამსწრე განუცხადა, რომ მისი მიზანია სახელმწიფოთა შორის ნდობის აღდგენა-გარმტკიცება საერთაშორისო ურთიერთობაში, ხოლო საშინაო ხაზით-დემოკრატიზაციის განვითარება. მე მწამს, რომ შესაძლებელია უბირთვო მსოფლიოს არსებობა და ამ დასაწყის ეტაპზე მომხრე ვარ ბირთვული იარაღის მკვეთრი შემცირებისათ.

გორბაჩივის სიტყვებს ზოგიერთი აქტიც მოჰყავა: საერთო ამნისტიის გარეშე, დიდი ხმაურით დასავლეთის გასაგონად, თითო-თითოდ გაანთავისუფლეს ორასამდე პოლიტპატიმარი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გორბაჩივის ეს შეწყვლება შეეხო აგრეთვე ქართველ პოლიტპატიმრებსაც.

მარტიდან დაწყებული ივლისის ბოლომდე „გულაგებიდან“ გაანთავისუფლეს: მერაბ კოსტავა, ნიკოლოზ სამხარაძე, ზაქარია ლაშერარაშვილი, ტარიელ ლვინიაშვილი, ირაკლი წერეთელი, ვახტანგ ძაბირაძე (რელიგიური მოძრაობის აქტივისტი), ძმები თენგიზ და ელუარდ გუდავები, ემანუელ თვალაძე (გუდავებთან თანა მოღვაწე და მათთან ერთად დასჯილი).

ქართულ ოფიციალურ პრესაშიც შეიმჩნეოდა ცვლილებები. ქვექდებოდა ურთიერთ საწინააღმდეგო სტატიები კულტურულ-ეკონომიკურ-ეთიკურ-მორალური ხასიათისანი. თუმცა რეაბილიტირებული არ ყოფილან, მაგრამ პრესისთვის ტაბუს აღარ წარმოადგენენ: გრიგოლ რობაჭიძის, მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის და თვით ნოე უორდანის სახელები. ილია ჭავჭავაძის იუბილესთან ერთად თითქმის ერთხმად დაიგმო ფილიპე მახარაძისა და მისი ბოლშევიკური პარტიის ანტიეროვნულობა. ცხარე კჩიათს ჰქონდა ადგილი პრესის ფურ-

ცლებზე უკვე ერთი წლის წინად დაწყებულ კავკასიურცხულ ღელტეხნილო რეინიგზის მშენებლობის თაობაზე, რჩეს „მშენებლების დაც მუშაობა დროებით შეაჩერეს, რაც მნიშვნელოვანი და საჭრადლებო შემთხვევაა.

ამ სასიკეთო შთაბეჭდილებებთან ერთად შეიმჩნეოდა აგრე-  
თვე ველიკორუსული შოვინიზმის დაწლაც. ზაფხულში საქა-  
რთველოს შესამოწმებლად ეწვია ეგორ ლიგაჩოვი, რომელიც,  
მისი საჯარო გამოსვლების მიხედვით, ცნობილია, როგორც  
ყველაზე მხურვალე დამცველი მართვის სტალინური მეთოდი-  
სა გორბაჩოვის მთავრობაში. ეგ. ლიგაჩოვმა ბატონეკაცურად  
გააკრიტიკა ქართველების ნაციონალიზმი, თბილისის უნივერ-  
სიტეტში ქართველების რიცხვი პროპორციულად გაცილებით  
მეტია, რესპუბლიკაში მცხოვრებ არაქართველებთან შედარე-  
ბითო. მას, რა თქმა უნდა, საქართველოში მცხოვრები სომ-  
ხებისა და თათრების ენა კი არ აწუხებდა, არამედ-რუსული.  
იგ. ლიგაჩოვის კრიტიკა ბრძანება გამოდგა: უნივერსიტეტში  
დაუჭავნებლივ ქართულის ხარჯზე დამატებით გახსნეს რუსული  
სექტორი, რითაც მისაღებ ქართველ სტუდენტთა რიცხვი ოთ-  
ხასით შემცირდა. უკვე აქამდე უმაღლესი ცოდნის მიღების  
მსურველი ჩვენი ახალგაზრდობა იძულებული იყა რუსეთის  
უმაღლეს სასწავლებლებში წასულიყო მეოთხედი მაინც.

ეროვნულ შევიწროებას მარტო საქართველო არ განიცდის. ყაზახეთის პატრიოტული მანიფესტაციები და მისი უხეში და-  
რბევა ხომ საყველთაოდ ცნობილია. აზერბაიჯანს დაუცურეს  
ინსტიტუტი და მის ადგილას გაუხსნეს რუსული ინსტიტუტის  
სექცია. აზერბაიჯანელი გ. ალიევი ისევე უცერემონიოდ მი-  
აბრძანეს „პენსიაში“, როგორც ყაზახი დ. კუნაევი. ყარიმის  
თათრები, რომლებიც ას სწყვეტენ მანიფესტაციებს, რომ ნე-  
ბა დართონ მათ სამშობლოში ცხოვრებისა, უხეშად გარეკეს  
მოსკოვიდან. ათასობით მთიფესტებები ლიტვა, ლაზები, ეს-  
ტონეთში, რიბენტროპ-მოლოტოვის ხელშეკრულობის წინააღმ-  
დეგ, რომლის ძალითაც საბჭოთა ხელისუფლებამ ანექსია უქ-  
მნა ბალტიისპირეთის ამ ქვექებს, —ასევე უხეშად დაარბიეს.  
მრავალი სხვა ფაქტების ჩამოთვლა შეიძლება ეროვნული სა-  
კითხის მოუგვარებლობას და უფრო გამჭვავებასაც რომ გვი-  
ჩვენებენ, მაგრამ, უადგილობის გამო, ამჟამად ამით დავკმა-

### ჟაფილდეთ.

საზაფხულო შვებულების დროს გორბაჩოვი ექვსი უკანასკნელი განმავლობაში სრულიად გაუჩინარდა და მიუხედავთ უკანასკნელი გულმოდგინე კვლევა-ძიებისა, ვერც მიზე-ზი დამალვისა და ვერც ადგილსამყაფელი ვერ იქნა მიკვლე-ული. მარტო ეს ფაქტიც ცხადად მეტჯელებს, რომ გორბაჩე-ვისეული საჯაროობა წესი კი არ არის, არამედ გამონაკლი-სი, დასავლეთის თვალის ასახვევად. ამ ინციდენტს მაღე და-ივიწყებდენ, გორბაჩოვის პოლიტიკაში რომ მნიშვნელოვანი გარდატეხა არ შეემჩნიათ. სექტემბერში ის კრემლში გამოჩნდა დასვენებული და სამხრეთის მზისგან გარუჯული სახით, მაგრამ აქედან მოყოლებული მისი ქადაგებანი გვარი-ან უკანდახევებს წარმოადგენენ წინანდელებთან შედარებით. ეს უკანდახევა განსაკუთრებით გამომჟღავნდა მის ახლად გამოცემულ წიგნში: „გარდაქმნა და ახალი აზროვნება ჩვე-ნი ქვეჭისა და მთელი მსოფლიოსათვის“ და ოქტომბრის რე-ვოლუციის 70: წლისთავი სადმი მიძღვნილ მოხსენებაში „ოპტო-ბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება“. აქ გატარე-ბული აზრები სტალინისა და მისი წმენდების შესახებ, კოლე-ქტივიზაციასა და მისგან გამოწვეულ მსხვერპლზე, პიროვნულ კულტზე და მემარცხენე-მემარჯვენე გადამხრელებზე და სხვა საშინაო და საერთაშორისო საკითხებზე, -თითქმის იგივეა, რაც ბრენდევის ზეობის უკანასკნელ წლებში. ასეთი უცარი შემობრუნება გაკვირვებას იწვევს დასავლეთში, პირველ რი-გში იმ პოლიტოლოგთა შორის, რომლებიც კარგად იცნობენ საბჭოთა კაგშირსა და მის ხელისუფლებას. ისინი მიღიან იმ დასკვნამდე, რომ გორბაჩოვი ან იძულებული იყო დათმობებ-ზე წასულიყო მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგე კონსერვატო-ულ მიმღინარეობასთან, ანდა ის არასოდეს არ ჟაფილა გულშ-რფელი დემოკრატი და ლიბერალი, მას სურდა, რომ ასეთად მოეჩვენებია თავი დასავლეთისთვის.

კრემლში რომ განხეთქილება და ფარული ბრძოლა, ეს ახ-ლა თითქმის უდავოა. ამას ადასტურებს ორი უკანასკნელი დროის ცნობილი ინციდენტი: პირველი, ბორის ელცინის საქ-მე და მეორე, მერყობა გორბაჩოვ-რეიგანის შეხვედრის თა-ობაზე. ბ. ელცინი მ. გორბაჩოვმა დანიშნა მოსკოვის ქალაქ-

ის კომპარტიის კომიტეტის პირველ მდივნად. ეს ჰელვატუსა პასუხისმგებლო და საპატიო პოსტია იერარქიაში, ურუსული ლითო უნდა იყოს საბჭოთა კავშირის სხვა ოლქების, აგრძონი-მიური რესპუბლიკებისა და რესპუბლიკებისათვის. ელცინი ამ თანამდებობაზე გორბაჩივმა დააწინაურა და ის ცნობილი იყო, როგორც ჰელაზე მხურვალე მომხრე გორბაჩივის „გარდაქმ-ნის“, „საჯაროობისა“ და „დემოკრატიზაციის“ პოლიტიკისა, მას რეპუტაცია ჰქონდა: წმინდა, გულწრფელ და იდეალისტ კომუნისტისა.

კ. პ. ცენტრალური კომიტეტის 21 ოქტომბრის პლენურის, რომლის სრული ანგარიში არ გმიოქვეყნებულა, შემდეგ მოსკოვში გაგრცელდა ხმები, ბ. ელცინის ინციდენტისა და გადა-დგომის შესახებ. ერთთა მიხედვით, ელცინმა გაილაშქრა იგ-ლიგაზოგის წინააღმდეგ, მას ბრალი დასდვა გარდაქმნის პო-ლიტიკის დამუხრუჭებაში, მეორეთა მიხედვით კი, ელცინმა მკაცრად გააკრიტიკა თვით გენერალური მდივანი, ბრალი და-სდვა რა პარტიის ახალი პოლიტიკური კურსის ღალატში და თავისი პიროვნული კულტის შექმნის მცდელობაში.

დასავლეთელი კორესპონდენტების შეკითხვაზე, კრემლის პო-რტპაროლმა აღიარა, რომ ბ. ელცინის საქმე მართლაც არსებობს და რომ მისი განხილვა გადადებულია ოქტომბრის რე-ვოლუციის 70 წლისთავის ზეიმობის შემდეგო. მართლაც, 9 ნოემბერს ადგილი ჰქონდა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის დახურულ კრებას, რომელსაც გორბაჩივი (და ალბათ პოლიტბი-უროს სხვა შევრებიც) ესწრებოდა. კრების შემდეგ ოფიცია-ლურად გამოცხადდა, რომ ამხანაგი ბორის ელცინი მოხსილია თანამდებობიდან „მუშაობაში დაშვებულ მნიშვნელოვან ნაკლოვანებათა შედეგადო“. მოსკოვის გაზეთებმა ელცინს ბრალი დასდვეს: ბონაპარტიზმში, ტროცკიზმში, სტალინიზმში, პარტიული ეთიკის დარღვევაში და პოლიტიკურ უმშიფრობა-ში. ჟელაფერი ეს როგორ მოგვავონებს სტალინის დროინდელ წმენდებს! მოსკოველებმა, საბჭოთა საზოგადოებაშ ისიც არ იცის თუ მართლა რა მოხდა, რა დააშავა ელცინმა, რომელიც გუშინ კრემლის პორიზონტზე ამომავალი კაშკაშა გარსკვლა-ვი იყო. რა სინდისით შეუძლია ამის შემდეგ გორბაჩივს, ილაპარაკოს საჯაროობაზე და დემოკრატიაზე, როცა ისეთ მაღალ ორგანოშიც კი, როგორც ცენტრალური კომიტეტია,

უპატიებელ დანაშაულად ითვლება სახელმწიფოს მმართველობის კოლეგების კრიტიკა, ხოლო ამ კრიტიკის მსხვერისადმი უდიდებაც არა აქვს საჯაროდ თავის მართლებისა?

კრემლში უთანხმოების მეორე აშკარა ნიშანია შემდეგი საერთაშორისო ხასიათის ინციდენტი: ოქტომბრის 22-23 რიცხვებში, ჭინასჭარი შეთანხმების თანახმად, კრემლს ეწვია ამ-ერიკის სახელმწიფო მდივანი ქ. შულცი, რეიგან-გორბაჩივის მომავალი ვაშინგტონში შეხვედრის დღის წესრიგისა და თარიღის საკითხებში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. კრემლში, როგორც ჩანს, ყაჟანობდენ, შულცს ახალი და მიუღებელი მოთხოვნები წაუყვნეს და ასე ხელცარიელი გამოისტუმრეს უკან. ერთი კვირეც არ გასულიყო ამის შემდეგ და გორბაჩივმა შევარდნაძე აფრინა ვაშინგტონში იმ დავალებით, რომ ის მზადაა უკვე ორივე მხარის მიერ მიღებული შეთანხმების თანახმად, ეწვიოს პრეზიდენტს მოსალაპარაკებლად და ხელშეკრულებებზე ხელის მოსაწერად ამ წლის 7-8 და 9 დეკემბერს. ეს მარცხიანი ფაქტი მეტყველებს, რომ გორბაჩივის მთავარ შტაბში ერთსულოვნება არ სუფევს. ჩემი შეხვედრა შერჩული პრესტიუსის გასამაგრებლად.

### გულბათ გულბათიშვილი

\* \* \* \* \*

მ. გორბაჩივის წიგნით და ორი ნოემბრის მოხსენებით მიღებული შთაბეჭიდილებების შესახებ ქვემოთ ვბეჭიდავთ ორი ფრანგი აღიარებული „სოვეტოლოგის“: ქალბატონ ელენ კარერ და ფრანსის და ბ-ნ ალენ ბეზანსონის, და აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ინტერვიუს.

### ელენ კარერ დანკოსი:

გაზ. „ფიგაროს“ კორესპონდენტის მიერ დასმულ კითხვებზე ქ-ნ ელ. კარერმა უპასუხა: გორბაჩივის აღრინდელ სიტყვებსა და მის წიგნს შორის საოცარი განსხვავებაა და ამ შთაბეჭიდილებას კიდევ უფრო აღლიერებს მის მიერ ორ ნოემბერს წარმოთქმული სიტყვათ. წიგნი ისეთ შთაბეჭიდილებას სტროგებს, თითქოს ის დაწერილი იყოს სამი ერთმანეთისგან განსხვავებული პირისაგან. პირველი, რომელიც პრაგმატული,

დინჯი და უუშმაკო ჩანს, იმეორებს უკვე ბრეუნევის ზეობის უკანასკნელ წლებში გავრცელებულ შეხედულებას: ფილიმონ ში საქმე ცუდადაა და ის უნდა შეიცვალოს. მეორე ეხება ისეთ მტკიცნეულ საკითხებს, როგორც: კოლექტივიზაცია, წმენდები ან ავღანისტანია, რომლებზედაც წიგნში გამოთქმული აზრები გასაკვირველი უკანდახევაა გორბაჩოვის ადრინდელ იმავე საკითხებზე გამოთქმული აზრებისაგან. მაგალითად კოლექტივიზაციაზე ნათქვამია, რომ ის იყო დიდი ისტორიული ეტაპი, ჰელაზე მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

მართალია, რომ ის გატარდა შეცდომებით და გადაჭარბებული სიმკაცრით, მაგრამ უმისოდ ჩვენი ქვეყნა ვერ მიაღწევდა ახალ პროგრესს. მეორე მაგალითი, სტალინური წმენდები მოხსენებულია მხოლოდ XX ურილობასთან დაკავშირებით: „პარტიის XX ურილობა იყო ერთი დიდი თარიღთაგანი ჩვენს კომპარტიის უახლოეს ისტორიაში, მას დიდი წილი მიუძღვის სოციალიზმის მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში, მიღებული იქნა მნიშვნელოვანი დადგენილებები მაგნე სტალინის პიროვნების კულტის გავლენისაგან ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების გასანთავისუფლებლადო. დაგვეთანხმებით, რომ „გადაჭარბებული“ და „ცუდი გავლენა“-თი ხსენება ისეთი მოვლენისა, რომლის დროსაც გადასახლებული და მოკლული იქნა მილიონობით ადამიანი, არის სულ უორა განსაციფრებელი XX ურილობიდან ოცი წლის შემდეგ.

ცენტრალური ეკრანის კრიზისები ასევე გადაკვრითაა მოხსენიებული და ასეპტიურებულია. ნათქვამია რომ: დიახ, სოციალისტურმა ქვეწებმა გაიარეს სერიოზული კრიზისული მომენტები მათი განვითარების პერიოდში, ისინი გამოწვეული იყნენ ხელისუფლებაში მყაფ პარტიების. შეცდომებით და, რა თქმა უნდა, ბრალი მიუძღვის დასავლეთს, მაგრამ არა სოციალიზმს როგორც სისტემას.

ცივი ომის შესახებაც იგივე რეცეპტი: დასავლეთის ბრალი იყო. მაგრამ ჰელაზე დიდი უკან დახევა ავღანისტანის „საკითხშია, რომლის შესახებაც გამეორებულია „საჯაროობის“ წინ არსებული ვერსია: ამ ქვეყნაში მრავალჯერ თხოვა დახმარება საბჭოთა კავშირს, რომ გამკლავებოდა შინაურ წინა-

აღმდეგობას, გამოწვეულს სოციალისტური გარდაქმნებით, და დასავლეთის ჩარევას, საჭიროთა კავშირმა მხოლოდ მეტყველების ტე თხოვნის შემდეგ შეიფანა იქ ჯარი, ის მზადაა იქიდან ის გამოიყანოს იმ პირობით, თუ შეწყდება გარედან ჩარევა.

მესამე ნაწილი წიგნისა მიუხედავად ზოგიერთი ახალი პოლიტიკური აზრებისა, თავისი ტერმინოლოგიითა და დასაბუთებით, გვიჩვენებს აგრეთვე ტრადიციონალისტის გამოსახულებას, რაც არანაკლებ უჩვეულოა. არაფერი ამ წიგნში არ სტოვებს წარსულთან კავშირის გაწყვეტის ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ნიკიტა ხრუშჩოვის დროს, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ავტორი მას ქებით იხსენიებს.

ჩემი შთაბეჭდილებაა, ასკვნის ქ-ნი ელენე, რომ ნაწარმოები წარმოადგენს კომპრომისს მოძრაობასა და მის მოწინააღმდეგებს შორის. ორ ნოემბერს წარმოოქმული სიტყვაც სრულიად თავსდება იგივე კომპრომისულ მიმართებაში და სარგებლობს იგივე საშუალო ტერმინებით წარსულის დახასიათებაში: სტალინის „ხედმეტი“; სტალინის „შეცდომა“ („ვინა“ რუსულად, რომელსაც შეცდომით თარგმნიან „კრიმინელობად“).

„ათასობით“ მსხვერპლი და სხვა. ცხადია: წიგნი და სიტყვები გადმოგვცემენ გორბაჩოვის ღლევანდელ სიძნელეებს, შეინარჩუნოს წარსულთან კავშირის გაწყვეტის მეტყველება.

(9.XI.87 -ის „ფიგარო“ ელ. კარერ დანკოს: „კომპრომისის დრო“)

\* \* \*

### ა ლ ე ნ ბ ე ჭ ა ნ ს თ ნ ი

ეს გმიჩენილი ფრანგი პოლიტოლოგი, გაზ. „ფიგაროს“ იმავე ნომერში მიცემულ ინტერვიუს ასათაურებს „სტალინის მეცნიერება“-თი, რომლის თავისუფალი თარგმანი შემდეგია:

1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალებიდან 1921 წლამდე რუსეთმა დაპკარგა 10% მცხოვრებლებისა; 1928-32 წლებში კოლექტივიზაციისა და შიმშილობისაგან 15 მილიონი ადამიანი დაიღუპა; შემდეგ, სტალინის სიკვდილამდე გაზრდედა უწყვეტი ხოცვა-ჟღერა. რუსეთის განვითარების დონე

დღეს გაცილებით უფრო ჩამორჩება დასავლეთისას, კართლები ამას აღილი ჰქონდა 1913-ში. მაგრამ უნდა ვითქმაროს ისიც თუ რა სამწუხარო გავლენა მოახდინა მან სხვა ხალხებზე. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ხლხმა, რომელიც კომუნიზმის მბრძანებლობის ქვეშ მოხვდა, განიცადა დაახლოებით იგივე ბედი: ჩინეთში, ან უფრო ახლოხანს ვიეტნამში, ეთო-ოკეაში, კანოლაში, ყველგან ჩვენ ვპოულობთ ათ პროცენტ დანაკარგს მოსახლეობისას, კომუნისტური ხელისუფლების დამყარებიდან სამი ან ოთხი წლის განმავლობაში.

ამას ემატება არაპირდაპირი შედეგები, რომელთაგან ყველაზე საშინელი იყო ჰიტლერიზმი, რომელიც კონვულსიური მიბაძვა იყო ბოლშევიზმის და ისეთივე საზარელი როგორც მისი მოდელი.

ბოლშევიკური გადატრიალების დღიდან დასავლეთს საბჭოთა კავშირი ჩვეულებრივ სახელმწიფოდ მიაჩნია. კოლექტივიზაციის წინ სტალინზედაც ისეთი აზრი იყო, როგორც დღეს გორბაჩივზეა, რომ მას სხვა არა უნდა რა, გარდა მისი ქვეწის განვითარებისა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი შეხედულება გრძელდება ისე, რომ კაგებეს (რომელიც მოდელი იყო გესტაპოსი) პატრონი ანდროპოვი მთელ მსოფლიოში წარმოდგენილი იყო ლიბერალ და რეფორმატორ სახელმწიფო მოღვაწედ, ხოლო გორბაჩივი, რომელიც ანდროპოვის მოწაფეა, კიდევ უფრო გიუურ იმედებს აღუძრავს მსოფლიოს. დღე არ გავა რომ გორბაჩივის ქება არ ნახო პრესაში. ამ წლის აგვისტოს „ტაიმს მაგაზინში“ გორბაჩივი წარმოდგენილი იყო შეერთებული შტატების პრეზიდენტობის თითქმის ღირსეულ კანდიდატად.

გორბაჩივის პოლიტიკა რომ გაიგო, უნდა იცოდე მისი მიზანი. სტალინმა, რომ შეექმნა სამხედრო ინდუსტრია, რომელიც მას აკლდა ნაციზმის წინააღმდეგ, გულაგს მიმართა. გორბაჩივს იგივე მიზანი აქვს, მაგრამ მას აღარ ჰყავს მის განკარგულებაში გლეხობა, მძიმე ინდუსტრიაში გამოსაყენებლად და გულაგში გასაგზავნად; აგრეთვე ის აწყვება სიძნეებს, რომელნიც სტალინის დროს არ არსებობდნენ; ეს არის შავი ბაზრის ისეთი მასშტაბით განვითარება, რომ სსრკ-ს სექტორები მთლიანად – აღგილობრივი კომუნისტების

და გაეროვნებული მაფია – ხელიდან უსხლტება პარტიის კუთხით  
ნტროლს. პარტიას რომ ლენინური ძალაუფლება დაუზურნის კუთხით  
გორბაჩივმა გადაწყიტა შავი ბაზრის ეკონომიკის განაღვე-  
რება, რის შედეგადაც მან ის ცეპიც გაწყიტა, რომელიც  
ავდ თუ კარგად ასულდგმულებდა საბჭოთა ეკონომიკას.  
მაღაზიები ცარიელია, სატრიუქონო მატარებლები მოძრაობები  
საათში შვიდი კილომეტრის სიჩქარით, ვადგა შეიცვალა  
მუხრუჭების სითხით ან წებოთი და ა. შ. მოკლედ, გამოსა-  
ვალი არაა შიგნით და ერთი ოხუნჯობის მიხედვით, რომე-  
ლიც მოსკოვში დადის, „დღეს „პერესტროიკა“, ხვალ „პერე-  
სტრელკა“.

მოხსენება, რომელიც გორბაჩივმა ოქტომბრის რევოლუციის  
70 წლისთავის შემთხვევისთვის გააკეთა, გვიჩვენებს, რომ  
მიმართულება აღებულია გამკაცრებისაკენ. ეს ითქვა, მაგრამ  
არ არის შესაძლებელი, რომ სსრკ-ს ძლიერების მიზნები მი-  
ღწეული იქნენ სტალინური მეთოდებით. მისი ხსნის გზა გა-  
დის საზღვარგარეთზე. ამაში მდგომარეობს მისი პოლიტიკუ-  
რი თამაში, რომელიც გამიზნულია იმისაკენ, რომ ევროპა  
გადააქციოს საბჭოთა სამყროს მიმართ ისევე, როგორც გა-  
რმანის ფედერაციული რესპუბლიკაა უკავე გერმანიის დემო-  
კრატიული რესპუბლიკის მიმართ: ტექნოლოგიისა და სავაჭრო  
საქონლის მომმარავებლად, რომელმაც უნდა ხელით ატაროს //  
საბჭოთა ეკონომიკა. მის კამპანიას, მოხიბლოს ევროპა და  
მის სტრატეგიას, გაცალცაკეოს ევროპისა და ამერიკის თა-  
ვდაციის სისტემები არა აქვს სხვა მიზანი გარდა იმისა,  
რომ ხვალ შეიძლოს ბებერ კონტინენტს უკარნახოს ჭაღაზე  
სასარგებლო პირობები საბჭოთა კავშირის საყველთაო პარა-  
ზიტიზმისა ევროპის ეკონომიკური ერთობისა და იაპონიის  
მიმართ.

\* \* \*

### სახაროვის ინტერვიუ

პ. გორბაჩივის მიერ ორ ნოემბერს წარმოთქმული სიტყვის  
შემდეგ, აკადემიკოსი ან. სახაროვი ტელეფონით დაუკავში-  
რდა „რეიტერის“ სააგენტოს კორესპონდენტს, რომელსაც გა-  
ნუცხადა: „ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშ-  
ნავ საზეიმო სხდომაზე სიტყით გამოსვლისას, გორბაჩივმა

არ თქვა სრული სიმართლე იმ საშინელ ტერორზე, რომელიც მძვინვარებდა საბჭოთა კავშირში სტალინის მმართველობის პერიოდში, ოციანი წლების შუადან ორმოცდაათიან წლების დასაწყისამდე. მან მაგალითად თქვა, რომ: სტალინის მმართველობის პერიოდში დაიღუპა ათასობით უდანაშაულო ადამიანი, მაშინ, როცა დაღუპულთა რიცხვი, ცხადია, გაცილებით დიდია.

გორბაჩივმა თავის სიტყვაში არაფერი თქვა, აგრძელებს ან. სახაროვი, პოლიტპატიმართა განთავისუფლებასა და რეაბილიტაციაზე. გორბაჩივი არაფერი უთქვამს სინდისის ტუსაღებზე. მას იმედი გაუცრუა იმ ფაქტმა, რომ გორბაჩივს თავის გამოსვლაში სიტყვაც კი არ დაუძრავს სისხლის კოდექსის იმ სამი მუხლის გაუქმებაზე, რომლებითაც ასამართლებენ ხოლმე საბჭოთა მოქალაქეებს, თავიანთი აზრის გამოთქმის გამონ და სხვა.

მეორე მხრით, ან. სახაროვმა ინტერვიუ მისცა ყველაკვირულ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ საბჭოთა ტელეხელვის მიერ გადაცემული დოკუმენტური ფილმის „ჩისკ“-ის შესახებ. ფილმში ნაჩვენებია: თუ როგორ დასაჯეს სტალინის ბრძანებით საბჭოთა წითელი არმიის მეთაურები. ამ ფილმს სახაროვმა კარგი შეფასება მისცა, მაგრამ ზოგიერთ ხარვეზზე-დაც გაამახვილა ყურადღება, მაგალითად: თუმცა ფილმში ასახულია საბჭოთა ისტორიის მრავალი ტრალიკული ეპიზოდი, იგი მანც ვერ ამბობს სრულ სიმართლეს წარსულის საშინელებებზეო; ფილმში სრული სიმართლით არ არის თქმული, თუ როგორ ჩაიგდო ხელში საბჭოთა კავშირმა ატომური ბომბის საიდუმლოება. 1950 წელს ეს საიდუმლოება საბჭოებს იდეოლოგიური მოსაზრებით გადასცა ვერმანიაში დაბადებულმა კლასს ფუქსმა, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შ. შ. -ში ატომურ ცენტრებში მუშაობდა. ის შემდეგ ინგლისში გაასამართლეს, ცხრა წელი გაატარა პატიმრობაში და შემდეგ დასახლდა აღმოსავლეთ ვერმანიაში.

საბჭოთა კავშირისათვის ატომური საიდუმლოების გადაცემის ბრალდებით, 1953 წელს, ამერიკის შ. შ. -ში სიკვდილით იქნენ დასჯილნი ცოლ-ქმარი როზენბერგები. „ჩვენ ვერ დავფარავთ იმ ფაქტს, რომ როზენბერგების სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა ამერიკის კონტრაზერვის შურიძიების აქტს

კლაუს ფუქსის მოქმედების გამო“ ამ ფილმში ხსენებული არ ყოფილა საბჭოთა რაკეტების გაგზავნა კუბაში 1962- წელს, რამაც შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ატომური ომის ზღვაზე დააყნა. საბოლოოდ ხრუშჩივმა გაიტანა კუბიდან საბჭოთა რაკეტები პრეზ. კენედის დაპირების სანაცვლოდ, რომ შეერთებული შტატები არ დაესმოდა თავს კუბას, განაცხადა აკადემიკოსმა სახაროვმა.

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*

მიმართვა ს. კ. კომპარტიის ცენტ- კომი-  
ტეტის გენ. მდივანს მ. ს. გორბაჩოვს!

გვსურს გაცნობოთ, რომ მიმდინარე წლის მაისში თბილი-სში გამოვიდა ს. კ. კომპარტიის მდივანი ე. ლიგარიმვი და მოითხოვა ქართველ სტუდენტთა პროცენტის შემცირება თბილისის სახ. უნივერსიტეტში. ამის შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორმა, ნოდარ ამალობელმა გამოაცხადა უნივერსიტეტ-ში რუსული სექტორების შექმნა მათემატიკის, ქიმიისა და ფიზიკის ფაკულტეტებზე, ქართულ ჯგუფთა გაუქმების ხარჯზე. მან ეს გააკეთა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსთან მოუთათბირებლად.

ამისა გამო, წელს, ქართულ სექტორზე მისაღებთა კონტი-გენტი ოთხასი კაცით შემცირდება. რუსულ სექტორთა გახსნა კიდევ უფრო გააუზრესებს თბილისის სახ. უნივერსიტეტში ქართული სკოლების კურსდამთავრებულთა ჩარიცხვის შესაძლებლობებს და ეს კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველო-დან ქართველი ახალგაზრდების მიგრაციას. უკვე დღეს უკვე ლი მეოთხე სტუდენტი ქართველი სწავლობს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული დისკრიმინაციის შეწყვეტის მიზნით, ჩვენ მოვითხოვთ, რომ მიმდინარე წელსვი, მისაღები გამოცდების დაწყვბამდე (1 აგვისტო) აღდგენილი იქნას გაუქმებული ქართული სტუდენტური ჯგუფები და თავიდან იქნას აცილებული ამგვარი ფაქტები სხვა უმაღლეს ან საშუალო სკოლებში.

მიმართვა დათარიღებულია: 1987 წ. 7 ივლისით და მას ხელს აწერენ: ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი მ ე ს ხ ე ბ ი ს მ ე მ ი რ ე ლ ი  
თ ვ ა კ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ა დ მ ი ღ ი ღ ი ღ ი ღ ი ღ ი



ძმებო და თანქემამულენო! მოგმართავთ ისტორიული უსა-  
მართლობით თქვენგან მოწყვეტილი მესხები. **37** წლის მანძილ-  
ზე ვეშვევით ბრძოლას სამშობლოში დაბრუნებისათვის, იმ  
მშობლიურ ხალხთან შეერთების მიზნით, რომლისგანაც უკა-  
ნონდ მოგვწყიტეს **1944** წლის **15** ნოემბერს.

არავინ არ უნდა დაიგიშვის, რომ გადასახლების დროს და-  
იღუპა ორმოცი ათასი კაცი (გადასახლებულთა მესამედი), მათ  
შორის, **17** ათასი ბავშვი.

ჩვენი შრომისმოყვარე მიწათმოქმედი ხალხი, რომელსაც  
დღეს სამშობლო არ გააჩნია, უსახლეკარო მომთაბარედაა ქცე-  
ული. ჟელამ მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ ის, ვინც სამშო-  
ბლოს კარგავს, ამით ჟელაფერს კარგავს.

ჩვენი ხალხი, რომელმაც თურქი სულთანებისა და რუსი მე-  
ფების უღელქვეშ ნაწილობრივ დაკარგა ქართული ენა ერო-  
ვნულობა და გვარები, სტკორა პერიოდში, გადასახლების შე-  
დეგად, ჟელაფერ ამას საბოლოოდ კარგავს.

ქართ. ხლომა უნდა იცოდეს მთელი თავისი ტრაგიკული ის-  
ტორია: ისტორიულად მისი ორგანული ნაწილი—მაკმადიანი  
მესხები გადასახლებისას მოატყუეს. ჩვენ გვითხრეს, რომ გა-  
დასახლება დროებითი ამბავია, რაც საგანგებო გარემოებები-  
თაა გამოწვეული, მაგრამ ეს გადასახლება დღემდე გრძელდე-  
ბა. საქართველოში ცხოვრებისა და შრომის უფლება ჟელა  
ერის წარმომადგენლებს აქვთ; სიტყით ამაზე არც ჩვენ გვე-  
უბნებიან უარს, მაგრამ საქმით გზა სამშობლოსაკენ გადაკე-  
ტილი გვაქვს ჩვენ. ჩვენ ცცხოვრობთ უზბეკეთში, ყაზახეთში,  
ყარგიზეთში, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგ-  
რამ ჩვენს მიწაზედ კი არა!

მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ სამშობლოს მოპოვება-  
ში. ჩვენმა შვილებმა მხოლოდ სამშობლოში შეიძლება შეიგ-  
ნონ, რომ მათ ძარღვებში ქართული სისხლი სჩექს, რომ ის-  
ინი უგვარონი და უჯიშონი არ არიან და მათ მიწებზე უხ-  
სოვარ დროიდან ცხოვრობნენ მათი წინაპრები. ისინი თავი-  
ანთ სამშობლო საქართველოს უნდა ემსახურებოდნენ.

თანამედროვე საქართველოსთვის სამარცვინოა, რომ ჩეკეს წინაპართა ხელით ნაგები ოდესღაც აჭავებული ტერომეტრული დღეს გაუკაცრიელებული და დარბეულია. ერთობლივ ლით ჩეკენა თაობამ უნდა მოაშოროს ჩეკეს ისტორიას ეს სამარცვინო ლაქა და ამით აღადგინოს ისტორიული სამართლიანობა.

მიმართვა დათარიღებულია: 1982 წლის 14 თებერვლით, მას ხელს აწერენ: ჰალილ უმაროვ-გაზალიშვილი, ლიუბოვ ჯემალ-აბაშიძე და დურსუნოვ ფატალი-მანიაძე.

(რაღომ „თავისუფლების“ გადაცემიდან)

\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

### კ ა ვ კ ა ს ი ი ს  ს ა უ დ ე ლ ტ ე ხ ი ლ თ  რ კინიგზა

ამ სამთო მაგისტრალის რეალიზაცია უკვე სამი წლის წინ-ად დაწყუბულა და მისი დამთავრების ვადა 15 - 20 წლითაა ნავარიაუდები. მისი სიგრძე სულ 188 კილომეტრია და მისი 120 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე ძევს.

რკინიგზის ამ მაგისტრალის მშენებლობა ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიაზე დაწყუბულა, სადაც გამომქლავნდა, რომ მის შედეგად ძვირფასი ისტორიული ძეგლები დაზიანებულან. ამას გმილულვინებია ქართველები და საინფორმაციო საშუალებებში გაიმართა პოლემიკა მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა შორის. (აღბათ ამას ხელი შეუწია „გარდაქმნის“, საჯარობისა“ და „დემოკრატიზაციის“ პოლიტიკამაცი.)

კრიტიკის პირველი ზალპი შესანიშნავმა პუბლიცისტმა აკაკი ბაქრაძემ გახსნა 20 მარტის „ლიტერატურული საქართველო“-ს ფურცლებიდან. მან თავისი ბასრი კალმით ამხილა რა ის მავნე და დამღუპველი შედეგები, რაც ამ გზის მშენებლობით შესაძლებელია რომ ჩეკენს ქვეყნას მოუგიდეს, განცვითორება გმიოთქვა, რომ ქართული საზოგადოება გაურკვეველ გულგრილობასა და პასიურობას იჩენს ასეთი ეროვნული მნიშვნელობის საქმეში.

ამის შემდეგ კამათში ჩაერთო თითქმის მთელი ნაღები ინტელიგენცია აღაპარაკდა პრესა, რაღომ და ტელეწედვა ხელისუფლების და მშენებლობის ინიციერ-დამპროექტებელთა წარმომადგენლები იჩრმუნებიან, რომ კავკასიონის საუღელტეხილო გზის აშენების საჭიროებას მოითხოვს ჩვენი ქვეჭ-

ის ეკონომიკა, მისი შემდეგი განვითარების პერსპექტივები, მიუვალ მთიან ჩაიონებში ის სიცოცხლესა და ოაზაშედროვე სიკეთეს შეიტანს, ხოლო პროექტებით ისეა გათვალისწინებული, რომ არც ისტორიული ძეგლები და არც გარემო არ დაზიანდეს.

მოწინააღმდეგენი კი ამტკიცებენ პირიქით:

- ა) რკინიგზის მაგისტრალის ახლო-მახლო განალებურდება ან დაზიანდება ისტორიული ძეგლები და არქეოლოგიური არეები.
- ბ) მას შეეწირება ჩვენი სამშობლოს მარჩენალ ბეღლის-მუხრანის ველი და ჩვენი მთიანეთის ბუნებისა და ხალხის უნიკალური თავისებურება.
- გ) გაიჩეხება დიდ სივრცეებზე ტურები, რაც დიდ კლიმატურ ცვლილებებს გამოიწვევს მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.
- დ) მაგისტრალის მშენებლობისას და შემდეგაც რკინიგზის საექსპლოატაციოდ მოყვანილი იქნება უცხო მუშახელი, რაც დამღუპველი იქნება ქართველი ერის მომავლისთვის და სხვა...

ბოლოს და ბოლოს ამ გაბედულმა კრიტიკულმა გმიოსვლებმა და მასიურად ხელმოწერილმა პეტიციებმა ის ნაფოფი მაინც გამოიღეს, რომ ხელისუფლებმა საზოგადოებისაკენ ნაბიჯები გადაღეს: აღიარეს, რომ დაშვებული იყო ზოგიერთი შეცდომები, დროებით შეაჩერეს სამუშაოები, საჭიროდ დაინახეს მაგისტრალის მშენებლობისადმი საზოგადოებრივი, სამეცნიერო და ტექნიკური კონტროლი, საჭიროდ დაინახეს სპეციალური კომისიის დაარსება, მშენებლობის პროექტის ეკოლოგიური, კულტურული და დემოგრაფიული მხარეების შესასწავლად. 22 მაისს საქ. კომპარტიის ც. კ. ბიუროს და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულმა საბჭომ დაადგინა შექმნა „საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოსი“, აკადემიკოს თავხელიძის თავმჯდომარეობით და მისი დანიშნულებაა შეისწავლას საზოგადოების წინადადებები. 29 მაისს კი მოწვეული იყო საქ. კ. პ. ც. კომიტეტის ბიუროსა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდენ: პარტიული, საბჭოთა, პროფესიურული, კომერციული პასუხისმგებელი მუშაკები, სმინისტროებისა და უწყბების ხელმძღვანელები, სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, დამპროექტებელნი.

და მშენებელი. 5 და 12 ივნისს „ლიტერატურულმა ქადაგული თველომ“ მრგვალი მაგიდა გამართა საუღელტეხილო უკუნის შესახებ, რომელზედაც წარმოდგენილმა ცნობილმა არქეოლოგებმა, ისტორიკოსებმა, ეკოლოგებმა, ინჟინერ-დამპროექტებლებმა ურთიერთ საწინააღმდეგო შეხედულებები და მოსაზრებები გამოთქვეს. ერთი სიტყით, დებატები გრძელდება, ხელისუფლებამ უკან დაიხია და საჭიროდ დაინახა საზოგადოებრივი აზრის დამუშავება და მომზადება. უკანასკნელი სიტყა, რა თქმა უნდა კრემლს ეკუთვნის. მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რომ მოწინავე ქართული საზოგადოება ამოძრავდა და აწი მისთვის პირში ლაგამის ამოდება აღვილი აღარ იქნება.

კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა რუსეთის სახელმწიფოსათვის, როგორც ეკონომიკურად, ისე სამხედრო-სტრატეგიულად, დიდმნიშვნელოვანია. საქართველოსათვისაც მას შეეძლო სიკეთის მოტანა, საქართველო რომ სუვერენული სახელმწიფო იყოს და ეს საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალი, რომ სუვერენ სახელმწიფოთა ხელშეკრულობით შენდებოდეს, როგორც მაგალითად ლა მჩშის ზღვის ქვეშა ტუნელი, რომელიც ინგლისს საფრანგეთან და მით მთელ კონტინენტან ხმელეთით დააკავშირებს. სავალალოდ ჩვენდა, ეს ასე არ არის!

ეს მაგისტრალი იმ მიწა-შეყალზე, იმ მთებში გადის სწორედ, სადაც, შემოსევების, ეროვნული ძნელბედობის ყველმომენტში, ქართული სული თავს აფარებდა, ძალას იკრებდა, რომ ისევ ჩისხვად დაშვებულიყო ქარაფებიდან ბარისაკენ. მარტო ვაჟკაცობა არ უშველიდა, ამ მიუვალმა მთებმა გადაარჩინეს ქართველი კაცი. ამ მტისთვის მიუდგომელ თავშესაფარს როცა გაცლიან, არ შეიძლება გული წუხილმა არ აგივსოს.

ეს ჩვენი ეროვნული ბასტიონი უკვე ოციოდე წლის წინად მოარღვიეს, როცა მთიელები ძალით აპყარეს მამა-პაპათა აღგილებიდან და ბარში საცხოვრებლად ჩამოასახლეს.

ახლა მცხოვრებთაგან დაცარიელებულ აღგილებში, რკინიგზა ხელს შეუშეყაბს უცხო ეროვნულ ელემენტთა ჩამოსახლებას. კრემლისათვის ეს ორმაგად სასარგებლოა. ქართველებს ბაი-

კალ-ამურის მაგისტრალზე აგზავნიან სამუშაოდ, რუსებს კი კავკასიონის მაგისტრალის საშენებლადა და საექსპორტო ტრანზიტის ციონ და გამოაგზიავნიან, ამას რად უნდა ლაპარაკი, ესაა საბჭოთა დაუწერელი, მაგრამ დაწერილზე ბევრად უფრო პატივუემული, კანონი. რუსი თუ არარუსი, რა ეთნიურ ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს მუშახელი, ის უნებური აგენტია რუსული ენისა და რუსული კულტურისა.

მშვიდობით მუხრანის ნოფერო ველებო! მშვიდობით ფშავებევსურეთის პოზიცია და ლეგენდების მხარევ! ასე საბედისწეროდ დგას საკითხი.

ახლა, როცა საპატიო ტრანსპორტის ხანა, რომელიც სწრაფად უმჯობესდება და სულ მეტად ჩერტაბელური ხდება, ამ სიმაღლის მოებზე რკინიგზის გაყვანა, ჩვენ დიდ პროგრესულ და მომვებიან საქმეთ არ მიგვაჩინია. ასეთი ზღაპრული კაპიტალდაბანდება, როგორიც საჭიროა კავკასიონის უღელტეხილზე რკინიგზის გასაყვანად, რომ მოხმარებოდა საავტომობილო გზატკეცილების მშენებლობას, ეს იქნებოდა გაცილებით უფრო სასარგებლო და პროგრესულიც, მას თან მოჟვებოდა ეპონომიური აღორძინება, განავითარებდა ტურიზმის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ისევ პირს აქვევინებდა მთისაკენ მთიელს და, რატომაც არა, ზარელსაც.

რუსებმა მეორე მსოფლიო ომით ისარგებლეს და ეთნიურად გაანადგურეს: ჩრდილო კავკასიელი ხალხები, ყრიმის მკვიდრი თათრები, გერმანელები. ჩვენს გრანატურებას ეკონომიური ღონისძიებებით ანხორციელებენ და ამ საქმეში მათ ბევრი ქართველი სიხარულით ხელს უწყობს. უცხო მუშახელით აშენებენ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით გრანდიოზულ პიროვნეულობრივისადგურებს, მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის ფაზრიკა-ქარხნებს და ისედაც ეთნიურად აჭრელებულ ჩვენს ქვეყნას კიდევ უფრო და უფრო აჭრელებენ, რითაც ქვეყნა გვიზნულად მიჰყავთ ლიბანიზაციისაკენ.

ვ ე რ ე ს ი

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*

ფილიპე მახარაძის საფლავის აფეთქების ცნობა

„ფრანს პრესის“ სააგენტომ, რვა ოქტომბერს, მოსკოვიდან გადმოსცა ცნობა, რომ: „ორშაბათს, 5 ოქტომბერს, თბილისში

ააფეთქეს ტართველი ბოლშევიკის, ფილიპე მახარაძის საფლავი". სააგენტოს ეს ცნობა ტელეფონით მიუღია თბილის ქადაგის ან. შვიდში, კორესპონდენტის შეკითხვაზე, თბილისის ქადაგის საბჭოს წარმომადგენერალს უპასუხნია, რომ: „ინციდენტს კი ჰქონდა ადგილი, მაგრამ საფლავი არ აუფეთქებიათო“.

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*            \*\*\*

### გ უ დ ა ვ ე ბ ი ს      მ ა მ ა ც ი      ო ჯ ა ხ ი

წელს 12 ივლისს გუდავთა ოჯახი, საბჭოთა ქვეშევრდომბიდან განთავისუფლებული და ემიგრირებული, მოსკოვიდან ვენაში ჩამოფრინდა ტრანზიტით, რომ მალე ამერიკის შ. შ. გაემგზავროს საცხოვრებლად. ეს შასანიშნავი ოჯახი შედგება: ქმები თენგიზ და ედურადის (პირველი 34 წლისაა, მეორე-32-ს, ორივე ექიმია), დედისა-რაისა უვაროვა-და თენ-გიზის მეუღლე-მარინა ტერზიანისაგან. მარინა ფეხშიმედ გახლდათ, თავისუფალ მიწაზე დადგა თუ არა ფეხი, ბევრი აღარ დაუყოვნებია და ოჯახს ვაჟიშვილი შესძინა, რომელს-აც კაგების მსხვერპლ ბაბუის სახელი-ზურაბი დაარქვეს.

ქმები გუდავების სახელი ჩვენთვის გვიან გახდა ცნობილი, მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ერთი წლის წინად გაასა-მართლეს და მყაცრად დასაჯეს.

მათი დისიდენტური მოღვაწეობა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაწყებულა, ამ ათი წლის წინად. მათი აქტივიზმი შეუმნიერებელი არ დარჩენილა ანდროპოვის უწყბისათვის, მა წინააღმდეგ სისხლის სამართლის ბრძლება შეუკოწიტებიათ, რომლის მიხედვითაც სასამართლოს მათთვის ოთხი და სამი წლის პატიმრობა მიუსჯია.

პატიმრობის მძიმე პირობებს მჰამ მებრძოლი ბუნება ვერ გაუტეხია, განთავისუფლების შემდეგ თბილისში დაბრუნებულებს სხვებთან ერთად, ჰელსინკის ხელშეკრულებათა შესრულების სამეთვალყურეო ქართული ჯგუფი განუახლებიათ, რომელიც ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავასა და ვ. რცხილაძის დაპატიმრების შედეგად უმოქმედოდ ყოფილა. მის პარლაიურად მათ ბრძოლის ახალი, თავისებური და საინტერესო ორგანიზმი—მუსიკალური ანსაბლი ჩამოუყალიბებიათ, „ფანტამის“

სახელწოდებით. ამ ანსამბლის შესახებ თვით ძმებმა გულავი-ბმა შემდეგი განუცხადეს რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის თანამშრომელს:

„საქ. სქიართალდაცვის აქტივისტთა მიერ შექმნილი მუსიკალური ჯგუფი „ფერომი“ საკმაოდ ეფექტური იყო; მასზე ხელისუფალთ უცბად მოახდინეს მკვეთრი რეაქცია და მასაც იგივე ბედი ეწია, რაც საქართველოს „ჰელსინკის“ ჯგუფს. საქმე მხოლოდ იმ სიძულვილში არ მდგომარეობს, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლებში იწვევს ამავე სახელწოდების ამერიკულ თვითმფრინავებთან. ანსამბლის სახელწოდებით წარმოშობილი ასოციაციები.

ანსამბლი დაარსეს სხვადასხვა ეროვნების, ქაყის, სარწმუნოების, მრწამისისა და ბედის მქონე ადამიანებმა, რომლებსაც ურთიანებდათ ერთადერთი რამ: ყველი მათგანი თავის-თავად წარმოადგენდა პრობლემას, რომელთა დანახვა ხელისუფალთ დაუინებით არ სურთ, თითქოს ესენი ხალხსაც კი არ წარმოადგენენ, არამედ არ არსებულ სულებს-ფანტომებს. ესენი იყვნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ემიგრაციაზე უართქმულები, რელიგიური აქტივისტები: კათოლიკები, მართლმადიდებლები, ებრაელები, და სხვა. მათ აერთიანებდა მოქალაქეობრივი სინდისი, თავისი წვლილის შეტანის სურვილი იმ პრობლემათა გადაშეჩერაში, რომლებმაც ისინი ერთად შევჭრა. ისინი ასევე გააერთიანა ერთობლივად აწმენ-ამ იმაში, რომ შესაძლებელია უკეთესობისაკენ რომეს შეცვლა. კონცერტებს ბინებზე ვაწყაბდით ყველი თვის ბოლო კვირას, რელიგიურ და სხვა დღესასწაულებისას, ხოლო უცხოელ სტუმრებისათვის კი-ნებისმიერ დროს.

საკონცერტო პროგრამები მრავალმხრივი იყო: კლასიკური მუსიკა, რელიგიური საგალობლები, თანამედროვე ესტრადული მუსიკა, ხალხური სიმღერები, ლექსები, რომანსები. ვასრულებდით ბახის, ვივალდის, ლენონის, ელინგტონის ნაწარმოებებს. ვვქონდა საცეკვო ნომრებიც და პოეზიის ნაწილიც. მ მოვლენის განსაზღვრა შეიძლებოდა დევიზით: „ხელოვნება ჰუმანიტარულ უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ“.

ჩვენ მიზნად ვისახავდით ამგვარი მოღვაწეობით როგორც საბჭოთა, ასევე დასავლეთის საზოგადოებრიობის ჟურალე-

ბის მიპყრობას საბჭ. კავშირში აღამიანის უფლებების დაცული ვისადმი უპასუხისმგებლო მდგომარეობაზე. ჩვენ ჰალაურული გაცემით, რაც კი შეგვეძლო, რომ ხელოვნების სატუალებით გაგვემტკიცებინა იმათი რიგები, ვინც გულგრილობას არ იჩენდნენ ათასობით საბჭოთა ემიგრაციაზე უართქმულისა და დანაწევრებული ოჯახების წევრთა ბედისა და სინდისის ტუსაღების: სახაროვის, ი. ორლოვის, ა. შარანსკის, მ. კოსტავას, ა. მარჩენკოს, ან. კორიაგინის, ი. ბეგუნის, ირ. რატუშინსკაიასა და ბეგრ სხვთა ტრაგიკული მდგომარეობისადმი..."

1985 წელში თენგიზი დააპატიმრეს და თითქმის ერთი წლის განმავლობაში კაგების საგამომძიებლო იზოლატორში ტანჯავდენ, სანამ გაასამართლებდენ. შვილი რომ ამ მდგომარეობიდან ეხსნა, ქალბატონი რაისა ამერიკის საელჩოში შეიჭრა, მოსკოვში, რის შემდეგ ისიც დააკავეს, ხოლო მათი ბინა პოლიციის მეტ იყო იზოლირებული. სწორედ მაშინ იყო, რომ ედუარდ გუდავები ბალკონზე გააკრა ტრანსპორტი წარწერით: „კაგებე შეწყიტე გუდავების დევნა“. ამ მიზეზით ისიც დააპატიმრეს, გაასამართლეს „ბოროტი ხულიგნობის“ ბრალდებით და მიუსაჯეს ხუთი წლით მკაცრ პირობებში პატიმრობა. თენგიზი ცალკე გაასამართლეს და „ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის“ ბრალდებით შვილი წლით პატიმრობა და სამი წლით გდასახლება მიუსაჯეს.

ამ გაზაფხულზე პოლიტპატიმრები თბილისში დააბრუნეს, სადაც მთ დუწეულს დამუშავება იმ მიზნით, რომ ხელი მოეწერინებით განცხადებაზე: აღარ გააგრძელებენ კანონგარეშე საქმიანობას, რაზედაც გუდავებმა ისევე, როგორც სხვა ქართველმა პოლიტპატიმრებმა მტკიცე უარი განაცხადეს.

კიდევ საშიმშილ გაფიცვა და როგორც იქნა გუდავებიც გაათავისუფლეს პატიმრობიდან. მათ დიდხანს აღარ დააყოვნეს და აღძრეს შუალედგომლობა ემიგრირებისათვის. მათ ხომ დიდი ხნის წინად ჰქონდათ უარი განცხადებული საჭოთა მოქალაქეობაზე. კაგებებმ ამჯერად მათ ხელი აღარ შეუშალა, მაგრამ უკანასკნელ წუთამდე ემიგრირების ნებას არ აძლევდენ თენგიზის მეუღლე მარინას.

როგორც გუდავების ინტერვიუდან იჩვევეა, ზეიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას, სხვებთქ ერთად, განუახლე-

ბიათ უფლებებისათვის ბრძოლა, კერძოდ, ახლა მათ დაუარცების ბიათ „ქართველ პოლიტპატიმართა განთავისუფლების უფლებულებების ტი“, რომლის წარმომადგენლობაც საზღვარგარეთ დაუკავშირდება. ლი ცქონებია თენგიზ და ედუარდ გულავებს.

სამართლდამცველების მომავალ საქმიანობის და საქართველოს პრობლემების შესახებ, ძმებმა გულავებმა შემდეგი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთეს, ზემოდ აღნიშნულ ინტერვიუში:

„ქართველი სამართლდამცველებისთვის, ბუნებრივია, უპირველესი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ერის პრობლემებს, ვინაიდან ვერცერთი პიროვნება ვერ იქნება თავისუფალი, სანამ დამონებულია მთელი ერი. უაღრესად ჩოლოია ეროვნული პრობლემატიკა, თუმცა არის მასშიც ჩბანური ჭეშმარიტებაც. ერის უფლება, იყს თვითმყოფადი და დამოუკიდებელი, ისეთივე პირველადია, როგორც პიროვნების უფლება-იცხოვრის თავისუფლად, ციხის გარეშე. ერთადერთია ერის ნება-სურვილის გამოვლინების მექანიზმიც-დემოკრატიული პროცედურა, ესე იგი რეფერენდუმი, კენჭისჭრა, კამპანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, როცა თანაბარია შესაძლებლობები ამა თუ იმ აჩევნანის პროპაგანდისათვის. გაუთავებლად შეიძლება კამათი იმის თაობაზე: ესაჭიროება თუ არა საქართველოს საბჭ. კავშირიდან გამოსვლა, რაც, სხვათა შორის, კონსტიტუციითაა გარანტირებული. თუმცა, ფაქტიურად არჩება საქართველოს ჩართვა რუსეთის გავლენის სფეროში არ ყოფილი კანონიერი არც მეფე ერეკლე მეორის დროს და არც 1921 წელს, როცა წითელმა არმიამ დაიპყრო სუვერენული სახელმწიფო და დაამხს კანონიერი მთავრობა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, არის ბრძოლა დემოკრატიისათვის, და პირიქით. ამით, ქართველი ნაციონალისტები ძირეულად განსხვავდებიან ბასკებისა თუ ირლანდიელებისგან, რომლებსაც გააჩნიათ ფელა შესაძლებლობა თავიანთი პროგრამების განხორციელებისა დემოკრატიული გზით. პირველ შემთხვევაში, ესაა დემოკრატიისათვის ბრძოლა, ხოლო მეორეში, მის წინააღმდეგ. არ შეიძლება ამის ერთმანეთში არევა დღეს, როცა საბჭოთა კავშირი ხმაჟლა გაპყირის, ფელას გასაგნად, საკუთარი რეჟიმის რომელიდაც



„დემოკრატიზაციის“ შესახებ, რატომღაც არაფერი ისმის მე-ის შესახებ, რომ მოსკოვმა შესცვალა თავისი დამოუწერებულება ქართველი ხალხის უფლებაზე – დემოკრატიული გზით გადაწყიტოს მისთვის ყველაზე არსებითი საკითხი, საქართველოს სუვერენობისა თუ არასუვერენობისა. თუ ლაპარაკია დემოკრატიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირში, – ამ მრავალეროვან სახელმწიფოში, სწორედ ამ საკითხითაა საჭირო დაწყება. საქართველოს ყველა ნაციონალური პრობლემა სწორედ ამ საკითხიდან გამომდინარეობს და ძნელია მისი უგულვებელყოფა. ავილოთ, მაგალითისთვის, რუსიფიკაციის, ან უფრო სწორად, განქართველების პრობლემა. არაა საჭირო იყო დიდი სპეციალისტი, რომ დაინახო, საკუთრივ, თუ როგორ ეცემა წლიდან წლამდე ქართველი მოსახლეობის პროცენტი მშობლიურ მიწაზე, როგორ იჩიფრა სულ უფრო მეტად ქართული ენა მოწინავე მეცნიერებისა და აღმინისტრაციულ მოღვაწეობიდან, როგორ ქრება ქართველებში ქრისტიანული და რაინდული სულისკვეთება, ოფიციალურად წახალისებული კონფორმისტული აღზევების დაწოლის ქვეშ. ბოროტებაა ეს თუ სიკეთე საქართველოსათვის, პასუხი ამას უნდა გასცენ თვით ქართველებმა მხოლოდ დემოკრატიული პროცედურის ვითარებაში, და პირდაპირი პასუხით კითხვაზე: სურთ მათ თუ არა ნათესაობა თავიანთ „დიდ ძმა“ რუსეთთან?

ან კიდევ, ავილოთ ისტორიულ ძეგლების დაცვის პრობლემა მოსკოვისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს სამხედრო ობიექტების მოწყვბას თურქეთისა და ირანის მოსაზღვრე რაიონებში. ხოლო თვით ის ფაქტი, რომ საარტილერიო პოლიგონი დავით გარეჯში, ანდა აეროდრომი კოპიტნარში / ანგრევს ისეთ მიმდებარე უნიკალურ ტაძრებს, როგორიცაა მაგალითად გელათის ტაძარი, მოსკოვისთვის არაა ესოდენ მნიშვნელოვანი, ხოლო ქართველებისათვის, რა უფრო მნიშვნელოვანია მჟავის?

დღეს, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყველაზე მწვავედ დგას ტრანსკავკასიური სარკინიგზო მჯისტრალის მშენებლობის საკითხი. სიმბოლურია, რომ ეს იქნება უმოკლესი სარკინიგზო ხაზი საქართველოდან რუსეთში, თუმცა საკითხი იმაშია: სურს კია ეს საქართველოს? საქარ-

თველოს ფართო საზოგადოებრიობა წინააღმდეგია ამ პროექტისა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეკოლოგიური და ფინანსური, კულტურული, და თვით ეკონომიკური თვალსაზრისით, ამგვარი მშენებლობა არახელსაყრელი და სახიფათოა ქართველი ერისთვის. უკვე გაიგზავნა პეტიციები საბჭოთა მთავრობის სახელზე, რომლის ავტორები მოითხოვენ ჯ მშენებლობის შეწყვეტას. პეტიციებს ხელი მოაწერა ასობით ხალხმა, მათ შორის არიან ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები, მუშები, გლეხები, დისიდენტები.

მშენებლობა გრძელდება. სამუდამოდ ნადგურდება უძველესი ისტორიული ძეგლები, მთელი არქეოლოგიური ზონები. მანინჯდება თვითმყფადი ბუნებრივი გარემო ფშავებესურეთის მთიანი რომნისა, რომლის გავლითაც აგებენ ჩელსებსა და შპალებს. დაგეგმილია ვეებერთელა ტუბების მასივების გაჩეხვა, კავკასიონის მთიანი ქედის ზეავსახიფათო, სეისმოაქტიური მონაკვეთების გამზიშვლება. გეგმა ითვალისწინებს არახული სიგრძის-42 კილომეტრის გვირაბის გაფანას, რაც მრავალ მეცნიერს უგუნურ, ტექნიკურად დაუსაბუთებელ პროექტად მიაჩნია და ადარებენ მას ციმბირის მდინარეების სამხრეთისაკენ შემობრუნების სავალალო გეგმას. გამიზნულია სლავური ეროვნების ბრიგადების დასახლება, რაც ძირეულად შეცვლის აქ რაიონის დემოგრაფიულ სურათს. ვერ მოუნახავთ ამას სხვა სახელს, გარდა ფართომასშტაბიანი აგრძელისა ქართველი ერის წინააღმდეგ. ასეთი აგრძელის ჭეშმარიტ მიზნებს საბჭოთა ხელისუფლები მაინც და მონც არ მალავენ. ის, რომ საქართველო მათ თვალში იდეოლოგიური თვალსაზრისით არასაიმედოა. ეს თვალნათლივ უჩვენა ს. კ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივნის ეგოზ ლიგაჩოვის ვიზიტმა თბილისში, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა. ლიგაჩოვმა გულახდილად განაცხადა, რომ საქართველოს მუშათა კლასი ნაკლებად ინტერნაციონალურია, რომ თბილისის უნივერსიტეტში ძალზე ბევრი ქართველი სწავლობსო და აქვე „დღასობრივი მტრები“ უწოდა მათ, ვინც თავისი სამშბლოს ბედისადმი გულგრილი არ არის. ამას საქართველოს კოლაბორაციონისტ-ხელმძღვანელთა დაუყოვნებელი ჩეკვია მოჰყავა: თბილისის უნივერსიტეტში ქართულ სექტორთა ერთი

ნაწილი გუქმებული იქნა და შეიცვალა რუსულით. „ხაობის მომავალი მტერი“ და „კლასობრივი მტერი“ პარტიულ კრებებზე იყო-  
ნებერნ. საქართველოს უფლებათა ღმერთი საზოგადოებამ  
მოსკოვის გამოხტომა შეაფასა, როგორც „გარდაქმნისა“ და  
„საჯაროობის“ ნიღაბი, მისი მისწრაფება, რომ ჩაც შეიძლე-  
ბა მაგრად იქნეს მოკერილი ჭანჭიკები ეროვნულ საკითხში.  
გამოდის, რომ გარკვეული პროგრესი, რომელიც ხელისუფლე-  
ბმა დაუშვეს ინდივიდუალური უფლებების დარგში, მათ სუ-  
რო აანაზღაურონ რეგრესით ეროვნულ საკითხში. გარდაქ-  
მნის სპექტაკლი კი თამაშდება მოსკოვში და არა თბილისში.  
ეს სპექტაკლი თამაშდება უცხოელებისათვის და არა ქართვე-  
ლებისათვის. ეს არის ტიპიური საბჭოთა ორსახოვანი სტან-  
დარტი: მოსკოვში გარდაქმნა, საქართველოში ანტიგარდაქ-  
მნა; დასავლეთისათვის გორბაჩივი, ხოლო საქართველოსთვის  
კი ლიგაჩივი.“

### გუდავების ოჯახი.

#### ქალბატონებო და ბატონებო!

მამულიშვილურად და დედმამიშვილურად გესალმებით და  
გილოცავთ „კაგების“ კლანებიდან მშვიდობით თავის დალ-  
წევას. ერთი ეტაპი თქვენი მღელვარე ცხოვრებისა დამთა-  
ვრდა, იშვება მეორე და ახალი, ისევ და ისევ თავისუფლე-  
ბისათვის ბრძოლისა. ეს ბრძოლა დროითა და ადგილით არ  
შემოიფარგლება, იგი ყველგან და ყველთვის სწარმოებს და  
უნდა სწარმოებდეს კიდევაც.

თქვენი პირველი დღეები შეერთებულ შტატებში მეტყველე-  
ბენ, რომ თქვენც ასე გაქვთ გამიზნული თქვენი ახალი ცხო-  
ვრება. როგორც თქვენ ბრძანებთ: ადამიანი თავისუფალი  
არ შეიძლება იყოს, თუ მისი სამშობლო დაპყობილია. აქ-  
ედან, ბრძოლაც ამ ორი თავისუფლებისათვის ერთი და იგი-  
ვე ბრძოლაა, რა თქმა უნდა, დაპყობილი ერის შვილისთ-  
ვის. ქართ. ეროვნული ემიგრაციის დედა-აზრიც სწორედ  
ეს გახლდათ და ეს ჩემი დღესაც. ჩვენ სასიამოვნოდ გვ-  
ჩემდა იმის კონსტატაცია, რომ თქვენსა და ჩვენს შორის,  
იქ და აქ, მშობელ ერსა და მის გადმოხვეწილ შვილებს

შორის, ამ ძირითად და საკვანძო საკითხში აზროვნებულ  
ხვავება არ არსებობს. ასეც ვიმედოვნებით მულტიკულტურულ  
მეგობრებო, „აწ ერთად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,  
თავისუფლებას შევწიროთ დღენი“.

თქვენი „გუშაგი“

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ლ ე ჭ ს ე ბ ი

**ნოშრევან გალაშვილი**

**ა მ ი ნ !!**

ვუძღვი:

ჭართველ ებრაელებს, ისრაელში.

განვებას, როგორც თვითონ სურს, ისეთ გზას მოგცემს საგალსა, გავვიშავფერებს სიცოცხლეს, ყოფას, თავგადასავალსა, უბედობას გვწვევს დაწყვლილს, შეგვამთხვევს მწარეს მრავალსა, თუ სურს გზას მოგვცემს გაკაფულს, ბეჭედი ტფადან გამოსავალსა!

\* \* \*

განთიადის დაჰკრა ზარმა, ღამე გაჰკრა ფერნამკრთალი, ბუხარს ჭარმა დაუბერა, კვლავ გაღვივდა ნაკვერჩხალი, ბოროტს ცეცხლი უკიდია, სიბნელეში ალბს ალი, „წმინდა მიწამ“ თვით გადაჰკრა, თავის ბეჭის სამართალი!

შენს წმინდა მიწას ლოცავდი, ჭართული სადღეგრძელოთი, ფრთას შეისხავდა ოცნება, გწამდა, დაძახილს ელოდი, ოცნდი გაიხარებდი შენი მთითა და მდელოთი, სამშობლოს დაიბრუნებდი, ლოდინის გასამრჯელოთი.

„ამოდულდა მარგალიტი, ნაგუბარში ჩადგა წყალი“, კაცი მამულს დაუბრუნდა, წარსულ დროზე განამწყალი; დიდხანს იუ ეს ქვეყანა სისხლგამშრალი, სხივჩამჭრალი, მშვიდობისთვის ისევ სისხლს ღვრის, მშვიდობისთვის გულდამწვარი!

ჭირშიც და ლხინშიც, ყაველთვის, გათბობდა ერთი მიზანი, დილით სარქმელში გწვეოდნენ სხივნი სამშობლოს მზისანი, ორი ათას წელს იუვი ჭართველთა ქვექნის ხიზანი,



ქართულ მიწაში ახარე ფესვნი სიცოცხლის ხისანი!

კამი დადგა სიხარულის, ერი აღსდგა ძეველთა ძველი,  
მომავალის ჩრდენით ხარობს, დასდგომია თავს ნათელი,  
მიწა-წყლი დაიბრუნა განათელი, განა მთელი!  
გული დარდებს შეაბრძოლა, იმედებით განამთელი.

მანდ თქვენს მიწაზე შუქს აქმევს სიბრძნე ხელმიუწვდენელი, შოთას გენიას ძეგლს უდგამს ერი თაყვანის მცემელი. შოთას სულ სლოცავს ქართველი, ვეფხვის ტყვევაუცველელი, მისი მესხეთი, სამშობლო, მითოვის ხმალ ჩაუგებელი!

ჩვენი ჯვარის მონასტერში მოვესწრები მუხლის მოყას? სამშობლოზე ლოცვასა და მწარე დარღის ამონხერას, დიდი შოთას ფრესკის ნახვას, თაყაპსა და თავის მოხას? მუსულმანს რომ გადაურჩა, ბარბაროსულ ხანჯლით მოთხრას!

„არ დავიშუბა მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა!“  
გადავაწვდენდეთ ერთმანეთს სალამსა თავაზიანსა,  
კვლავ მეგობრობას ვუსურვებ ორ ერს ჭირვარამ ზიარსა,  
გამჩენის მაღლი, შალომი, მაგ თქვენს ქვეყნას მზიანსა!

\*\*\*

የርጊዣኩል, የገንዘብ ደንብ በግንዘብ ደንብ ደንብ ደንብ ደንብ ደንብ

გსურს დახატეა მასწავლებლის სახისა? ლმერთსა სთხოვე ფუნჯი ფიროსმანისა, სახე ნახე ღვთისმშობელის ხატისა, სიბრძნე იგრძნე „ვეზნის ტყაოსანისა“, შეიხედე ქაშვეთში ონ სიონში, წმინდანების კარგად ნახე სახატე, საიდუმლოს თუ ფარდა ვერ ახალე, ანგელოზი, ქდა დედა დახატე!

გაკვეთილს ხსნი შთამბეჭდავი კილოთი,  
გულუბრყფილოდ გისმენენ „მალხაზები“,  
დათასთანა ღვეხარ სველი ტილოთი,



ცარცით ზუსტად გიატარე ხაზები;  
ასოები, ვით მარცვლები ხნულებში,  
ხაზებს შორის ჩაამწყრივე მძივებად,  
„პატარების“ სულ პატარა გულებში  
დედაენის თესლის გასაღვივებლად!

დედა, მკერდზე-ბავშვით, მხარზე-სურათი,  
ღვთისმშობელის ხატის დასადარები,  
დედაენით ხელში-შვილის სურათი,  
თბილი უბით მუდამ თანსატარები.  
შვილისათვის დედაენის სწავლება,  
დედას სურას წყალივითა სწყრია,  
მას არა ღლის შვილისათვის წვლება,  
ეს წვლება მისთვის სიხარულია.  
დედა, თავის პირმშოს, საფერებელსა,  
ჯერ პატარას, ფრთხილად სატარებელსა,  
ჩააბარებს აღმზრდელ-მასწავლებელსა,  
ადამიანს, ღმერთის სადარებელსა.  
ბავშვის სული „გაზაფხულის ბალია,  
თესლი ღვივის ლენცოფის და ვარდისა,  
მასწავლებლის ხელით დასადალია,  
ამ ბალჩაში საწყასები ავისა:  
ავის მოთხრა, დატოვება საღისა,  
წყალის დასხმა მორწყვა მოსარწყვისა,  
ბოროტების-დაწვა-დასაწვავისა,  
დროზე გასხვლა-ნერგის გასასხლავისა!“

\*

აკონტროლებ პირველ კლასის რვეულებს,  
მაგიდაზე გაქვს წითელი მელანი,  
თან იხსენებ ბიჭებს „გადარეულებს“,  
თითქოს თვალწინ გიღგანან სუჟექტი;  
თითქოს გესმის იმათი სიმღერები,  
გელიმება, ფიქრებით ეფერები  
მოჩუბარებს, აყალ-მაყალს ჩვეულებს,  
კამფეტისთვის ჯიბეშემოხეულებს!

მ ე დ ა ჩ ე მ ი ი ნ გ ლ ი ს უ რ ი



მუნჯი მუნჯთან საუბრობს  
ხალისით ხან წყნითა,  
რთული მანერებითა,  
ძნელად დასადგენითა.

სათქმელს გულში იბრუნებს  
მწარედ, გულის ტკენითა,  
რაც სურს გააგებინებს  
წვალებით და თმენითა.  
ძალლი ძალლს აგებინებს  
თვის სურვილს ღრენითა,  
ყუფით, კუდის ქნევითა,  
წინ და უკან რბენითა.  
ნეფე თავის პატარდალს—  
პროჭრნითა და პწკენითა,  
მუჯლუგუნით, ალერსით,  
გრძნობის ალმაფრენითა.

აქ ერთმანეთს სტანჯავენ  
ინგლისური ენითა,  
ჟესტიკულაციითა,  
ხვერდითა და ქშენითა;  
შვილს დედისა არ ესმის,  
თავის დედაენითა,  
მოსაკვნეტი ენითა,  
საბლით დასაბმელითა.  
დამაკნინა ამ ენამ,  
სიტყვების დაბგერვითა,  
ლოცვის გამობუშტვით,  
დაძაბული სმენითა.  
ერთს ვფიქრობ, მეორეს ვწერ,  
მესამე იკითხება,

სადღეგრძელოს ვიძახი,  
შეიწყლოს ვლინდება,  
საბუდარში იხვს ჩაგვამ,  
კვარა ამოფრინდება.

ჩემი ენგლიშმანური  
ცოდვის საწინდარია,  
გაქცეულს ვერ ვაჩერებ  
თუ ის ანაჩეარია,  
გაჩერებულს გავაქცევ,  
გაჰჭეს ქარიშხალია!..

სად არის სიტყვა ქართული,  
ხმალივით ამობრწყნდება!  
„როგორც მოიქნევ, ისე სკრის“,  
მიჰყები არა გწყნდება.  
რასაც წერ, იმას ჰკითხულობ,  
იგივე გამოვლინდება,  
მთის წყაროსავით ჩუხჩუხა,  
კლდეს ზედ რომ გადმოსდინდება.  
ჩვენი სამშობლოს წარსული  
ნაწერი მღელვარებითა,  
შუბლზე ოფლჩამოდინებით,  
მდუღარე ცრემლით, მწველითა,  
ჩვენი ქართული ანბანით,  
სისხლით და ხანჯლის წვერითა.  
ანბანის მძივებს დაჰჭურებ,  
ვერ ძღები მათი ცქერითა,  
ბგერებს მოისმენ საამოს,  
ტონებით მშვენიერითა,  
გული ქართულს რომ „ყურს მო-  
ჰკრავს“,  
მკერდს გამოხეთქავს ძგერითა!

შეცდომების გასწორება. ნ. გალაშვილის ლექსში „სადლეგრ-ძელო ქართული“ (იხ. „გუშაგი“ № 12) სულ ბოლო სტრიქონი, ფა-ბეჭდილია: „საქართველო ქართული“, უნდა იყოს: „სადღეგოძელო ქართული“. ამავე ლექსის მე-6-ე სტრიქონში იკითხება: „ერთ-უთს“, რასაკვირველია, რომ უნდა იყოს: „ერთურთს“.

\* \* \* \* \*

### გივი შაორელი

თ ა ვ კ ი დ უ რ წ ჭ ა ბ ი ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი

I

დ ა ღ ა დ ი ს ი

სადაც მშვა დედამ, ნეტარმა, სადაც დამირწეს აკვანი,  
აქაა ჩემი საუფლო და მას უნდა ვცე თაყვანი.  
ქართლის გულმკერდზე ღალანებს ჩემი სიცოცხლის ჭავილი,  
აქ მარტბობს ფრინველთ გალობა და ხარირემის ბლავილი,  
რთველი აქ საქართველო-ა ვენახი ჭურძნის დედული,  
თეთრონ აბაშივით მოგელავს მდინარე მოდიდებული,  
ველიც ხომ საქართველო-ა, გულჭრელი, მოცინარეო,  
ედემის შესაძარია ჩემი სამშობლო მხარეო,  
ლაჟვად ცას მარად ამშვენებს მზე, ვარსკვლავები, მთვარეო,  
ოპ, ღმერთო, შენ ის მიცოცხლე! მე კი შენ მიმიბარეო.

II

მ შ ო ბ ლ ი უ რ ი მ ხ ა რ ე

გაიელვა, და სადღაც მძიმედ გავარდა მეხი,  
ისლორის გაღმა ტჯემ პირბადე ჩამოიფარა,  
ვარდის რტოებმა შეისრუტეს ღრუბლის ნაშნეხი,  
იგრძნეს სიამე ... მათთვის თითქოს გამოიდარა.

შეიფრთხიალეს ჩიტუნებმა, გაშალეს ფრთები,  
ალვის ხეებზე იწყუს ძებნა მჭუდრო საფარის,  
ორლობეს შეჰქა დაგეშილი ძალი ფეთებით,  
როგორც მწევარი მონადირე ანდუყაფარის.  
ეწერის მთიღან დორბლიანი ჩამორბის ღვარი,  
ლემანეულის ფერდობებზე გარბის აფთარი  
ისე, თითქოსდა სადღაც მზად აქვს უკვი სამხარი.



კოდიგვერდთან კი ობოლივით ტირის პარტახი,  
ონავარ ფავებს ქორწილი აქვთ საელიოზე,  
ბუბუნებს ზეცა, მოსწყვეტია პირზე არტახი  
ამოვარდნილი ქარი შხალით დღეს ალიონზე.

ხვალ კი, ო, ხვალ კი, მწამს უთუოდ გამოიდარებს,  
ისევ ინათებს კავკასიიდან მზე სხივ-ელვარე...  
ძოწეულს როცა მთა და ბარი გადმოიფარებს,  
ეგების მაშინ დამიწჭარდეს გული მღელვარე.

გივი შაორელი  
ოქტომბერი 87,  
ვაშინგტონი.

\*     \*\*\*     \*\*\*     \*\*\*     \*\*\*     \*\*\*     \*\*\*     \*

### გიორგი ტოგონიძე

მ ტ კ ვ ა რ ი

ხომ კარგად გახსოვს ძველი პართია;  
ძველი რომი, და გზა ცეზარების,  
რამდენჯერ მტერმა რისხვით გარბია:  
ცეცხლის და ისრის მძიმე ჯარებით.

ხომ კარგად გახსოვს ჭირთვალა სპარსი,  
სისხლის წვიმები, კუბო და ძაძა,  
თურქის, მონგოლის რბევა ათასი  
ვაების ცრემლი, ხანძრების ანდა!..

სული ლქდების ცაზე გეჭირა,  
არც მზემ, არც მთვარემ შენ არ გახარა,  
მთების ხევებში თუ ზღვის ნაშირად  
სისხლის და ცრემლის კერძით გატარა!

ითენთებოდა მკლავი და ჯანი,  
ქვეჭის ბარაქა დახვავებული,  
სულის მშვენება, მისი მაღანი,  
ვაზი მზის თვალით გამორჩეული.

ილეჭებოდა ციხე-კოშკები,



სუნთქვა ეჭვოდათ საწნახლის მღვმურებს,  
გრძნეული ზეცის სამკაულები  
ჰვავდენ ვაებით ფერგალასულებს.

ისე, მარხავდენ გრძნეულ იმედებს,  
რომ დედის ცრემლი მათ ვერ ხვდებოდა,  
რომ შურის ღრუბლით მთლად დაბურულებს  
მლიმარ მზის კერძიც აღარ რჩებოდათ.

ပა დაუბნელეს დღეს შენს საფიცარს,  
ცრემლი კურცხალი თვალებს ადინეს,  
თბილისს, მარაბდას, გმირულ ასპინძას  
ცეცხლის და სისხლის წყვა ასხურეს.

დღეს ვეღარ მოვა შენთან ოცნებით  
და, სიჭვარულით ბარათაშვილი,  
რადგან შერისხეს შენი ფონები  
რკინის და თუჯის მძიმე საბელით.

და, რომც მოვიდეს, გთხოვოს ნუგეში,  
ისუნთქოს შენი სითბო და ნესტი,  
მას ტყიას ესვრის ღამის მორევში  
ჩასაფრებული იქვე ჩეკისტი.

აღრეს, წაბილწეს შენი ნაპირი,  
შენი ცხოვრების კიდე და განი,  
ცრემლშია მამა და დედაც ტირის,  
ცრემლშია ქართლის სამკვიდრო ჯანიც.

\* \* \*

### ფ შ ა გ ი ს მ წ უ ხ რ ი

თორლვაიმ სული განაბა,  
მთების გრძნეულმა ვაჟამა,  
დახვრიტეს შენი მინდია,  
აქციეს ლეშად და გვამალ;  
იმ მთამ ვაებით იგლოვა  
და წყაროებთან იღამა.

მტრობით მოსულმა შემუსრა  
სამშობლო მხარის მთა-ბარი,  
არვინ დაინდო, შეზარა  
მისი ცხოვრების საფარი,  
სისხლი ადინა მის მიწას  
ტანჯვა-ვაების საზარით.

დასწვა, დაშანთა, ახანძრა  
მისი რჯული და ანბანი,  
შვენება დიდი თამარის

და შოთას ზეცის მაღანი,  
გაეკრა კარდუს ალექად  
სულით ჯოჯო და ულრანი.

„არწივი ვნახე დაჭრილი,  
ყავ-ყურნებს ეომებოდა,  
ეწადა ბეჩავს ადგომა,  
მაგრამ ველარა დგებოდა...  
„ვაჰ, დედას თქვენსა, ყვებო,  
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა...“

გორგი ტოვონიძე  
სოშო-მონბელიარი 1935.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ა გ ვ ი ს ტ ო ს შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ს

ცხონება და სათნოება,  
თაჯვანება, სასოება  
გმირობაში მოიპოვეს  
მთელი სამშობლოს ვედრება.  
მაისობა, აგვისტობა,  
სიხარული და წამება,  
იყს ღმერთის კურთხეული,  
ვითა ღვთიური სამება.  
მაისობა, აგვისტობა  
იყს ზეცით კურთხეული,  
თქმა არ უნდა, გაიხარებს  
ჟელა ქართველისა გული.

იიხე მუდამ შიგნით ტყდება,  
გარედან კი-მაღაზია.  
როგორც ქართველი ქალები  
სხვებზე უფრო ლამაზია,  
მამაკაცებს ჟელა იცნობს,  
რომ ბრძოლაში განთქმულია.  
მათ ვმაღლობდეთ, შეგვარჩინეს  
დედა-ენა და რჯულია.  
ახლო ხანში დაგვჭირდება  
ერთობა და ვაჟეკაცობა,  
რომ ისევე მოვიპოვოთ  
დაკარგული მაისობა.

იონა გუნია  
ბანიო, აგვისტო 1987 წელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### „ვ ი ნ ა რ ი ს დ ა მ ნ ა შ ა ვ ე“

ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ვიყვი, როდესაც პირველად  
გავიგონე პიესის „ვინ არის დამნაშავე?“-ს შესახებ, მაგრამ  
ის არც წაკითხული და არც ნახული არ მქონდა. აგრეთვე  
გაგონილი მქონდა რომ ადრე არსებობდა მუნჯი ქართული

კინო-ფილმი ამავე სახელით. აგრეთვე ვიცოდი, რომ არსებობდა ასტრონომის მიერ დაწერილი პიესა „ვინ არის დამნაშავე“ და მეგონა ერთი და იგივე პიესა. „ვინ არის დამნაშავე“, რომლის შესახებაც მე მინდა ვილაპარაკო, არის ნინო ნაკაშიძის მიერ დაწერილი ქართული პიესა, რომელიც ფოთის რკინიგზის მოსამსახურეთა ქლუბში გაგვაცნო ღრამატიული წრის ხელმძღვანელმა, ფოთის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთმა წამყანმა მსახიობმა სანდრო ფიჩაიამ. (როგორც გავიგე, იგი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა.)

დელი თაობის ქართველებისთვის, აქ უცხოეთში და საქართველოში, ცნობილია ნ. ნაკაშიძის ეს პიესა. თანამედროვეთათვის კი, განსაკუთრებით უცხოეთში, ნაკლებადაა ცნობილი თუ როდის დაიწერა ეს პიესა და არა ეხება ის.

გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ერთ სტატიაში გაკვრითაა ხსენებული, მა საუკუნის დასაწყისში ამ-ერიკაში ქართველი ცხენოსნების ყოფნა, მაგრამ არაფერია ნათქვამი, რომ ნ. ნაკაშიძემ სწორედ ამ ცხენოსნების თავგადა-სავალზე დააფუძნა მისი პიესა და რომ ამ პიესის საფუძველზე იქნა გადაღებული კინო-ფილმი „ვინ არის დამნაშავე“, რომელიც დადგა რეჟისორ ჭუჭუნავამ, ნატა ვაჩნაძის მონაწილეობით. (სამწუხაროდ ამ ფილმის სხვა მონაწილეები მე არ ვიცი.) ზოგელ შემთხვევაში, ჩემს მახსოვრობაში ჩაიბეჭდა არა მხოლოდ პიესა, არამედ ის ამბავიც, რომ ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში ჩამოსულან ქართველები ამერიკაში.

გავიდა წლები. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ომის წლები ვინ სად და ვინ სად გაატარა, ვინ სად და ვინ სად შესწირა თავი „სამამულო ომს“. დამთავრდა ომი. უცხოეთში დარჩენილებმა ვიწყოთ საკუთარ თავთან ან სხვებთან ბჭობა: სად და რომელ ქვეყნაში გვეპოვნა თავშესაფარი, არგენტინაში, აგსტრალიაში, ბრაზილიაში, აშერიკაში თუ საღ? ცოტა ფიქტობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, რაღვანაც ნათელი იყო, იქ რა მოგველოდა.

მე ბედმა, ბევრ სხვასთან ერთად, მერიკაში ჩამომიყვანა. ახლად ჩამოსულებმა დავიწყოთ ჩვენთვის უცხო აქაური ენის შესწავლა, სმუშაოს ძიება და ქვეჭის გაცნობა; ზოგი სად დასახლდა და ზოგიც სად. დავიწყოთ მოგზაურობა, გავიცანით

ამერიკელები და აღრე ჩვენთვის უცნობი თქვემამულენი, როგორც ცნობილია, ამერიკაში მცირეა ქართველთა ზრდაშემცირები და ზოგელთვის სასიამოვნო და აღსანიშნავ ვითარებას. უსახლო აღენდა ერთი ქართველის მიერ მეორის გაცნობა, რაც ხშირად წარსულის მოგონებებითა და ლხინით მთავრდებოდა.

ზოგჯერ შეხვედრა ერთი მხრიდან იყო ამპარტავნული და ქედ-მაღლური, მეორედან კი თავმდაბალი; ერთი იყო ქართველის გაცნობით გახარებული, მეორე კი—შეწუხებული: ვაი თუ პირველმა რამე მთხოვოს, ან საშუალება არ ჰქონდა ახლად ნაპოვნი თანამემამულისთვის პატივი ეცა.

ახლად გაცნობილებისაგან ვგებულობდით და ვჯებინებდით: ვინ გადურჩა ომს, ვინ სად ცხოვრობს, სად შეიძლება სამუშაოს პოვნა და ბევრ სხვა მოგონილ თუ ნამდვილ ამბავს, ტრაბახს, სხვების ქებას ან შეძრახვას, შურიანობასა და ქიშპობას. ჭველაფერ ამაში ბევრი სიმართლეცა და სიცრუეც იყო. ზოგი ისეთი სილამაზითა და საინტერესოდ ჭვებოდა, რომ ვფიქრობდით: ნეტავ ამ კაცს თუ გააჩნია წერის უნარი, მიმზიდველი მოთხრობები რომ დასწეროს. სწორედ ასეთ შეხვედრების დროს გავიგე, რომ აღრე ამერიკაში ჩამოსული ქართველი ცხენოსნები კოლორადოს შტატში მოკალათდნენ, რაღანაც ამ შტატის ბუნება, მუდამ თოვლით დაფარული მწვერვალებითა და მწვანე ტუებით, მათ საქართველოს მოაგონებდა.

ერთ მგზავრობისას გავიცანი ხანდაზმული ამერიკელი. გაიგო რა, რომ ვარ ქართველი, ჩვენი საუბარი გადავიდა მის მიერ მრავალჯერ ნახულ ბაფალო ბილის სანახ აობაზე. ბაფალო ბილი იყო ზეღმეტი სახელი ვილიამ ფრედრიკ კოდის, თავის დროზე უაღრესად საინტერესო ანტრეპრენიორის, რომელმაც გასული საუკუნის 90-ან წლების დასაწყისში ჩამოაყალიბა ე. წ. „ვაილდ ვესტ შოუ“, რაც ნიშნავს „ველური დასავლეთის წარმოდგენას“. ეს იყო საცირკო წარმოდგენა ამერიკის წარსულისა—ბრძოლა ინდიელებსა და ახლად დასახლებულ თეთრკანიანებს შორის, ცხენოსანი კაებოების ოსტატობა: გარეული საქონლის, გარეული ცხენების შეპყრობა და მოთოკვა, მათი გახედნა და თოფითა და რევოლვერით მიზანში სროლა. ეს წარმოდგენები დიდი წარმატებით სარგებლობდა ამერიკაში და ის დღემდე დარჩა „როდეოს“ სახელით.

ამერიკაში მოპოვებული წარმატების შედეგად, ბათარო ბილ-მა გადაწყიტა ამ სანახაობის ეკროპაში ჩევნება, სადაც მან დიდი მოწონება დაიმსახურა. პირადად ბაფალო ბილი მიღებული იქნა როგორც საპატივცემულო ამერიკელი სტუმარი და დაჯილდოვებული საპატიო ორდენებით ეგროპის ჩესპუბლიკურ ხელისუფალთა თუ მეფეთა მიერ. როგორც ჩანს, ეს სანახაობა იხილა რუსეთის დიდმა თავადმა და-თუმც მე ვერ ვიპოვე ამის შესახებ ჩანაწერი-ბაფალო ბილი რუსეთში მიიპარიჟა და გააცნო ცხენოსნობაში ქართველთა დახელოვნება. აგრეთვე არ არის ცნობილი, თვით ბაფალო ბილი ჩავიდა საქართველოში, თუ ვინმე სხვა გაგზავნა იქ ცხენოსნების შესარჩევად. საქართველოში შეკრიბეს რამდენიმე მოხალისე, რომლებიც ჩამოიყანეს ამერიკაშ და „ძაგლასიელი კოზაკების“ სახელით ისინი გახდნენ „ველური დასავლეთის წარმოდგენების“ მონაწილენი.

თანამოსაუბრიდან გავიგე, რომ ქართველი ცხენოსნები გასტროლების შუალედებში ბინავდებოდნენ ქალაქ დენვერის ერთ სასტუმროში, რომლის სახელი „პალას“-ით ბოლოვდებოდა.

გაიარა რამდენიმე წელმა და ერთი მოგზაურობის დროს დენვერის აეროდრომზე უნდა გმირმეცვალა თვითმფრინავი, რომლისთვის სამი საათი უნდა მელოდა. გადავწყიტე, ეს დრო გამომეუნებია იმ სასტუმროს მოსანახად, სადაც თითქოს კედლებზე ეკიდა ქართველ ცხენოსანთა ფოტო-სურათები. გავიგე, რომ არსებობს ჭალაზე ძგელი და დღესაც ლუქსის სასტუმრო: „ბრაუნ პალასი“. ვიფიქრე: შეუძლებელია ცხენოსნებს რომ ლუქსის სასტუმროში ეცხოვრათ. მაინც გადავწყიტე იქ მისვლა. ჩემს შეკითხვებს ვერავინ გასცა დამაკმაყფილებელი პასუხი, მაგრამ გავიგე, რომ სასტუმროს ჰყავს საკუთარი ისტორიკოსი, რომელსაც ეცოდინებოდა მისი წარსულის შესახებ. კვირადღე იყო და ისტორიკოსიც ისვენებდა, მე კი მეორე დღემდე დარჩენა არ შემეძლო.

გავიდა კიდევ ორი წელი, როცა მხატვარმა მეგობარმა ქ. დენვერში დამპატიუა, დასავლეთ ამერიკის მხატვართა ნამუშევრების საგანგებო გამოფენის გახსნაზე. გამოფენა მოეწყო სწორედ „ბრაუნ პალასში“ და მეც სწორედ იქ დავბინავდი. გავიცანი სასტუმროს ისტორიკოსი, ხანდაზმული მანდილოსანი გვარად ჰანტი. ქ-ნ ჰანტისაგან მიღებული ინფორმაციებისა

და რამდენიმე ისტორიულ დაწესებულებაში სტუმრობის შემცირებულება ეგ, გავემართო დენვერიდან ოცდათ მილზე მთებში მდგრადი დაბა გოლდენისაკენ, რომელთანაც ახლოსაა ბაფალო ბილის მუზეუმი და მისი საფლავი.

მუზეუმის კურატორია ისტორიის პროფესორი ზამინსკი, რომელსაც არც გაეგონა და არც რამე იცოდა ქართველ ცხენოსნების შესახებ. ისიც დაინტერესდა ამ საკითხით. მისთვის ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ბაფალო ბილის ცირკ-ჭარმოდგენაში მონაწილეობდნენ რუსი „კოზაკები“. ვთხოვე ეჩვენებია ჩემთვის ამ რუს კაზაკებზე ჩანაწერები. გამოიტანა ქალალდების დასტა, ცხენოსანთა გვარების ჩავლით. გადავხედე სიას და მათში ვერ აღმოვაჩინე ერთი რუსული გვარიც კი. სია ეკუთვნოდა ათას ცხრაას ორ წელს არსებულ, ამერიკაში ჩამოსულ ქართველ ცხენოსნებს: დავით ქაჯაია, ივანე გურგენიძე, ნიკოლოზ ანთაძე, უშანგი კვიტაშვილი, პორფილე ქანთარია, ივანე ბარამიძე, ბავლე მახარაძე, ხარიტონ კუმნია, ალექსანდრე მურმანიძე და სიმონ ორავგელიძე. 1910.11 წლების სიაში არიან: ხარიტონ კუმნია, სერგო გიორგარდგალაძე, ვასო წულაძე, ნიფოტო ებრალიძე, ნოე წილოსანი, ონოფრე წულაძე, ესაუ ურუშაძე, ალექსანდრე მურმანიძე და დავით დუნი. ჩემის აზრით, ეს უკანასკნელი არის ქართველებთან დამეგობრებული უცხოელი ან ქართველი, რომელმაც ძნელად გამოსათქმელი გვარი გადაკეთა.

ბოლოს და ბოლოს დაგაკმაყოფილე ჩემი ცნობისმოყვარეობა, ნახევრად ნასიმოგნებმა და ნახევრად გულდაწეჭეტილმა. გულდაწეჭეტილმა იმით, რომ ქართველები ვართ რუსებთან გაიგივებული ისტორიის პროფესორისთვისაც კი და საქართველო და ქართველები ნაკლებად არიან ცნობილი თავისთავად...

ქვეყნა და ერთ რამდენიმე ათეულ საუკუნოვანი ისტორიით.

ამიტომ ჭელა ქართველის: სწავლულის თუ ნაკლებად განსწავლულის, ექიმის, ვექილის, სპორტმენისა და სხვების, ცხოვრობენ ისინი საქართველოში თუ უცხოეთში, ვალდებულებად უნდა იქცეს შესაძლებლობის მიხედვით გააცნონ საქართველო იმ ქვექის მოსახლეობას, სადაც ისინი ცხოვრობენ ან მოგზაურობან. ამას აგრეთვე ხელი უნდა შეუწყონ ქართულად და საქართველოზე მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეებმა ადგილო-

ბრივად და უცხოეთში.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს საკითხით შედისწყლისუბა  
ბულმა მსოფლიოში განთქმული უურნალის „ნაშონალ ჯეოგრა-  
ფიკის“ რედაქციამ რამდენჯერმე მიმართა წერილობით საქარ-  
თველოს ხელისუფლებას, იმ დროს ცეკას პირველი მდივნის  
ედ. შევარდნაძის ჩათვლით, რომ უურნალის კორესპონდენტი-  
სა და ფოტოგრაფიისთვის მიეცათ ვიზა, რათა შეძლებოდათ  
საქართველოს შესახებ სტატიის გამოქვეყნება. უურნალის მილი-  
ონობით მკითხველი წაიკითხავდა სტატიას ისტორიულ და თა-  
ნამედროვე საქართველოზე, მაგრამ უურნალ „ნაშონალ ჯეო-  
გრაფიკის“ რედაქცია დღემდე უცდის დადებით თუ უარყოფით  
პასუხს. იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირის „საჯაროობი-  
სა“ და „გარდაქმნის“ ახალი პოლიტიკის სულისკვეთებით, უურ-  
ნალი ახლო მომავალში მაინც მიიღებს დამაკმაყოფილებელ  
პასუხს.

ახირებული ხალხი ვართ ქართველები!? მაგრამ, ბევრი რამ  
გვაქვს საამაყო წარსულში და ამჟამადაც.

#### ლადო ბაბიშვილი

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*            \*\*\*

#### ქართველები ფრანგულ ჯარში

**1928** წელს საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს დადგენილე-  
ბით, საფრანგეთში მცხოვრები უცხოელი ლტოლვილები, რომლე-  
ბიც ჯარში გასაწვევ ასაკში იმყოფებოდნენ, ვალდებული იჟ  
ვნენ მოეხადათ სამხედრო სამსახური.

პოლონეთშე გერმანიის თავდასხმის გამო, **1939** წლის სექ-  
ტემბერში ინგლისმა და საფრანგეთმა რომ ომი გამოუცხადეს  
გერმანიის, ბევრი ქართველი გაიწვიეს ფრანგულ ჯარში. თავ-  
დაპირველად ქართველი ჯარისკაცები მსახრობდნენ სხვადასხვა  
სამხედრო ნაწილებში, მაგრამ **1940** წლის მარტში, მთავარსა-  
რდლობის ბრძანებით უნდა შექმნილიყო სამხედრო ნაწილი,  
რომელიც მხოლოდ ქართველებისაგან იქნებოდა შედგენილი.  
მას უწოდეს: „**UNITE GEORGIENNE**“ და მის ჩამოსაყალიბებლად  
არჩეული იქნა სამხრეთ საფრანგეთის პატარა ქალაქი ბარკარე-  
სი. ასეულის უფროსად დაინიშნა კაპიტანი გორგი ოდიშელი-



ეს, რომელიც მანამდე უცხოელთა ლეგიონში მსახურობდა და მას ჩამოყანებ: კ. ამილახვარი, ლ. კერესელიძე, ა. ვალტონიშვილი (ჩიქოვანი). ნაწილი თანდათანობით იზრდებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ქართველები არ ყოფნიდათ, ასეულის შესავ-სებად მასში შეიჭანეს ფრანგები და ესპანელი ლტოლვილები. მას შემდეგ, რაც საფრანგეთი მმში დამარცხდა, საფრანგეთის ტერიტორია გაფეს ირად: ერთი გერმანიის ჯარების მიერ დაკავებული და მეორე საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი, რომელიც ითვლებოდა თავისუფალ ზონად. ამ დღიდან ქართველთა ასეულში შეომრები, რომელიც ლეგიონიდან იყვნენ, გიორგი ოდიშელიძესთან ერთად ისევ აფრიკაში დაბრუნდნენ, ხოლო „ქართული ერთეულის“ დანარჩენი ნაწილი იმყოფებოდა ქალაქ მონტობანში იმის მოლოდინში, რომ მათ ფრანგ მეომრებთან ერთად გაანთავისუფლებდნენ სამხედრო სამსახურიდან.

„უნიტე უეორუიენის“ ჯარისკაცთა სია: ალანია ალექსანდრე, ამირეჯიბი კაკუნა, ბერიძე გოგი, ბერეჟიანი შოთა, სხირტლაძე დიმიტრი, პეტრაშვილი ფილიპე, ტარასაშვილი ალექსანდრე, საბახტარიშვილი ვასო, ზუბალაშვილი ვასილი, დარაშვილი ვასო, ზედგინიძე ილო, გრიგოლაშვილი გიორგი, მამულაიშვილი იასონი, ჯაფარიძე ირაკლი, კაკიტელაშვილი შალვა, აბაშიძე ზურაბი, ზარიძე ვანო, მარტინოსიანი რუბენი, სიხაცხი ვალოდია, ჯანაევი გრიშა, კალანდარაშვილი ირაკლი, ერისთავი ბიძინა, მაყაშვილი ელიზაბარი, მაყაშვილი დათა, ელიაგა ბონდო, გელაშვილი შიო, ციციშვილი დათა, მახარაშვილი დიმიტრი, ზედგინიძე ირაკლი, მიროტაძე ევგენი, კერეფოვი თაურეანი, ახალგვარი სანდრო, გიოშვილი გიორგი, ჯაყლი კოტე, უხრუგუნაშვილი დიმიტრი, აბულაძე გრიშა, აბულაძე ევტიხი, ჯიჯავაძე ოთარი, კვაჩჩხაძე ილო, მელიძე ალექსანდრე, საბაშვილი პეტრე, ჩალიკავა შჩროსი, ამილახვარი ნიკა, დონდუა სერგო, ვაჩნაძე გიორგი, კაკიტელაშვილი (შალიკოს ძმა),

ამათ ემატება მეთაურთა შემადგენლობა:

კომანდანი ა. დელა ნუე-კაგშირის თფიცერი ფრანგულ სარდლობასთან. კაპიტანი გიორგი ოდიშელიძე, ლეიტენანტები: ა. სტაროსელსკი და კოტე ამილახვარი, ადიუტანტი ა. ვალტონიშვილი (ჩიქოვანი), სერგანტები: ლეო კერესელიძე, ალექსანდრე ბე-

რაძე, პ. ოდიშარია, ა. ჩეხვიაშვილი, გ. აბულაძე, შ. ხიზანი-შვილი, რ. ხალილოვი, ნ. ელიავა, ა. ფარეშვილი; ცატოლაზუბი: ვ. ბარკალაია, გ. მამულაშვილი, შ. თავთაქიშვილი, გ. ვაჩინაძე, ს. დონდუა, გ. ბერიძე, ნ. ამილახვარი, ალ. დონდუა;; პირველი კლასის ჯარისკაცები: შ. კაკიტელაშვილი და ვ. ზუბლაშვილი.

იი, ესაა სულ, ვისი გვარების აღდგენაც მე შევძელი. ამ ნაშროვიდან, ჩემი ცნობით დღეს ცოცხლები არიან: გ. ბერიძე, ა. დონდუა, გ. გრიგოლაშვილი, ალ. მელიძე, ელ. მაყაშვილი, ირ. ჯაფარიძე და თქვენი მონა-მორჩილი შ. ბერეუიანი. ვიმე-დოვნებ, რომ ეს უკანასკნელი გამოეხმაურებიან და შეავსებენ ამ ჩემს მოგონებას.

შოთა ბერეუიანი  
ლინა-ლევილი, 1987.

\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

ორი ქართველი მწერალი:  
ნოდარ დუმბაძე და ჭაბუა ამირეჯიბი.

ამ სათაურით იყო გამოქვეყნებული წერილი ინგლისურად უც-რნალ „რევიუ დე პერ დე ლესტ“-ში(1986.I.pages 55-99).

ეს ვრცელი და საინტერესო შრომა ეკუთვნის ქ-ნ გოლდი ბლანქოფ-სკარ-ს, ეროვნებით ამერიკელს, ენების პროფესორს ბრიუსელში, მფლობელს რუსულისა და ფრანგული ენებისა და აგერ ოთხი წელიწადია, რაც ბეჯითად სწავლობს ქართულ ენას. ის მრავალჯერ იყო საქართველოში და იქ ჰყავს ბევრი მეგობარი.

წერილი იწყება ნ. დუმბაძის სიტყვებით: „აღამიანის სული ასჯერ უფრო მძიმეა, ვინემ მისი სხეულიო“. „მწერლები წერენ, რადგან არ შეუძლიათ მოიქცნენ სხვანაირად. ის არის სა-რკე გონებრივი და სულიერი ცხოვრებისა მილიონობით აღამიანთა, დროსა და სიგრცეში“-ო.

„ქართველ ხალხს აქვს თავისი ენა და ლიტერატურა და წერს ამ ენაზე ქრისტიანობაზე მოქცევიდან, მეხუთე საუკუნი-დან“-ო. „ქართულმა ლიტერატურამ და კულტურამ მიაღწია თავის უმაღლეს წერტილს **XI-XIII** საუკუნეებში, თამარ მეფის დროს. შოთა რუსთაველმა დასწერა ფილოსოფიურ-ეპიკური

პოემა: „ვეფხის ტყაოსანი“, თარგმნილი მრავალ ენებზე უადრესები თვე ფრანგულად და ინგლისურად. ქართული ენა გადაუსახმული იყო ამ ქვეწის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიძნეებზე. მისი ლიტერატურული ხასიათი განვითარდა განსაკუთრებით პოეზიაში. მოვიხესენიოთ სულხან-საბა ორბელიანი, მეტვრამეტე საუკუნეში, რომელსაც ხანდახან ადარებენ ლა ფონტენს. მეცხრამეტე საუკუნეში ამ ქვეყანამ წარმოშვა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა. ესენი არიან მათ შორის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულს. მეოცე საუკუნემ ნახა აჭავება ნიჭიერ მთხოვნელთა, რამაც ცოტათი შეცვალა ეროვნული ლიტერატურული კილო. ესენი იყნენ: ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, სერგო კლდიაშვილი, შალვა დადიანი და სხ. მათში გამოიყურება ის ცელილება, რაც გამოიწვია **1917** წლის რევოლუციამ.

მეორე მსოფლიო ომიც იყო ევროპის შემცველი ქართულ რომანშით და ჩამოთვლილია მწერლები: გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი რ. ჭეიშვილი, ტ. ჭილაძე, ო. ჩხეიძე, ნ. წულეისკირი, ნ. დუმბაძე, გ. გეგეშიძე, ო. იოსელიანი, ა. კალანდაძე, ედ. ყაფიანი, კ. ლორთქიფანიძე, გ. ფანჯიკიძე, ი. ურჯუმელაშვილი, ჭ. ამირეჯიბი, ო. ჭილაძე, ა. სულაკაური. ეს უკანასკნელი სამი შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ კატეგორიად, მათი წერის ხასიათი იყო მეტად რთული და სტილი ეპიურ-მითიური.

ეს მწერლები არიან ნათარგმნი უცხო ენებზე, მაგრამ სამ-წუხაროდ, რუსულიდან თრჯერ თარგმნა მათ უკარგავს მდიდარ ორიგინალურ ლიტერატურის ღირებულებას.

მაგალითად, დუმბაძის რომანი, რომელიც გადატანილი იყო ტილოზე, მიაღწია უცხო მაყურებელს. ამირეჯიბის: „დათა თუთა-შხია“ იყო გადათარგმნილი ინგლისურად, ესპანურად და სკანდინავიურ ენებზე და გადაღებული აგრეთვე ტელეხედვაში. „ამ თარგმანებიდან ათვისებული დუმბაძისა და ამირეჯიბის ნაწარმოებებზე იქნება ლაპარაკი ჩემ შრომაში ქვემოდ“-ო, ამბობს ავტორი.

ნოდარ დუმბაძე დაიბადა **1928** წელს, დაობლდა, განიცადა დიდი გაჭირვება ბავშვობაში და ეს გამოსჭვივის მის ნაწარ-

მოებებში. მათში კარგად ჩანს აგრეთვე ადგილობრივი ცეკვა-ბი, მაგ., „მე ვხედავ მზეს“. საბჭოთა ქვეყნაში უკვე მომდევნობრივ წაკითხული წიგნების რიცხვში იძლევიან ყრჩიზელ ჩ. აიტმატოვს, ქართველ ნ. დუმბაძეს და ბელორუს ვ. ძუკოვს.

შემდეგ ჩამოთვლილია ნ. დუმბაძის ნაწარმოებები და მათი ფრანგულად და ინგლისურად თარგმნის თარიღები. მოცემულია მწერლის ბიოგრაფია, რომელშიც ნათქვამია, რომ მან ბაგშვიბაში დაკარგა მშობლები და იზრდებოდა ბებიასთან დედიდან და ბაბუასთან მამიდან და, რომ ყველა მისი ნაწარმოები არის მისი თავგადასავალი, რომელსაც ის ცვლის არტისტულადო. ამის შემდეგ დასახელებულია მწერლის მთავარი ნაწარმოებები, რომლებმაც მას სახელი გაუთქვეს, და ბოლოს ამ ნაწარმოებთა მოკლე შინაარსი.

„ნ. დუმბაძის ლიტერატურულ მსოფლიოდან გადასვლა ჭაბუა ამირეჯიბისამდე, ეს ნიშნავს გადახტე ერთი პლანეტიდან მეორეზე, ავტორებს ქ-ნი გოლდი-მაგრამ ეს პლანეტები არა-ან ნაწილი იმ მზის სისტემისა, რომლის გარშემოც ტრიალებს საერთოდ ჭართული კულტურული მემკვიდრეობა.“ „თავისი ლიტერატურული ნაშრომებით, თარგმნილი მრავალ ენაზე, შეგუებული თეატრსა და ეკრანს, ნ. დუმბაძე ჩვენ გვიტოვებს ამღერებულ სულ მისი შემოქმედებისა“-ო.

ჭაბუა ამირეჯიბის რომანი: „დათა თუთაშხია“, გამოქვეყნებული პირველად 1972 წ. ქურნალ „ცისკარში“, არის ნამდვილი მიღწევაო, ამბობს წერილის ავტორი, და იგი თარგმნილია უცხო ენებზე, განსაკუთრებით რუსული ენის მეშვეობითო.

ეს რომანი ითვლება, როგორც საუკეთესო მაგალითი ეპიკურისტორიული და მითოლოგიური ახალი ქართული პროზისამ.

ჭ. ამირეჯიბი ახლა არის დაახლოებით 65 წლის, 38 წლამდე არაფერი დაეწერა. მძიმედ დაიკრა მეორე მსოფლიო ომში, რის შემდეგ ის იყო გაგზავნილი ციმბირში...

1960 წელს ჩაუჯდა წერას და მის შვიდას გვერდიან რომანს მოანდომა ათი წელიწადი. ის ამით გახდა დიდათ ცნობილი და მიიღო სახელმწიფო ჯილდო.

შეუძლებელია რამდენიმე გვერდზე ამ ნაწარმოების გადმოცემა. ის, როგორც პოლიტიკური რომანი, თითოეული მოვლენა იშლება შეუკავებლად მეორეში. ორი გმირი ჯ რომანისა ერთმანეთს ჰგვანან, როგორც ტაუტები: დათა თუთაშხია და

მისი ბიძაშვილი მუშნი ზარანდია. ისინი აგრეთვე არიან ვანაჭარმოების მითოლოგიური გმირები. ისტორიულად უკარისტოდა ნი გაშლილია **1885-1913** წლებს შორის. დათა ხდება აბრაგი, მუშნი კი-მეფის პოლიციის მოხელე. დათას ბუნება არის გმირული სიმბოლო, სადაც „საზოგადო სული“ არის ჩაძირული თავის საკუთარ „მეში“. „დათა თუთაშხია“ არის აგრეთვე ამბავი მრავალ მოვლენათა, რომლებიც იმ დროის მოვლენებს ეხება. სოციალური წინააღმდეგობანი, რევოლუციური ბრძოლები ხელისუფლების წინააღმდეგ ამჟღავნებენ იმ დროინდელ სინამდვილეს.

ამირეჯიბი: „ქმნა სიკეთისა არის უმაღლესი მოვალეობა ადამიანისა და ერთადერთი გამამართლებელი სიცოცხლის ზნებისა“. ამ გამსაზღვრაში, ე. ი., რომ სიკეთეა უმაღლესი ღირსება ადამიანის სიცოცხლის მიზნისა, —ღუმბაძე და ამირეჯიბი როულ შეხმატებილებაში არიან.

ამ რომანში თხრობა მიმზიდველია და აზრები წამქეზებელნი. მისი წაკითხვის შემდეგ მკითხველი გამოდის გამდიდრებული.“

ნაშრომს ახლავს ბიბლიოგრაფია.

#### ირაკლი ოთხმეზური

\*\*\*      \*\*\*      \*\*\*      \*\*\*      \*\*\*

გრიგოლ რობაქიძე:  
გარდაცვალებიდან 25 წლისთავი

სწორედ **20** ნოემბერს, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, **25** წლის წინად, უნევაში გარდაიცვალა გრიგოლ რობაქიძე. ჩვენი მკითხველები მას საკმაოდ იცნობენ, რომ მათ ის არ წარვუდინონ და დავუხასიათო.

მაშ, დღეს მეოთხედი საუკუნე გვაშორებს გრიგოლ რობაქიძეს! როგორაა დღეს, სიცოცხლეში განებივრებული, ამ ლიტერატურული შემოქმედის საზოგადოებრივი მდგომარეობა?

სამშობლოში მხოლოდ წელს, მაგრამ შეიძლება ეს სიმბოლური იყოს, — დაიწყო გრ. რობაქიძის სახელის საჯაროდ ხსენება, პრესაში გამოქვეწდა მისი ორი მცირე ზომის ნაწარმოები; მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანს „გველის პერანგის“ ავტორის ნამდვილი მკვდრეობით აღდგომა: მისი შემოქმედების სრული

კრებულის გამოცემა და მის ირგვლივ კრიტიკის ფართო სჯა-  
ბაასი.

რაც შეეხება ჩვენს ემიგრაციას, ჯერ კიდევ გვიძარ ვრ პრის  
და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პრესა და პუბლიკაციები უყრა-  
დღებოდ არ დატოვებენ ამ მნიშვნელოვან თარიღს.

აქვთ კმაყოფილებით აღნიშნავთ, რომ სწორედ ამ უკანას-  
კნელ დღეებში მივიღეთ კარლო ინასარიძის დიდი ფორმატის  
**31** გვერდიანი ნაშრომი. რომელშიც დაბეჭდილია გრ. რობაქი-  
ძის განთქმული პიესა „ლამარა“-ს სრული ტექსტი და მისი  
ორიგინალური ანალიზი-გარჩევა. სტატიის ავტორი „ლამარას“  
მიიჩნევს „ქართული ეროვნული თეატრის“ საფუძვლად ისევე,  
როგორც დევლ ელინთა, იაპონურ „კაბუკისა, ჩინური „პეკი-  
ნური ოპერისა“ ან ებრაულ მისტერია-სანახაობებს და რომე-  
ლიც სცენაზე უნდა ნახო წარმოდგენილი და არა წაიკითხო.  
ლამარას ავტორი შედარებულია სოფოკლე-შექსპირ-გოეთესთან.

როგორ გაიხარებდა გრიგოლ რობაქიძე ცოცხალი რომ ყო-  
ფილიყ!

\*\*\*\*\*

### ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ თ ც ნ თ ბ ე ბ ი

მიმღინარე წლის **23** ივნისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შე-  
მდეგ, ოთხმოცი წლის გარდაიცვალა დურმიშხან უურული,  
ვაჟიშვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და დამოუკიდებე-  
ლი საქართველოს პირველი მთავრობის მინისტრ გიორგი უუ-  
რულის. განსვენებული ცხოვრობდა პარიზის მახლობლად ქალ-  
აქ რენიში(93340 Raincy), სადაც ის დაიკრძალა. დარჩა  
მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

\*\*\*

წელს რვა ნოემბერს, **78** წლის ასაკში, ქალაქ ლიონში უე-  
ცრად გარდაიცვალა, აგვისტოს ეროვნული აჯანყების აქტიუ-  
რი მონაშილე და მას შემდეგ საფრანგეთში მცხოვრები ბ-ნი  
ანტონ ალანია, რომელიც ჭირისუფლად სტოვებს მხოლოდ  
ფრანგ მეუღლეს.

\*\*\*

მათ უნუგეშო ჭირისუფლო ვუცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას.

\*\*\*\*\*

დ ა ვ ი თ დ უ ი შ ვ ი ლ ი

წელს პირველ ივნისს, 73 წლის ასაკში, უავადმყოფოდ უცერად გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი დავით (დათიკო) დუიშვილი.


ის ეპუთვნოდა მეორე მსოფლიო ომს გამოვლილთა თაობას, რომელმაც საფრანგეთში დარჩენა არჩია ომის დამთავრების შემდეგ. ის თავიდანვე დასახლდა ქ. სოშოში და მუშაობა დაიწყო „პეტოს“ ცნობილ საავტომობილო ქარხანაში, სადაც მან უფროსების პატივისცემა დაიმსახურა და დარჩა პენსიაში გასვლამდე.

დათიკო იყო ტიპიური კახელი, არა მარტო დაბადებით, გარეგნობითაცა და სიტყვა-პასუხითაც. უყარდა მეგობრები, პურ-მარილი და, როცა კახური აკლდა, ფრანგულ ღვინოებსაც არ ემდუროდა.

როგორც სოშო-მონბელიარის ქართული საზოგადოების გამგონბის წევრი, დავით დუიშვილი გულით ემსახურებოდა ზოველ ქართულ საქმიანობას საფრანგეთში. მან უკანასკნელად წელს კიდევ იზეიმა ოცდაექვესი მაისობა, უმასპინძლა ფრანგ სტუმრებს და მათ გააცნო ჩვენი ქვეჭის წარსული და აწმუნ.

დათიკო განისვენებს სოშოს ქართ. ძმათა სასაფლაოზე (2560 Sochaux). მის მეუღლეს, ქ-ნ ლიუდას, შვილს გოგიას და შვილიშვილებს ჩვენი თანაგრძნობა.

\*\*\*



ა რ ჩ ი ლ მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი

კიდევ ერთი კარგი კახელი „ბიჭი“ დაგვარგეთ ამ აღრე შემოდგომაზე— თორმეტ საქტემბერს, უცერად, გულის შეტევით, პარიზის ქუჩაში უპატრონოდ გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი არჩილ მჭედლიშვილი.

განსვენებული 65-66 წლისა იყო და არასოდეს არც ავადმყოფობასა და არც ბედს არ უჩივოდა. ის იყო მუჭათი მშრომელი, იმ გვარისა, რომლებიც ბურჯად უდგანან საზოგადოებასა და ერს. მას ჰქონდა მეტად დინჯი და მშვიდი ხასიათი.

თი, იყო ჭველასთვის საყვარელი, გასა-  
ჭირში გამოსადეგი მეგობარი, ჭველ  
საჭირო საერთო საზოგადოებრივ სა-  
საქმიანობაში დაუზარებელი მონაწი-  
ლე და თანამდგომი. ამიტომაც იყო,  
რომ მისმა მოულოდნელმა და უცილენ-  
სიკვდილმა, მთელი ჩვენი საზოგადოე-  
ბა გულწრფელად დააღმარ-  
ხა.

არჩილი წინდახედული კაცი იყო,  
მას ჭველაფერი წესრიგში პქონდა და  
საუკუნო განსასვენებელიც დიდი ხნის  
წინად პქონდა გამზადებული ლევილის  
ძმათა სასაფლაოზე, სადაც იგი დაიკ-  
რძალა.

საუკუნო იყოს არჩილ მჭედლიშვილის კეთილი ხსენება!



ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი დ ა წ ი გ ნ ე ბ ი

გ უ შ ი ა მ ა შ უ კ ე ლ ი

სკულპტორ-ოქრომჭედელ  
გუჯის სახელი უკვე ცნობი-  
ლია არა მარტო პარიზში,  
არამედ ლონდონსა და მიუნ-  
ხენშიც და მთელს დასავლეთ  
ევროპაშიც. გუჯის ნატიფი  
ხელოვნება მოსწონთ და აფა-  
სებენ დიდი მოთხოვნის მქო-  
ნე სახელმწიფო თუ კერძო  
კოლექციონერებს.

ამ გაზაფხულზე საფრანგე-  
თის სახ. კოლექციამ შეიძინა  
სამი გუჯის ნახელავი: მოვა-  
რაუბული სპილენძის ემბაზი,



თუნგი და სააღდგომო შანდელი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისათვის, რომლებიც **18** აპრილს, სააღდგომო ლიტურგიული შემდეგ, პირველად იქნენ ხმარებული ნათლობის რიცხვების თვის. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც საელესიო ნივთების შეძენა იშვიათად ხდება და როცა კი იძენენ, მას არჩევენ დიდი გულმოდგინებით, ის უნდა ეხამებოდეს საკათედრო ტაძრის ატმოსფეროს და ამავე დროს იჯოს თანადროულობის ხელოვნების მაღალი ნიმუში.

ხმარების შემდეგ ეს ნივთები გაიდალიან ტაძრის საგანძურში და გამოფენილი არიან ფართო საზოგადოები სანახავად.

თქმა არ უნდა, რომ ეს მნიშვნელოვანი ეტაპია ოსტატ-ტელოვანის სქნრერესო გზაზე. მარჯი მის მარჯვენას!

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*

### ბატონი შალვა ჭედგინიძე

ქალაქ მონბელიარში (საფრანგეთი, დუბის დეპრატამენტი) საშუალო საუკუნეების დიდებული კონტების სასახლის გვერდით ცხოვრობს ეს ჩვენი სტუმარომფარე და კეთილი თანამემამულე. თუ მას გაახარებთ და ესტუმრებით, ის თქვენ სიჟარულითა და სიამაყთ გიჩვენებთ ხეში ნაკვეთ ლამაზ ნახელავს, რომლითაც სავსეა მოელი მისი სამ სართულიანი ბინა, კიბეებიდა დაწყებული სხვენამდე.

ის თქვენ გიჩვენებთ ხეში ნაკვეთ „ვეფხის ტაოსნის“ სიუჟეტებსა და სახეებს და სხვა.

პენსიონერი, უშრომელად ვერ ჩერდება, თავსაც იქცევს და თანაც მამა-პაპურ ხელობას არ ივიწყებს. ის თქვენ გეტჰით, რომ „მესხები ცნობილნი არიან ხითა, და რომ მისი სოფელი ძველი ჭი-პია ძველი დიდებული ტაო-კლარ-ჯეთისა, საიდანაც რუსებს გამოვექცით. მარტო საფრანგეთში შვიდი ზედგინიძე ვიყავით სოფელ ძველიდან და ახლა მარტო



ბატონი შალვა ჭედგინიძე  
ნახელავთან ერთად

მეღა დაგრჩიო. ბ-ნი შალვა ჩვენი საზოგადოების მზრუნველიცაა, ის წლების განმავლობაში, სოშო-მონბელიარის უძველესი ქართული ახალშენის ფინანსთა უხუცესია. მას წელს შეუსრულდა ოთხმოცი წელი. მოდით, მივულოცოთ, ვადლეგრძელოთ და ვადიდოთ მისი ხეში ამღერებული ხელოვნება.

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*

### ი. ჭავჭავაძის ქართულ-ევროპული ინსტიტუტი

სწორედ დროული და სიმბოლურია წელს დიდი ილიას სახელბის ინსტიტუტის დაარსება დასავლეთში, რომელსაც მიზნად დაუსახავს: „ქართ. ისტორიის, კულტურის ჟელა დარგის, სულიერი წყაბის, პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფიისა და შესაქმის ინტეგრალური შესწავლა, ევროპულ ცივილიზაციასთან მიმართებაში“. როგორც უწყბიდან ვგებულობთ, წამოწყბის ინიციატორი და დირექტორია ბ-ნი ჯანრი კაშია, ხოლო თანადამარსებელნი: ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი და ბ-ბი: არჩილ კეკელია და მიხეილ ქავთარაძე.

მარტო ილიას სახელი და კარგი იდეა მას ვერ უშველის, აწი მთავარია საქმე— ინიციატორ-დამაარსებელთა დიდი რუდუნება და მთელი ჩვენი საზოგადოების გონიერივი და მატერიალური თანადგომა-თანამშრომლობა და ჩვენც აქეთკენ მოვუწოდებთ ჟელას. ჩვენის მხრით, მიუხედავად ჩვენი დაუფასებლობისა, ჩვენს მცირე შესაძლებლობებს მისთვის არ დავიშურებთ.

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*

### სიონის სხივი

ასე ეწოდება ქ-ნ როზა აბნერაშვილის წიგნს, რომელიც ახლანას გამოიცა ისრაელში. სამას გვერდიან წიგნში უმთავრესად ლექსები და პოემებია მაგრამ გვხვდებიან აგრეთვე წვრილ-წვრილი მოთხრობაბიც. ჟელაფერი წარმოადგენს პოეტი ქალის გულმხურვალე ლოცვას: მისი ერისა და რჯულისა, წრფელი მეგობრობისა და ხალხთა შორის მშვიდობისა. წიგნის ენა მშვენიერი ქართულია. გულით ვულოცავთ გამარჯვებას ჩვენს კმოილ თანამშრომელს.

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*

ა მ ბ ა ვ ი ე რ თ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა. სულ უკანასკნელ წუთებში მივიღეთ მინდია ლაშაურის დიდი ფორმატის **140** გვერდიანი ეს მოთხრობა. მარჯვი მის მშრომელ მარჯვენას!



გ უ შ ა გ ი ს ფ თ ნ დ ი

ანემარი ვაშაძისა	- დავი ვაშაძის ხსოვნისა	1.441
პავლე ვაშაძე	- დავით ვაშაძის ხსოვნისა	500
ილსე ბარათელისა	- სანდრო ბარათელის ხსოვნისა	500
პეტრე ხვედელიძე	- 1937 წ. 23 სექტემბერს დილის 3 საათზე დაპატიმრებული და უგზო-უკვლოდ გამქრალი ჩემი უფროსი ძმის, სოკრატის, არდავიშ ყებისათვის	534
მართა სტურუასი	50 კარლო გვარჯალაძე	106
რუბენ გვერაძე	150 ნიკო ურუშაძე	200
ნამო გოგუაძისა	100 მიხეილ თარაშვილი	300
ვალიკო სანგლია	250 სოშოს ქართ-საზოგადოება	300
ირაკლი ჯაფარიძე	500 მირიან მელუა	200
ირაკლი ოთხმეზური	159 ვიქტორ ინაშვილი	200
მირიან მელუა	200 თათრახან ანთაძე	200
დიმიტრი გოგიშვილი	110 ნიკო ბედელაძე	100
მიხეილ თარაშვილი	300 მიშა გოგორიშვილი	300
ილო ემუხვარი	100 გიბეგი	1.500
ზოსიმე ჯიშკარიანი	300 შოთა ბერეჟიანი	100
ისიდორე გაუნია	214 ლადო ბაბიშვილი	114

ჯ ა მ ი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

9.028

ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღე პარიზში

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშ-  
ნავი ზეიმი გაიმართება პარიზში, წმინდა ნინოს ეკლესიის  
დარბაზში, პროფ. გიორგი შარაშიძის თავმჯდომარებით,  
შაბათს 12 დეკემბერს 15 საათზე.  
ვთხოვთ ყველას უმორჩილესად, რომ არავინ არ დაკლდეს.

სათვისტომოს გამგეობა



## შ ი ნ ა ა რ ს ი

- 2 დიდი ილიას საიუბილეოდ  
5 ჩეგნი პოეტები ილიაზე: გივი შაორელი, გიორგი ყიფიანი,  
ნი, ირაკლი ოთხმეზური, დავით საღირაშვილი.
- 16 ი ლ ი ბ მინდია ლაშაური  
27 მოგონებები ილიას გარშემო ირაკლი ოთხმეზური  
37 ი. ჭავჭავაძის წმინდანად დაკანონების შესახებ დეკანზი ილია მელია  
41 ილია არ შემცდარა მიხეილ თარაშვილი  
44 „ვიდ ღოლორზა“ (გაზ. „კომ-დან“) ლევან სანიკიძე  
50 ორი პოეტი პრეზიდენტი ნ. უორდანია  
60 ველრება ილიას „აჩრდილიდან“  
61 ვინ მოჰკლა ილია? გიორგი წერეთელი  
74 შემჩნევის სახით უცნობელიძე  
79 ილიას დაღუპვის... -ლექსი - გიორგი გამჭრელიძე  
II
- 80 გორბაჩივის „გარდაქმნა“ გულბათ გულბათიშვილი  
85 ინტერვიუ: ელენ კარერ დანკოსის, ალენ ბეზანსონის,  
კადემიულოს სახაროვის.  
91 მიმართვა გორბაჩივისადმი - ზ. გამსახურდიასა და  
მ. კოსტავასი  
92 გადასახლებულ მესხების მიმართვა ქართ. ხალხისადმი  
93 კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზა - ვერელი  
96 ფ. მახარაძის საფლავის აფეთქების ცნობა  
97 გულაგების მამაცი ოჯახი - გუშაგი  
104 ლექსები: ნოშრევან გალაშვილი, გივი შაორელი,  
გიორგი ტოგონიძე, იონა გუნია  
111 „ვინ არის დამნაშავე?“ - ლადო ბაბიშვილი  
116 ქართველები ფრანგულ ჯარში - შოთა ბერეჟიანი  
118 „ორი ქართ. მწერალი: ნ. დუმბაძე  
და ჭაბუა ამირეჯიბი“ - ირ. ოთხმეზური  
121 გრ. რობაქიძის გარდაცვალების 25 წლისთავი  
122 სამგლოვიარო ცნობები, ადამიანები და წიგნები, ფონ-დი, ცნობა ილიას საიუბილეო ზეიმისა პარიზში.

n 38/13



საქართველოს  
ეროვნული ბიბლიოთეკი

# GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

\*\*\*\*\*

EDITION HORS COMMERCE